186/1959/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

186/2

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 1959 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

95. ინდივიდუალური სბინაო და საგარეუბნო საგარაკო მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ ქალაქებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

96. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობებისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების და სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოთა საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივთა-რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულების წასახალისებლად გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების დაწესების შესახებ.

97. იმ პირთათვის შემცირებული სამუშაო დღის ან შემცირებული სამუშაო კვირის დაწესების შესახებ, რომლებიც წარმატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში — საღამოს (ცვლების, სეზონურ) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

98. ავტომობილების შოფერთა გამომუშავების ერთიანი ნორმებისა და შრომის ანაზღაურების შესახებ.

99. საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფონდის სახსრების შექმნისა და ხარჯვის წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

100. მიწისქვეშა წყლების გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის ... ლიერებისა და მათი დაცვის ღონისძიებათა შესახებ.
101. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს დეპეშათა სააგენტოს (საქდესის) დებულების დამტკიცების შესახებ.
102. ორსართულიანი რვაბინიანი საცხოვრებელი სახლის ტიპობრივი პროექტის საპროექტო მოცულობის დამტკიცების შესახებ.
103. საქრთველოს სსრ ქალქების მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის ისეთი საქონლის ნისიად მიყიდვის შესახებ, რომელიც საკმაო რაოდენობით მოიპოვება.
104. მძიმე ინდუსტრიის დარგების პროდუქციის ტრანსპორტირების დროს კონტეინერების მასობრივი გამოყენების შესახებ.
105. მოსახლეობისათვის სტანდარტული სახლებისა და ადგილობრივი საშენი მასალებისაგან დამზადებული კედლებიანი სახლების დეტალების კომპლექტების მიყიდვის გაუმჯობესების ზომების შესახებ.
106. გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების დაგეგმვისა და ჩატარების მოწესრიგების ზომების შესახებ.
107. ეკონომიურ ბინებიანი საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების საპროექტო დავალებათა დამტკიცების შესახებ.
108. საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებისათვის მისაყიდი რძისა და ხორცის პროდუქტების ფასების შესახებ.
109. სახელმწიფო სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის დარგში მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
110. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ორგანოების შესახებ.
111. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
112. კოლმეურნეობებისათვის მარცვლისა და ფქვილის ნორმირებული (შემხვედრი) მიყიდვის გაუქმებასთან დაკავშირებით ტექნიკური კულტურების რაიონებში მარცვლისა და ფქვილის შეუფერხებელი გაყიდვის ორგანიზაციის შესახებ.
113. სასკოლო განათლების ახალ სისტემაზე გადასვლის წესისა და ვადების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

95 ინდივიდუალური საბინაო და საგარეუბნო სააგარაკო მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ ქალაქებში

აღინიშნოს, რომ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და რუსთავში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა მშრომელთა ძალებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით, აგრეთვე საგარაკო მშენებლობა.

რესპუბლიკის ქალაქებში სამშენებლო ორგანიზაციები არ აწარმოებენ ინდივიდუალური საცხოვრებელი და საგარაკო სახლების მშენებლობას მოქალაქეთა შეკვეთით, რაც ადიდებს ინდივიდუალური საბინაო და საგარაკო მშენებლობის ღირებულებას, აგრეთვე იწვევს მუშახელის ჩამოშორებას იმ ობიექტების მშენებლობისაგან, რომლებიც სახელმწიფო გეგმით სრულდება.

იმ საბინაო და საგარაკო მშენებლობის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომელიც წარმოებს მშრომელთა სახსრებით და სახელმწიფო კრედიტით თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმსა და რუსთავში, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ქალაქ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, რუსთავში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და საგარეუბნო აგარაკების მშენებლობა ამიერიდან განხორციელდეს სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციების ძალებით.

2. მოქალაქეებსა და საბინაო-სამშენებლო კოლექტივებს, რომლებმაც ამ დადგენილების მიღებამდე დაიწყეს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და უზრუნველყოფილი არიან საშენი მასალებით, ნება მიეცეთ მათი სურვილისამებრ დაამთავრონ მშენებლობა საკუთარი ძალებით.

3. ინდივიდუალური საბინაო და საგარეუბნო სააგარაკო მშენებლობის განხორციელება დაეკისროთ: ქალაქ თბილისში—მთავართბილისმშენს, ქალაქ ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და რუსთავში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებს.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინოს სამშენებლო ორგანიზაციების მიერ ინდივიდუალური საბინაო და სააგარაკო

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობის სამუშაოთა შესრულების წესი, შეიმუშაოს ...
ბანი ინდივიდუალური საბინაო და საგარაკო მშენებლობ...
ველსაყოფად საშენი მასალებით, მოსახლეობისათვის აშენებული
საცხოვრებელი სახლებისა და აგარაკების მიყიდვის მოსაწყობად,
განსაზღვროს გადასახდელის შეტანის ვადები და წესი, აგრეთვე
გადაჭრას ამ დადგენილების განხორციელებასთან დაკავშირებული
სხვა საკითხები.

საქართველოს კპ	საქართველოს სსრ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი	მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 22 ოქტომბერი, № 841.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

96 **საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების და სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოთა საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივთა — რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულების წასახალისებლად გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების დაწესების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების, სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების—რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წასახალისებლად დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თითო გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია და შემოღებულ იქნეს, რომ გარდამავალ წითელ დროშას და პირველ ფულად პრემიას მიაკუთვნებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო შესაბამის სამინისტროთა, უწყებათა და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წარდგინებით.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების, სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოების საწარმოების კოლექტივთა—რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესდეს ზემოჩამოთვლილი სამინისტროებისა და უწყებების და სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თითო გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, თითო მეორე და თითო მესამე ფულადი პრემიით და შემო-

ღებულ იქნეს, რომ სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდება: საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების საწარმოთა ხაზით—სამინისტროებისა და სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე. პურის პროდუქტების, სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების მთავარი სამმართველოების საწარმოთა ხაზით—სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ამ სამმართველოთა ხელმძღვანელების მონაწილეობით.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროთა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების, სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოების საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

4. დამტკიცდეს პრემიების ოდენობა მომუშავეთა რიცხვის მიხედვით. საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს—სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ პრემიები მიეცემათ მოცემული საწარმოს ან ორგანიზაციის ზეგეგმითი მოგების ან ზეგეგმითი ეკონომიის ანგარიშზე.

5. აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო პროფკავშირთა საბჭოებმა და სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურმა კომიტეტმა ფართოდ განუმარტონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშა-მოსამსახურეებს სოციალისტური შეჯიბრების პირობები და წახალისების დაწესებული სახეობანი და დარაზმონ ისინი შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორი კვირის განმავლობაში საჭირო ტირაჟით გამოსცეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროთა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების და სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

7. დაევალოს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“, „კომუნისტის“ და „სოვეტაკან ვრასტანის“ რედაქციებს გაზეთების ფურცლებზე გაამუქონ ეს დადგენილება და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების, სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების შეჯიბრების პირობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**	პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ლელაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 14 ოქტომბერი, № 816

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს 1959 წლის 14 თებერვლის № 816 დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივთა სოციალისტური შეჯიბრებისა

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების შვიდწლიანი გეგმის შესახებ, საქართველოს მშრომელები, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების მშრომელები, მიდიან ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკის, კულტურის შემდგომი განვითარების, სახალხო მეურნეობის აღმავლობის, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების გზით.

სოფლის მეურნეობის დარგში ძირითადი ამოცანაა შვიდწლედში მივაღწიოთ წარმოების ისეთ დონეს, რომელიც საშუალებას მოგვცემს მთლიანად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება პროდუქტებზე, ხოლო მრეწველობისა—ნედლეულზე და უზრუნველვყოთ სახელმწიფოს სხვა საჭიროებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის და პირველ რიგში მეფრინველეობის, ჩაიეობის, მეციტრუსეობის, მევენახეობისა და მეხილეობის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის აღმავლობას ერთნახევარ-ორჯერ.

შეგნებული აქვთ რა იმ ამოცანების დიდი მნიშვნელობა, რომლებიც დასახულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე შვიდწლიანი გეგმით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

მხარი დაუჭირეს რა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების პატრიოტულ ინიციატივას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი აცხადებენ სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებიც უზრუნველყოფენ:

I. საბჭოთა მეურნეობებში

პირველი კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით

1. სახელმწიფოსათვის რძის, ხორცისა და კვერცხის ჩაბარების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

2. ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

3. საგაზაფხულო თესვისათვის მარცვლეულის, ტექნიკური კულტურებისა და კარტოფილის კონდიციური თესლით მთლიანად უზრუნველყოფას.

4. ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის სულადობის უკეთ შენარჩუნებას.

5. შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით პირდაპირი დანახარჯების ეკონომიის მიღებას და ზედნადები ხარჯების შემცირებას კვარტალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგების მიხედვით

1. სახელმწიფოსათვის რძის, ხორცის, მატყლის, კვერცხისა და გეგმით გათვალისწინებული სხვა პროდუქტების სახელმწიფოსათვის ჩაბარების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

2. მარცვლეულის, ტექნიკური, საკვები, ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის საგაზაფხულო თესვის გეგმის კარგი ხარისხით შესრულებას.

3. შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით პირდაპირ დანახარჯებზე ეკონომიის მიღებას და ნახევარ წელიწადში ზედნადები ხარჯების შემცირებას.

4. კომბაინების რემონტის გეგმის შესრულებას.

5. პირუტყვისა და ფრინველის სულადობის უკეთ შენარჩუნებას.

6. მოცულობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის მიხედვით სამეურნეო საშუალებებით მშენებლობის, მათ შორის საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, გეგმის კარგი ხარისხით შესრულებას.

სამი კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით

1. სახელმწიფოსათვის მარცვლის, რძის, ხორცის, მატყლისა და გეგმით გათვალისწინებული სხვა პროდუქციის ჩაბარების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

2. საშემოდგომო თესვის გეგმის შესრულებას.

3. თავთავიანი კულტურებისა და თესლოვანი ბალახების უდანაკარგოდ აღების გეგმის შესრულებას.

4. შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით პირდაპირი დანახარჯების ეკონომიის მიღებას და ზედნადები ხარჯების შემცირებას 9 თვეში.

5. მოცულობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის მიხედვით სამეურნეო საშუალებებით მშენებლობის, მათ შორის საბინაო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, სამუშაოთა გეგმის კარგი ხარისხით შესრულებას.

წლის მუშაობის შედეგების მიხედვით

1. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულის, რძის, ხორცის, მატყლის, კვერცხის, ჩაის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, საჯიშე ახალგაზრდა პირუტყვის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

2. ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულებას.

3. მთლიანად უზრუნველყოფს საკუთარი წარმოების ხარჯზე პირუტყვის სულადობას უხეში და წვნიანი საკვებით და კონცენტრირებული საკვებით ყველა საბჭოთა მეურნეობაში გარდა ღორების გასასუქებელი და მეფრინველეობის იმ საბჭოთა მეურნეობებისა, რომელთაც არა აქვთ საკმაო რაოდენობის მიწა.

4. ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინვლის სულადობის გამოსავლიანობის წლიური გეგმის, რაც დაწესებულია საწარმოო-საფინანსო გეგმით (1 იანვრისათვის), მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

5. ერთ საფურაჟე ძროხაზე რძის წველადობის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას (საბჭოთა მეურნეობის მიმართულების მიხედვით) სასოფლო-სამეურნეო წელს 1 იანვრიდან 1 იანვრამდე.

6. უხეში საკვების, მათ შორის თივის დამზადების გეგმისა და სილოსის ჩადების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

7. საანეულო ხვნის გეგმის შესრულებას.

8. ახალი მიწების ათვისების გეგმის შესრულებას.

9. მარცვლეული კულტურების, კარტოფილის თესლის ბალახებისა და სხვა კულტურების თესლის შენახვის გეგმის შესრულებას.

10. საკვების ხარჯვის ეკონომიას (საკვებ ერთეულებში) ერთი ცენტნერი რძისა და ხორცის მისაღებად გეგმით გათვალისწინებულ საკვებთან შედარებით.

11. პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომის ხარჯვის გეგმური მაჩვენებლების შესრულებას.

12. გეგმასთან შედარებით ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. წლიური სამეურნეო საქმიანობის შედეგად ზეგეგმიური მოგების მიღებას.

14. მოცულობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის მიხედვით საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმის შესრულებას კარგი ხარისხით.

გარდა ჩამოთვლილი პირობებისა, რომლებიც სავალდებულოა ყველა საბჭოთა მეურნეობისათვის, სპეციალიზებულმა საბჭოთა მეურნეობებმა უნდა შეასრულონ შემდეგი პირობები:

ა) მეღორეობის გასასუქებელმა საბჭოთა მეურნეობებმა

თვითეული კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით:

მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს გასასუქებელი ღორების სადღეღამისო მატების გეგმა.

ბ) მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობებმა

ნახევარი წლის მუშაობის შედეგების მიხედვით:

მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს ინკუბაციის გეგმა და მიიღოს რაც შეიძლება მეტი გამოსავალი 100 კვერცხზე, რომელიც ჩადებული იყო ინკუბაციისათვის.

წლის მუშაობის შედეგების მიხედვით:

შეასრულოს ფრინველის კვერცხდების წლიური გეგმა.

გ) მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებმა

თვითეული კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით:

მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის ჩაბარების გეგმა როგორც ღია, ისე დახურული გრუნტიდან.

დ) ჩაის და ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობებმა

წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგების მიხედვით:

მიაღწიოს ნარგავების მთლიანად გახარებას და ყველა ნარგავის შენარჩუნებას.

წლის მუშაობის შედეგების მიხედვით:

შეასრულოს ჩაის და ციტრუსოვანთა კულტურის ახალი ნარგავების გაშენების გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს პირველი და მეორე ხარისხის მწვანე ჩაის ფოთლის, ციტრუსოვანთა და სხვა ნაყოფის სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა.

ე) მემხეცეობის საბჭოთა მეურნეობა

წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგების მიხედვით:

1. მიაღწიოს მოზარდეული და მოზრდილი მელიების სულადობის უკეთ შენარჩუნებას.

2. მიაღწიოს მოზარდეულის გამოსავლიანობის საუკეთესო მაჩვენებლებს.

წლის მუშაობის შედეგების მიხედვით:

1. მიაღწიოს მოზარდეული და მოზრდილი მელიების სულადობის უკეთ შენარჩუნებას.

2. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს სახელმწიფოსათვის მაქსიმალურ ფასებში ჩასაბარებელი ბეწვეული პროდუქციის ჩაბარების გეგმა.

სახელმწიფო ხეხილსანერგეების საბჭოთა მეურნეობებში და სანერგეებში

წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგების მიხედვით

1. ბაღების, კენკროვანთა და ვენახების გაშენების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას დაწესებულ ვადებში და სტანდარტული მასალით.

2. დაწესებულ ვადებში სკოლებში თესვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებათა დაცვით.

3. ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის გეგმის კარგი ხარისხით შესრულებას სარემონტო სამუშაოზე სახსრების გადაუხარჯავად.

4. საგაზაფხულო სამუშაოების გეგმის ოპტიმალურ ვადებში შესრულებას.

5. სახსრების ეკონომიას ნახევარ წელიწადში პირდაპირ ხარჯებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის მუშაობის შედეგების მიხედვით

1. ბაღების, კენკროვანთა და ვენახების გაშენების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას დაწესებულ ვადებში და სტანდარტული მასალებით.

2. სტანდარტული სანერგე მასალებისა და თესლის გამოყვანისა და რეალიზაციის გეგმის შესრულებას.

3. ხილის, ყურძნისა და კენკრის მთლიანი საერთო მიღების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

4. ხილის, ყურძნისა და ჩირის დამზადების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

5. უხეში და წვნიანი საკვების დამზადების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

6. საშემოდგომო თესვისათვის თესლის შენახვისა და ანეულის ხვნის გეგმის შესრულებას.

7. ძირითადი პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, ზეგეგმითი დაგროვების მიღებას.

შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მშენებლობის, საბინაო ფონდის და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გეგმების შესრულება მუშაობის კარგი ხარისხით.

სახელმწიფო ჰიპოდრომებში

წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგების მიხედვით

1. იმ საჯიშე ცხენების სულადობის და მუშაობისუნარიანობის შენარჩუნების გეგმის შესრულებას, რომლებსაც სცდიან ჰიპოდრომზე.

2. დამტკიცებული საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებას, ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით.

3. ცხენების შესანახი სახსრების პირდაპირი ხარჯების ეკონომიას.

წლის მუშაობის შედეგების მიხედვით

1. საწარმოო-საფინანსო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ჰიპოდრომის საჯიშე და მუშა ცხენების სულადობის და შაობისუნარიანობის შენარჩუნების გეგმის შესრულებას.

3. ცხენის სულადობის უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვებით უზრუნველყოფის გეგმის შესრულებას.

4. გეგმასთან შედარებით ცხენების შენახვისა და გამოცდის თვითღირებულების, აგრეთვე ზედნადები ხარჯების შემცირებას.

5. ვარჯიშსა და საკავშირო მნიშვნელობის რეკორდების დამყარებაში საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებას.

საინკუბატორო მეფრინველეობის სადგურებში

წლის მუშაობის შედეგების მიხედვით

1. ინკუბაციისა და კოლმეურნეობის ფრინველის მოზარდეულის რეალიზაციის გეგმის შესრულებას.

2. კოლმეურნეობების მიერ საინკუბატორო მეფრინველეობის სადგურებიდან მიღებული მოზარდეულისათვის სახელმწიფოზე კვერცხისა და ხორცის ჩაბარების გეგმის შესრულებას.

3. საინკუბატორო მეფრინველეობის სადგურში ფრინველის გამოკვების დავალების შესრულებას.

4. საინკუბატორო მეფრინველეობის სადგურში მოზარდეულის გამოსავლიანობის თვითღირებულების გეგმის შესრულებას.

სარემონტო-მექანიკურ ქარხნებში, სახელოსნოებსა და სამრეწველო საწარმოებში

კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით

1. კარგი ხარისხისა და გათვალისწინებული ნომენკლატურის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

2. შრომის ნაყოფიერების გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

3. ძრავებისა და მათი აგრეგატების რემონტის გეგმის შესრულებას (მოტოსარემონტო ქარხნებისა და კაპიტალური რემონტის საარაიონთაშორისო სახელოსნოებისათვის).

4. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და კვარტალში დაგროვების გეგმის შესრულებას.

5. II, III და IV კვარტალებში—საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის მოცულობითა და საექსპლუატაციოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაცემის გეგმის შესრულება ვადებში და ვადამდე საკმაოდ ... ხარისხით, რომლებიც მიმდინარეობდა სამეურნეო საშუალებებით წლის ნახევარში. ცხრა თვეში და წლის განმავლობაში.

სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში

წლის პირველ ნახევარში მუშაობის შედეგების მიხედვით

1. სარემონტო-ტექნიკური სადგურის სახელოსნოს მიერ სარემონტო სამუშაოთა გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას (ათას მანეთობით).

2. რბილ ხვნაზე მექანიზებულ სამუშაოთა გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება ჯუმლური გამოხატულებით.

3. სარემონტო-ტექნიკური სადგურის ავტოტრანსპორტის მიერ ტვირთზიდვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას ტონა-კილომეტრობით.

4. მეფრინველეობის ფერმების მექანიზაციის სამუშაოთა გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას (პირუტყვის ადგილი).

5. მანქანების გაქირავების გეგმის მთლიანდ და გადაჭარბებით შესრულებას ათას მანეთობით.

6. სხვადასხვა სამუშაოთა გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება ათას მანეთობით.

7. სარემონტო-ტექნიკური სადგურის სავაჭრო-გასაღებითი საქმიანობის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას ათას მანეთობით.

8. ყველა მუხლის მიხედვით ეკონომიის მიღებას.

წლის მუშაობის შედეგების მიხედვით

1. სარემონტო-ტექნიკური სადგურის სახელოსნოების მიერ სარემონტო სამუშაოთა გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას (ათას მანეთობით).

2. რბილ ხვნაზე მექანიზებულ სამუშაოთა გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას ჯუმლური გამოხატულებით.

3. სარემონტო-ტექნიკური სადგურის ავტოტრანსპორტის მიერ ტვირთზიდვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას ტონაკილომეტრობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის სამუშაოთა გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას (პირუტყვის ადგილი).

5. მანქანების გაქირავების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას ათას მანეთობით.

6. სხვა სამუშაოთა გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას ათას მანეთობით.

7. სარემონტო-ტექნიკური სადგურის სავაჭრო გასაღებითი საქმიანობის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას ათას მანეთობით.

8. ყველა მუხლის მიხედვით ეკონომიის მიღებას.

უბნებში, სამმართველოებში, ტრესტებში, სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოებსა და სამშენებლო-სამონტაჟო კანტორებში

კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით:

1. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა, მათ შორის საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმის შესრულებას.

2. სარწყავი და ამოშრობილი მიწების, საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების საექსპლუატაციოდ ვადაცემას დაწესებულ ვადებში და შესრულებულ სამუშაოთა კარგი ხარისხით.

3. ერთ მუშაზე გამომუშავების კვარტალური გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

4. საანგარიშო კვარტალში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების კვარტალური გეგმის გადაჭარბებით შესრულებას და ზეგეგმითი დაგროვების მიღებას.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს: მიწის სამუშაოთა მექანიზაციის, მათ შორის ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოთა, აგრეთვე ასაწყობი რკინაბეტონის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის გეგმის შესრულება.

სამანქანო-სამელიორაციო სადგურებში

კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით

1. მიწის პირველადი ათვისების აგროსამელიორაციო სამუშაოთა მიწის მექანიზებულ სამუშაოთა, არხების, წყალსაცავებისა და გუბურების, აგრეთვე რაბებისა და ხიდების მშენებლობის გეგმების გადაჭარებით შესრულებას.

2. დაწესებულ ნორმასთან შედარებით სათბობისა და ტროსის, რაც შეიძლება მეტ ეკონომიას, და ყველაზე მეტ გამომუშავებას თვითეულ მექანიზმსა და ერთ კუბურ მეტრ ციცხვზე.

3. სამშენებლო მექანიზმების უავარიო მუშაობას.

4. სამშენებლო და მიწის სათხრელი მანქანების, ტრაქტორებისა და ავტომანქანების რემონტის გეგმის ვადამდე და ხარისხიანად შესრულებას მაღალი ხარისხით.

5. შრომის ნაყოფიერებისა და სამშენებლო სამუშაოთა ღირებულების შემცირების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

ელექტროსადგურების მთავარი სამმართველოს საექსპლუატაციო ორგანიზაციაში

ნახევარი წლის მუშაობის შედეგების მიხედვით

1. საკუთარი და მოიჯარადრე ელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების, ელექტროენერგიის მომხმარებლისათვის მიწოდების (როცა არ არის ავარია) გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას; სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესებში ელექტროენერგიის დანერგვის გეგმის შესრულებას.

2. საკოლმეურნეო ელექტროსადგურებისა და ელექტროდანადგარების ექსპლუატაციაში ორგანიზებული და ტექნიკური დახმარების აღმოჩენის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას (მომსახურების ელექტროსადგურებისა და დანადგართა რემონტის მოცულობის მიხედვით).

3. ელექტროსადგურებისა და ქვესადგურების ავტომატიზაციის, მოძველებული მოწყობილობისა და ელექტროაპარატურის შეცვლის გეგმის შესრულებას; ელექტროსადგურის, ქვესადგურებისა და ელექტროქსელის გეგმის შესრულებას.

4. ელექტროენერგიის თვითღირებულების შემცირებას.

გარდა ამისა, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებულ იქნება შრომის დაცვისა და უსაშიშრობის ტექნიკის დაცვის მდგომარეობა; საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გეგმის შესრულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეაბრეშუმეობის სამმართველოს საწარმოებსა და ორგანიზაციის დარგში

სადრენაჟო ქარხნებისა და საჯიშე მეაბრეშუმეობის სადგურებში

ნახევარი წლის მუშაობის შედეგების შესახებ

1. აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციის, ჭიის თესლის გაცემის, დამზადების, მოსავლიანობისა და საჯიშე გამონაკვებისაგან პარკის შემადგენლობის ჯიშობრივი შემადგენლობის გეგმის შესრულება.

2. ჯიშისა და ჰიბრიდის, გრენის გამოსავლიანობის მიხედვით წარმოების გეგმის შესრულებას, როცა ადგილი არ ჰქონდა ჭიის დაავადებას.

3. თუთის ხის რგვის გეგმის შესრულებას, თუ იყო თუთის ხის გახარების კარგი მაჩვენებლები, პლანტაციებისა და თუთის ხეების შენარჩუნებას.

4. გრენის თვითღირებულების შემცირებით ზეგეგმითი მოგების მიღებას.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ყოველ კვარტალში შეჯამების დროს ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში გათვალისწინებული იქნება შემდეგი პირობები, რომელთა შესრულება სავალდებულოა:

ა) ახალი ტექნიკისა და კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის გეგმის შესრულება სათოხნი კულტურების დამუშავებაში;

ბ) მიღებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გეგმის შესრულება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების დასაჯილდოებლად დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, ერთი მეორე და ერთი მესამე ფულადი პრემია.

საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს აჯამებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგია და სოფლის მეურნეობისა და დამზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი გაერთიანებულ ბიულეტენებ ბუღალტერიის ანგარიშების მონაცემთა საფუძველზე კვარტალისა და ნახევარი წლის შედეგების მიხედვით არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის შემდგომი თვის 25 რიცხვისა და წლის შედეგებს არა უგვიანეს 25 თებერვლისა.

ზოგიერთი გათვალისწინებული მაჩვენებლის შეუსრულებლობის დროს ცალკეულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს არ მიეცემათ პრემიები ნაწილობრივ ან მთლიანად.

ფულადი პრემიები იხარჯება იმ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების დასაჯილდოებლად, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი.

20 ათას მანეთზე მეტი პრემიიდან 30 პროცენტი გადაირიცხება მუშა-მოსამსახურეების კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად.

20 ათას მანეთამდე (ჩათვლით) მიღებული პრემიიდან კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის გადარიცხვა არ იწარმოებს და მთელი თანხა ხმარდება ინდივიდუალურ პრემირებას.

ინდივიდუალური პრემიებისათვის გათვალისწინებული თანხის სულ ცოტა 70—75 პროცენტი უნდა მოხმარდეს მუშების პრემირებას.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოებისა და მეურნეობების დირექტორები, მთავარი სპეციალისტები და მთავარი ბუღალტრები შეიძლება დაჯილდოებულ იქნენ სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაში მათი პირადი დამსახურების გათვალისწინებით, უმაღლესი სამეურნეო ორგანოებისა და პროფკავშირის კომიტეტების გადაწყვეტილებით, თანამდებობრივი თვიური განაკვეთის 75 პროცენტის ოდენობით.

მუშების, სპეციალისტების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების ინდივიდუალურ დაჯილდოებას, აგრეთვე იმ სახსრების დახარჯვას, რომლებიც გათვალისწინებულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის, აწარმოებს წარმოების (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი მუშათა, პროფკავშირის საფაბრიკო საქარხნო, სამშენებლო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი მოუწოდებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოთა და ორგანიზაციათა ყველა მუშას, სპეციალისტს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს და მოსამსახურეს ფართოდ გაეჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება თვითეული საწარმოს შიგნით, კოლექტივებს, ბრიგადებს, საამქროებს, ცვლებს, განყოფილებებს, უბნებს შორის, აგრეთვე ინდივიდუალური შეჯიბრება ყველა მუშას შორის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების შვიდწლიანი გეგმის ვადამდე, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს
რესპუბლიკური საბჭოს 1959 წლის
14 ოქტომბრის № 816 დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრებისა

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების ყველა მშრომელი, უდიდესი პატრიოტული აღმავლობით შეხვდნენ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელმაც დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრები.

ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და სხვა საწარმოებში მშრომელები კისრულობენ კონკრეტულ სოციალისტურ ვალდებულებებს შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესასრულებლად და აწყობენ ბრძოლას ამ ვალდებულებათა გასანაღდებლად.

1959—1965 წლების შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს საქართველოს მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის და პირველ რიგში მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მევენახეობისა და მეხილეობის, აგრეთვე მეცხოველეობის აღმავლობას ერთნახევარ—ორჯერ.

შვიდწლიანი გეგმით დიდი ამოცანებია დასახული ჩვენი რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სისტემის მუშაკთა წინაშე. შვიდწლედის განმავლობაში დასახულია აიგოს და გადაეცეს საექსპლუატაციოდ სარწყავი არხები, რომლებითაც მოირწყვება 35 ათასი ჰექტარი მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წები და ამოშრობილ იქნება 20 ათასი ჰექტარი იმ ანგარიშით, რომ 1965 წელს სარწყავი მიწების საერთო ფართობის ფონდმა შეადგინოს 370 ათასი ჰექტარი და ამოშრობილი მიწებისამ—125 ათასი ჰექტარი.

შეგნებული აქვთ რა იმ ამოცანების დიდი მნიშვნელობა, რომლებიც დასახულია შვიდწლიანი გეგმით რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის წინაშე, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს წყალთა მეურნეობის მშენებლობათა და სარწყავი სისტემების კოლექტივებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

მხარი დაუჭირა რა რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის მოწინავე მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების პატრიოტულ ინიციატივას, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი აცხადებენ შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებიც უზრუნველყოფენ:

ა. სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოებში ტრესტებსა და კანტორებში

ყოველ კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით

1. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, მათ შორის საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმის შესრულებას.

2. სარწყავი და ამოშრობილი მიწების, საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების დაწესებულ ვადაში საექსპლუატაციოდ გადაცემას, შესრულებული სამუშაოს კარგი ხარისხით.

3. ერთი მუშის გამომუშავების კვარტალური გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების გეგმის გადაჭარბებით შესრულებას საანგარიშო კვარტალში და ზეგეგმითი დაგროვების მიღებას.

5. მიწის სამუშაოების მექანიზაციის, მათ შორის კომპლექსურ-მექანიზებული სამუშაოების გეგმის შესრულებას.

6. ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოების, მათ შორის ასაწყობი რკინაბეტონის სამუშაოთა გეგმის შესრულებას.

7. შრომის დაცვის, უსაშიშრობის ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის ნომენკლატურულ ღონისძიებათა განსახორციელებლად გათვალისწინებული სახსრების ათვისებას ისე, რომ არ ჰქონდეთ საწარმოო ტრავმატიზმი და უბედური შემთხვევები.

ბ. სამმართველო სისტემაში

წლის პირველ ნახევარში მუშაობის შედეგების მიხედვით

1. სარწყავი მიწების ფართობების საირიგაციო მომზადების და დაწესებულ ვადებში ასათვისებლად მათი აქტებით ჩაბარების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

2. მექანიზებული სარწყავი ქსელის გაწმენდის და მექანიზებული და მეურნეობათშორისი ამოსაშრობი ქსელის მექანიზებული და ხელით გაწმენდის გეგმის, სატუმბავი სადგურებისა და ჰიდრავლიკურ ნაგებობათა აგრეგატების რემონტის გეგმის, ჰიდრომეტრული პოსტების და სხვა წყალსაზომი დანადგარების რემონტისა და მშენებლობის გეგმის, წყალმეტობის საწინააღმდეგო სამუშაოთა დაწესებულ ვადებში კარგი ხარისხით შესრულების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, თუ აქვთ ეკონომია ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულზე მეტი მთლიანად ყველა ამ სამუშაოზე.

3. ყველა მოქმედი ჰიდრომეტრული პოსტის ტარიროვკას, თუ ექნება შედგენილი თვითეული პოსტისათვის არხში წყლის ჰორიზონტსა და ხარჯვას შორის ფუნქციური დამოკიდებულების გრაფიკი.

4. შრომის დაცვის, უსაშიშრობის ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის ნომენკლატურულ ღონისძიებათა განსახორციელებლად გათვალისწინებული სახსრების ათვისებას ისე, რომ არ ჰქონდეთ ტრავმატიზმი და უბედური შემთხვევები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის მუშაობის შედეგების მიხედვით

1. დაწესებულ ვადებში წყლის მიწოდების გეგმის შესრულება, როცა მეურნეობათშორისი სარწყავი არხების (თვითმდინარი) სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტია სულ ცოტა 0,75 და მექანიკური რწყვის ამავე კატეგორიის არხებისა — 0,85.

2. სარწყავი მიწების ფართობების საირიგაციო მომზადების და დაწესებულ ვადებში სასოფლო-სამეურნეო ასათვისებლად მათი აქტებით ჩაბარების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

3. მომსახურების ზონაში წამყვანი კულტურების მოსავლიანობის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

4. მექანიზებული სარწყავი ქსელის გაწმენდის და მექანიზებული და მეურნეობათშორისი ამოსაშრობი ქსელის მექანიზებული და ხელით გაწმენდის გეგმის, სატუმბავი სადგურებისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა აგრეგატების რემონტის გეგმის, ჰიდრომეტრული პოსტების და სხვა წყალსაზომი დანადგარების რემონტისა და მშენებლობის გეგმის, წყალმეტობის საწინააღმდეგო სამუშაოთა დაწესებულ ვადებში კარგი ხარისხით გეგმების შესრულებას და აქვთ ეკონომია ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულზე მეტი მთლიანად ყველა ამ სამუშაოზე.

5. საოპერაციო ხარჯების წლიური გეგმის შესრულებას, როცა აქვთ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ეკონომია ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულზე მეტი და შრომითი მონაწილეობის გეგმის შესრულებას.

6. სატუმბავი სადგურებისა და მექანიზმების უავარიო მუშაობას.

7. შრომის დაცვის, უსაშიშრობის ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის ნომენკლატურულ ღონისძიებათა განსახორციელებლად გათვალისწინებული სახსრების ათვისებას ისე, რომ არა ჰქონდეთ ტრავმატიზმი და უბედური შემთხვევები.

3. სამანქანო-საექსკავატორო სადგურებში

ყოველ კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით

1. არხების მშენებლობისა და გაწმენდის მექანიზებულ სამუშაოთა, გუბურებისა და წყალსაცავების მშენებლობისა და გაწმენდის სამუშაოთა კარგი ხარისხით მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ექსკავატორების, სკრეპერების, ბულდოზერებისა და მიწისსათხრელი სხვა მანქანების საუკეთესოდ გამოყენებას ასევე ამაღლებენ აღწიონ მანქანებისა და მექანიზმების უავარიო მუშაობას.

3. ექსკავატორების, მისაბმელი მიწისსათხრელი მანქანების, ტრაქტორებისა და ავტომანქანების მაღალი ხარისხის რემონტის გეგმის შესრულებას, მასალებისა და ფულადი სახსრების ეკონომიას.

4. საწვავის, ტროსების რაც შეიძლება მეტ ეკონომიას დაწესებულ ნორმებთან შედარებით.

5. ციცხვის ერთი კუბური მეტრის ტევადობის გამომუშავების სადირექტივო ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას და სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებას.

6. ხელფასის ფონდის ეკონომიას.

7. საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმის შესრულებას II, III და IV კვარტალში მოცულობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის მიხედვით გათვალისწინებულ ვადებში, როცა სამუშაოები კარგი ხარისხით შესრულდა ნახევარ წელიწადში, ცხრა თვეში და მთლიანად წელიწადში.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ყოველ კვარტალში შეჯამების დროს ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში, როგორც შესასრულებლად სავალდებულო გათვალისწინებულ იქნება შემდეგი პირობები:

ა) ახალი ტექნიკისა და მოწინავე პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის გეგმის შესრულება;

ბ) მიღებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გეგმის შესრულება;

გ) საწარმოს რიტმული მუშაობა, მანქანების, ჩარხების, მოწყობილობისა და სხვა ტექნიკის საწარმოო სიმძლავრეთა მთლიანად გამოყენება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების დასაჯილდოებლად წესდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, ერთი მეორე და ერთი მესამე ფულადი პრემიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს აჯამებს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე კვარტალში და ნახევარ წელიწადში მუშაობის შედეგების მიხედვით არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის შემდგომი თვის 25 რიცხვისა და წლის შედეგებს მომდევნო წლის არა უგვიანეს 25 თებერვლისა.

გათვალისწინებული ზოგიერთი მაჩვენებლის შეუსრულებლობის დროს საწარმოთა და ორგანიზაციათა ცალკე ხელმძღვანელებს ჯილდო არ მიეცემათ ნაწილობრივ ან მთლიანად.

ფულადი პრემიები ხმარდება იმ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების დაჯილდოებას, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი.

20 ათას მანეთზე მეტი პრემიიდან 30 პროცენტი გადაირიცხება მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის.

20 ათას მანეთამდე (ჩათვლით) მიღებული პრემიიდან კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის გადარიცხვა არ წარმოებს და პრემიის მთელი თანხა ხმარდება ინდივიდუალურ დაჯილდოებას.

ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის განკუთვნილი თანხის სულ ცოტა 70 პროცენტი უნდა მოხმარდეს მუშების დაჯილდოებას.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა დირექტორები (უფროსები), მმართველები და მათი მოადგილეები მთავარი ინჟინრები და მთავარი ბუღალტრები შეიძლება დაჯილდოებულ იქნენ თვიური განაკვეთის 75 პროცენტის ოდენობით.

მუშების, სპეციალისტების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების და მოსამსახურეების ინდივიდუალურ დაჯილდოებას, აგრეთვე იმ სახსრების ხარჯვას, რომლებიც გათვალისწინებულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის, აწარმოებს საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი მუშებთან, პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო, მშენებლობის, ადგილობრივ კომიტეტებთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი მოუწოდებენ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოთა და ორგანიზაციათა ყველა მუშას, სპეციალისტს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მონათესავე საწარმოებს შორის, თვითეული საწარმოს შიგნით, ბრიგადების, საამქროების, ცვლების, განყოფილებების, უბნების კოლექტივებს შორის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ყველა მუშას შორის ინდივიდუალური შეჯიბრების გაჩაღებას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების შვიდწლიანი გეგმის ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს და პროფსაბჭოს საქار-
თველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის
1959 წლის 14 ოქტომბრის № 816
დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციების სოციალისტური შეჯიბრებისა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები, რომელმაც დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრები, საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკის მშრომელებმა, მიიღეს დიდი პატრიოტული აღმავლობით.

ყველგან — ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში და ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა საწარმოში მშრომელები განსაზღვრავენ იმ მიჯნებს, რომლებიც მათ უნდა გადალახონ უახლოეს შვიდ წელიწადში, კისრულობენ კონკრეტულ ვალდებულებებს შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესასრულებლად და აწყობენ ბრძოლას ამ ვალდებულებათა განსახორციელებლად.

დიდებული პროგრამის — ჩვენს ქვეყანაში ხორბლეულის მოსავლის შვიდწლედის ბოლოსათვის 10—11 მილიარდ ფუთამდე აყვანის შესრულება დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს პურის პროდუქტების სისტემის მუშაკებს. მათ შემდგომ უნდა გააფართოონ საფქვავის და ცეხვილის, კომბინირებული საკვების მრეწველობის, საელევატორო-სასაწყობო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უზრუნველყონ სახელმწიფოს პურის მარაგის ხარისხობრივი და რაოდენობრივი სრული დაცვა.

საქართველოს სსრ საფქვავი და კომბინირებული საკვების მრეწველობის განვითარების შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია, რომ რესპუბლიკამ მთლიანად დაიკმაყოფილოს თავი საკუთარი წარმოების ფქვილით და მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მეცხოველეობა კარგი ხარისხის კომბინირებული საკვებით.

შეგნებული აქვთ რა დიდი მნიშვნელობა ამოცანებისა, რომლებიც დასახულია საქართველოს სსრ საფქვავი და კომბინირებული საკვების მრეწველობის წინაშე შვიდწლიანი გეგმით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურპროდუქტების მთავარი სამმართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და ჩაებნენ ბრძოლაში შვიდწლედის საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

მხარი დაუჭირა რა სარეალიზაციო ბაზებისა და პურის მიმღები პუნქტების მოწინავე მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების პატრიოტულ ინიციატივას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების მთავარი სამმართველო, სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი აცხადებენ სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციების ის კოლექტივები, რომლებიც უზრუნველყოფენ:

I. პურის მიმღებ პუნქტებში, ელევატორებსა და ბაზებში თვითეულ კვარტალში

1. პურის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შენახვას, აგრეთვე მარცვლეულის, ზეთოვანი კულტურებისა და სიმინდის ჰიბრიდული ჯიშიანი თესლის შენახვას (არ უნდა იყოს დანაკლისი, გაფუჭება და მარცვლის დაავადება გრძელცხვირათი და მეორე ხარისხის ტკიპათი).

2. მარცვლის, მარცვლეულის, ზეთოვანი კულტურებისა და ჰიბრიდული სიმინდის თესლის გაშრობისა და გაწმენდის გეგმების შესრულებას.

3. დაშორებული პუნქტებიდან მარცვლეულის გამოტანის გეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის შესრულებას (მონაცემების წარდგენა შეჯიბრების შესახებ წარმოებს პირველი და მეოთხე კვარტალების შედეგების მიხედვით).

4. მარცვლეულისა და ბალახის თესლის სახელმწიფო გეგმის შესრულებას.

5. დაწესებული კონდიციის მარცვლეულის, პროდუქციისა და თესლის გადაზიდვის გეგმის შესრულებას.

6. ტექნიკური ბაზის მომზადების გეგმის დროულად შესრულებას (წარდგენილ უნდა იქნეს მონაცემები მეორე კვარტალში შეჯიბრების შედეგებზე), აგრეთვე საწარმოო ობიექტების, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულებას კარგი ხარისხით.

7. ახალი ტექნიკის, მიღებული რაციონალიზატორული წინადადებათა დანერგვის გეგმის შესრულებას, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის დონეს, აგრეთვე ამ სამუშაოებზე შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმას.

8. რკინიგზის ვაგონების, გემების, კარპაჭებისა და ავტომანქანების დროულად დატვირთვა-გადმოტვირთვას.

9. თივის დაწნეხვის გეგმის შესრულებას (მონაცემები წარდგენილ უნდა იქნეს მეორე კვარტალის შეჯიბრების შედეგებზე).

10. საანგარიშო კვარტალში დასახარჯავი სახსრების ეკონომიას (მთლიანად საერთო დასამზადებელი ხარჯებისა ხარჯთაღრიცხვით და პირდაპირი ხარჯებისა შესრულებული ტვირთბრუნვის მოცულობის გათვალისწინებით).

გარდა ამისა პუნქტების, ბაზებისა და ელევატორების სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ მუშების რაოდენობა, რომლებმაც შეისწავლეს მუშაობის მოწინავე მეთოდები, ხომ არ იყო ტრავმატიზმის შემთხვევები და დროულად აითვისეს თუ არა ასიგნებანი შრომის დაცვისათვის, მიღებული და დანერგილი რაციონალიზატორული წინადადებანი და გამოგონებანი, აგრეთვე შრომის დისციპლინის მდგომარეობა საანგარიშო კვარტალში.

II. საფქვავის, ცეხვილისა და კომბინირებული საკვების მრეწველობაში თვითეულ კვარტალში

1. მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

2. ფქვილის, ცეხვილისა და კომბინირებული საკვების და ასორ-

ტიმენტის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, ფქვილის, ცეხვილისა და კომბინირებული საკვების გამოსაყენებელ ნორმებ-ბის დაწესებული ნორმების შესრულებას.

3. პროდუქციის ხარისხში რეკლამაციის უქონლობას.

4. შრომის ნაყოფიერების გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

5. სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიას.

6. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმის გადაჭარბებით შესრულებას და საანგარიშო პერიოდში ზეგეგმითი ეკონომიის მიღებას.

7. საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმის შესრულებას (სამეურნეო საშუალებებით) მოცულობით და საექსპლუატაციოდ გადაცემას მუშაობის კარგი ხარისხით.

გარდა ამისა, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს მუშების რაოდენობა, რომლებმაც შეისწავლეს მუშაობის მოწინავე მეთოდები, ვაგონებისა და გემების დროულად დატვირთვა-გადმოტვირთვა (დროის ნორმებთან შედარებით), ხომ არ იყო ტრავმატიზმის შემთხვევები და დროულად აითვისეს თუ არა ასიგნებანი შრომის დაცვისათვის, მიღებული და დანერგილი რაციონალიზატორული წინადადებანი და გამოგონებანი, აგრეთვე შრომის დისციპლინის მდგომარეობა საანგარიშო კვარტალში.

მექანიკურ და ტარის სახელოსნოებში თვითეულ კვარტალში

1. ძირითადი პროდუქციის დაწესებული ნომენკლატურის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

2. შრომის ნაყოფიერების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

3. სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიას გათვალისწინებული ნორმის ზევით.

4. პროდუქციის ხარისხის რეკლამაციის უქონლობას (ტომრების დახარისხება) და ტარის მთლიანად შენარჩუნებას ტარის ფაბრიკებსა და „ზაგოტზერნოსა“ და „გლავმუკას“ სახელოსნოებში.

5. სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და საანგარიშო კვარტალში ზეგეგმითი დაგროვების მიღებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების
დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ მუშების
რომლებმაც შეისწავლეს მუშაობის მოწინავე მეთოდები, ხომ არ
იყო ტრავმატიზმის შემთხვევები და დროულად აითვისეს თუ არა
ასიგნებანი შრომის დაცვისათვის, მიღებული და დანერგილი რაციონალიზატორული წინადადებანი და გამოგონებანი, აგრეთვე შრომის
დისციპლინის მდგომარეობა საანგარიშო კვარტალში.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების დასაჯილდოებლად დაწესებულია: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფსაბჭოს საქართველოს
რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა ერთი
ფულადი პრემიით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს და სოფლის
მეურნეობის და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი
წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, ერთი მეორე და ერთი
მესამე ფულადი **პრემიები.**

საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს აჯამებს სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების მთავარ სამმართველოსთან ერთად საბუღალტრო გაანგარიშებათა საფუძველზე თვითეული კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით არა უგვიანეს საანგარიშო
კვარტალის შემდგომი თვის 25 რიცხვისა.

თუ ზოგიერთი გათვალისწინებული მაჩვენებელი შესრულებული
არ არის, საწარმოთა და ორგანიზაციათა ცალკეულ ხელმძღვანელებს
პრემია არ ეძლევათ მთლიანად ან ნაწილობრივ.

ფულადი პრემიები ეძლევათ იმ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, სპეციალისტებს და მოსამსახურეებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

20 ათას მანეთზე მეტი პრემიიდან 30 პროცენტი გადაირიცხება
მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო
პირობების გასაუმჯობესებლად.

20 ათას მანეთამდე პრემიიდან (ჩათვლით) კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის გადარიცხვა არ წარმოებს და მთელი თანხა ხმარდება ინდივიდუალურ დაჯილდოებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

796 J

ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის გათვალისწინებული მთელი თანხიდან სულ ცოტა 75 პროცენტი უნდა მოხმარდეს ქუშების დაჯილდოებას.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა დირექტორები, მთავარი სპეციალისტები და მთავარი ბუღალტრები შეიძლება დაჯილდოებულ იქნან სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში მათი პირადი დამსახურების გათვალისწინებით, ზემდგომი სამეურნეო ორგანოებისა და პროფკავშირთა კომიტეტების გადაწყვეტილებით. მათ ჯილდო ეძლევათ თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 75 პროცენტის ოდენობით.

მუშების, სპეციალისტების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების ინდივიდუალურ დაჯილდოებას, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად გათვალისწინებული სახსრების ხარჯვას აწარმოებენ საწარმოთა (ორგანიზაციათა) ხელმძღვანელები მუშებთან, პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო, მშენებლობის, ადგილობრივ კომიტეტებთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების მთავარი სამმართველო და სოფლის მეურნეობის დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი მოუწოდებენ ყველა მუშას, სპეციალისტს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს ფართოდ გაეჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება თვითეული საწარმოს შიგნით, ბრიგადების, საამქროების, ცვლების, უბნების, განყოფილებების კოლექტივებს შორის, აგრეთვე ინდივიდუალური შეჯიბრება ყველა მუშას შორის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების შვიდწლიანი გეგმის ვადაზე ადრე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს და პრეზიდიუმი
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს
1959 წლის 14 ოქტომბრის № 816
დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრებისა

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების ყველა მშრომელი, უდიდესი პატრიოტული აღმავლობით შეხვდნენ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელმაც დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრები.

ყველგან—ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, სატყეო მეურნეობებსა და სხვა საწარმოებში მშრომელები კისრულობენ კონკრეტულ ვალდებულებებს შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესასრულებლად და აწყობენ ბრძოლას ვალდებულებათა გასანაღდებლად.

შვიდწლიანი გეგმით დიდი ამოცანებია დასახული საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მუშაკთა წინაშე. 1959—1965 წლებში გათვალისწინებულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინდვრებში და სხვა მიწის სავარგულებში დაინერგოს 19 ათასი ჰექტარი ტყესაცავი ზოლები, რაც მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებას.

შეგნებული აქვთ რა იმ ამოცანების დიდი მნიშვნელობა, რომლებიც დასახა შვიდწლიანმა გეგმამ რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის წინაშე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ტყესაცავი ზოლების გაშენების შვიდწლიანი გეგმის წარმატებით და ვადამდე შესრულებისათვის, ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალური გამოყენებისათვის, რესპუბლიკაში ახალი ტყეების შექმნისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარი დაუჭირეს რა სატყეო მეურნეობის მუშების, სპეციალისტების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების პატრიოტულ ინიციატივას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურმა კომიტეტმა გამოაცხადეს შეჯიბრების შემდეგი პირობები:

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებიც უზრუნველყოფენ:

სატყეო მეურნეობებში

კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით:

1. ტყის თესვისა და რგვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას და მოვლის დროულად მოწყობას.

2. ტყის კულტურების გახარების რაც შეიძლება დიდ პროცენტს (აღირიცხება IV კვარტალის შედეგებით);

3. სატრაქტორო სამუშაოთა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას და მისი თვითღირებულების შემცირებას (აღირიცხება IV კვარტალის შეჯიბრების შედეგებით);

4. ტყის მოედნის და მასის ჩეხვის, მოვლის და ხე-ტყის დამზადებისათვის მასობრივი ჩეხვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, როცა მთლიანად გაწმენდილია ტყესაკაფი მიმდინარე წელს.

5. ტყის ბუნებრივი აღდგენის ხელის შეწყობის გეგმის შესრულებას.

6. ტყესაკაფის ფონდის დროულად გამოყოფას.

7. მერქნის დამზადებისა და გამოზიდვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, როცა უზრუნველყოფილია სამასალე მერქნის რაც შეიძლება მეტი გამოსავლიანობა.

8. ფართო მოხმარების ნაკეთობათა წარმოებისა და რეალიზაციის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას ხე-ტყის ნარჩენების საუკეთესო გამოყენებით.

ფართო მოხმარების პროდუქციის წარმოების გადიდებას მექანიზებული წესით.

9. საკუთარ საშუალებათა მობილიზაციის გეგმის შესრულებას.

10. მოცულობის მიხედვით კაპიტალური მშენებლობისა და საწარმოო შენობების, საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებო ნაგებობათა მშენებლობის და საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულებას, როცა შესრულებულია მშენებლობის ღირებულების შემცირებისა და კარგი ხარისხის მშენებლობის გეგმა (II, III და IV კვარტალებისა).

11. სამერქნე-საბუჩქნარე და სანაყოფე-ტექნიკური ჯიშების თესლის თესვის, სკოლის გაშენების, ნათესებისა და ნარგავების მოვლის და ნიადაგის მომზადების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

12. ჯიშების ჯგუფების მიხედვით სანერგე მასალის გაზიდვის დაწესებული გეგმის შესრულებას, როცა ფართობის ერთეულზე თესლნერგისა და ნერგის ყველაზე მეტი გამოსავლიანობაა მხოლოდ წლის მეორე ნახევარში.

13. სამერქნე-საბუჩქე და სანაყოფე-ტექნიკური ჯიშების მაღალხარისხოვანი თესლის დამზადების გეგმის შესრულებას, I და II კლასის მეტი გამოსავლიანობით.

14. თესლისა და სანერგე მასალის, რეალიზაციის გეგმის შესრულებას და გადამეტებას.

15. სამეურნეო საქმიანობის შედეგად ზეგეგმითი მოგების მიღებას.

16. ახალი ტექნიკისა და მოწინავე პროგრესული ტექნოლოგიის, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა და წარმოების ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების დანერგვას, მეურნეობის რიტმულ მუშაობას, მანქანების, მოწყობილობისა და სხვა ტექნიკის მთლიანად გამოყენებას.

17. შრომის დაცვის, უსაშიშრობის ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის ღონისძიებათა განსახორციელებლად გათვალისწინებული სახსრების ათვისებას, ისე რომ არ იყოს საწარმოო ტრავმატიზმი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების დასაჯილდოებლად დაწესებულია 5 პრემია, მათ შორის:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშამოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, ერთი მეორე და ერთი მესამე ფულადი პრემიები.

საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება ხდება სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოსთან ერთად, საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე კვარტალში და ნახევარ წელიწადში მუშაობის შედეგების მიხედვით არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის შემდგომი თვის 25 რიცხვისა და წლის შედეგების მიხედვით მომდევნო წლის არა უგვიანეს 25 თებერვლისა.

გათვალისწინებული ზოგიერთი მაჩვენებლის შეუსრულებლობის დროს საწარმოთა და ორგანიზაციათა ცალკე ხელმძღვანელებს ჯილდო არ მიეცემათ ნაწილობრივ ან მთლიანად.

ფულადი პრემიები ხმარდება იმ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების დაჯილდოებას, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი.

20 ათას მანეთზე მეტი პრემიიდან 30 პროცენტი გადაირიცხება მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად.

20 ათას მანეთამდე (ჩათვლით) მიღებული პრემიიდან კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის გადარიცხვა არ წარმოებს და პრემიის მთელი თანხა ხმარდება ინდივიდუალურ დაჯილდოებას.

ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის განკუთვნილი თანხის სულ ცოტა 70 პროცენტი უნდა მოხმარდეს მუშების დაჯილდოებას.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა დირექტორები, მთავარი სპეციალისტები და მთავარი ბუღალტრები სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში მათი პირადი დამსახურების გათვალისწინებით შეიძლება დაჯილდოებულ იქნენ ზემდგომი სამეურნეო ორგანოების და პროფკავშირის კომიტეტთა დადგენილებით თვიური განაკვეთის 75 პროცენტის ოდენობით.

მუშების, სპეციალისტების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების ინდივიდუალურ დაჯილდოებას, აგრეთვე იმ სახსრების ხარჯვას, რომლებიც გათვალისწინებულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის, აწარმოებს საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი მუშებთან, პროფკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირის საფაბრიკო-საქარხნო, მშენებლობის, ადგილობრივ ... ტებთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო და სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი მოუწოდებენ საწარმოთა და ორგანიზაციათა ყველა მუშას, სპეციალისტს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მონათესავე საწარმოებს შორის, თვითეული საწარმოს შიგნით, ბრიგადების, საამქროების, ცვლების, განყოფილებების, უბნების კოლექტივებს შორის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ყველა მუშას შორის ინდივიდუალური შეჯიბრების გაჩაღებას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების შვიდწლიანი გეგმის ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს 1959 წლის 14 ოქტომბრის № 816 დადგენილებით

პრემიების სკალა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს და სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს კოლექტივებისათვის, რომლებიც გაიმარჯვებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში

მეურნეობებისა და საწარმოთა დაყოფა მუშათა რაოდენობის მიხედვით	პრემიის ოდენობა ათას მანეთობით კვარტალში		
	პირველი პრემია	მეორე პრემია	მესამე პრემია
100-დან 150 კაცამდე	8.000	6 000	4.000
151 „ 200 „	10.000	7.500	5.000
201 „ 250 „	12.000	9 000	6.000
251 „ 300 „	14.500	10.875	7.250
301 „ 400 „	17.000	12.750	8.500
401 „ 500 „	20.000	15.000	10.000
501 „ 750 „	23.000	17.250	11.500
751 „ 1000 „	26.000	19 500	13.000
1001 „ 1250 „	29.000	21.750	14.500
1251 „ 1500 „	32.000	24.000	16.000
1501 „ 1750 „	35.000	26.250	17.500
1751 „ 2000 „	38.500	28.875	19.250
2001 „ 2500 „	42.000	31.500	21.000
2501 „ 3000 „	45.500	34.125	32.750
ზევით 3000 „	50.000	37.500	25.000

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი პრემია ეძლევათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარ-ჯვებულ იმ საწარმოებს, რომელთაც ენიჭებათ სამინისტროს ან სამმართველოს და პროფკავშირის რაიკომის გარდამავალი წითელი დროშა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფ-საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭების დროს საწარმოს კოლექტივს პრემიის ოდენობა უდიდდება 25 პროცენტით, იმ პრე-მიასთან შედარებით, რომელიც დაწესებულია, როცა ენიჭება სამი-ნისტროს ან სამმართველოს და პროფკავშირის რაიონული კომიტე-ტის გარდამავალი წითელი დროშა.

იმ საწარმოთა, კოლექტივებს, რომლებშიც მუშათა რაოდენობა 100 კაცზე ნაკლებია, პრემია მიეცემათ მუშათა რაოდენობის პრო-პორციულად პრემიის თანხიდან, რომელიც გათვალისწინებულია საწარმოსათვის, რომელშიც 100 კაცი მუშაობს, მაგრამ არა ნაკლებ ამ თანხის 50 პროცენტისა.

საწარმოსათვის მიცემული პრემიების თანხის 60—70 პროცენტი ხმარდება მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახუ-რეებისათვის ინდივიდუალური პრემიების გაცემას და 30—40 პრო-ცენტი კოლექტივის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას.

20 ათას მანეთამდე (ჩათვლით) პრემიიდან კულტურულ-საყოფა-ცხოვრებო საჭიროებისათვის გადარიცხვა არ წარმოებს და მთელი თანხა ხმარდება ინდივიდუალური პრემიების გაცემას. ინდივიდუა-ლური პრემიებისათვის განკუთვნილი თანხის 75 პროცენტი ხმარდე-ბა მუშებისათვის პრემიების მიცემას.

მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად თანხების ხარჯვას, აგრეთვე ინდივიდუალური პრემიების ოდენობის განსაზღვრას აწარმოებენ მეურნეობათა და საწარმოთა ხელმძღვანელები მუშებთან, პროფკავშირის საქარხნო, მშენებლობის, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორ-განიზაციათა დირექტორებს, მთავარ სპეციალისტებსა და მთავარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუღალტრებს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში შეტანილი დამსახურების გათვალისწინებით შეიძლება მიეცეთ პრემიები ... გომი სამეურნეო ორგანოებისა და პროფკავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებით თანამდებობრივი თვიური განაკვეთის დაახლოებით 75 პროცენტის ოდენობით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოებს პრემიები მიეცემათ მუშაობის შედეგების მიხედვით, რომელიც დადასტურებულია საბუღალტრო გაანგარიშებით.

97 იმ პირთათვის შემცირებული სამუშაო დღის ან შემცირებული სამუშაო კვირის დაწესების შესახებ, რომლებიც წარმატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში — საღამოს (ცვლების სეზონურ) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ნოემბრის № 1233 დადგენილება „იმ პირთათვის შემცირებული სამუშაო დღის ან შემცირებული სამუშაო კვირის დაწესების შესახებ, რომლებიც წარმატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—საღამოს (ცვლების, სეზონურ) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებსა და რესპუბლიკურ კომიტეტებს.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას შეიმუშაონ განათლების ორგანოებთან ერთად და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა კვების მოწყობას მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებთან, რისთვისაც მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს მოქმედი ბუფეტების მუშაობა და გაიხსნას ახალი ბუფეტები, რომლებშიაც გაიყიდება რძისა და სხვა იაფი პროდუქტები და პურფუნთუშის ნაკეთობანი.

მიღებული ზომების შესახებ მოხსენდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არა უგვიანეს 1960 წლის 1 მარტისა.

3. პროფკავშირთა აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოებმა და რესპუბლიკურმა კომიტეტებმა მისცენ მითითება პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა უზრუნველყონ სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, ტურისტული ბანაკებისა და პროფილაქტორიუმების საგზურებზე მყოფ პირები, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ—მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში.

4. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებსა და რესპუბლიკურ კომიტეტებს:

ა) მიიღონ ზომები და უზრუნველყონ მოსწავლეთა კვების მოწყობა მუშა-ახალგაზრდობის სკოლებთან, საჭირო დახმარება აღმოუჩინონ ამ საქმეში როგორც სკოლებს, ისე ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანოებსაც;

ბ) კონტროლი გაუწიონ იმას, რომ საწარმოების, კოლმეურნეობებისა და სკოლების ხელმძღვანელებმა, აგრეთვე ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანოებმა სწორად განახორციელონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილება.

საქართველოს სსრ	პროფკავშირთა საქართველოს
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.	**მ. ლელაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 19 დეკემბერი, № 976

ა ს ლ ი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 1233

1959 წლის 5 ნოემბერი

მოსკოვი, კრემლი

იმ პირთათვის შემცირებული სამუშაო დღის ან შემცირებული სამუშაო კვირის დაწესების შესახებ, რომლებიც წარმატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—საღამოს (ცვლების, სეზონურ) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

სსრ კავშირში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაწესდეს იმ პირთათვის, რომლებიც წარმატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მუშა ახალგაზრდობის სკოლების (ცვლების) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX—XI კლასებში, სასწავლო წლის პერიოდში სამუშაო კვირა, შემცირებული ერთი სამუშაო დღით ან სამუშაო საათების მისი შესაბამისი რაოდენობით (როდესაც სამუშაო დღე შემცირებული იქნება კვირის განმავლობაში). ხოლო იმ პირთათვის, რომლებიც სწავლობენ სოფლის ახალგაზრდობის სკოლების—საღამოს (ცვლების, სეზონური) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX — XI კლასებში — სამუშაო კვირა, შემცირებული ორი სამუშაო დღით ან სამუშაო საათების მისი შესაბამისი რაოდენობით (როდესაც სამუშაო დღე შემცირებული იქნება კვირის განმავლობაში).

აღნიშნულ პირებს ამ მუხლის შესაბამისად სამუშაოდან განთავისუფლების დროისათვის ხელფასი მიეცეთ ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით საშუალო ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ ხელფასის დაწესებული მინიმალური ოდენობისა.

სასწავლო წლის განმავლობაში აღნიშნული სკოლების IX—XI კლასების მოსწავლეები განთავისუფლებულ იქნან სამუშაოსაგან ამ მუხლით გათვალისწინებული წესით, მაგრამ არა უმეტეს 36 სამუშაო დღის ან სამუშაო საათების მათი შესაბამისი რაოდენობისა.

2. ნება დაერთოთ საწარმოების, მშენებლობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს აძლიონ საწარმოო საქმიანობისათვის ზიანის მიუყენებლად მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების—საღამოს (ცვლების, სეზონური) და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX—XI კლასების მოსწავლეებს, მათი სურვილისამებრ, დამატებით კიდევ სამუშაოსაგან თავისუფალი 1—2 დღე კვირაში უხელფასოდ.

3. მიენიჭოთ 1962/63 სასწავლო წლის დაწყებამდე ამ დადგენილების 1 და 2 მუხლში აღნიშნული შეღავათები იმ პირებს, რომლებიც წარმატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების—საღამოს (ცვლების, სეზონური) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V—VIII კლასებში.

4. დაწესდეს, რომ იმ პირთათვის შემცირებული სამუშაო დღის ანუ შემცირებული სამუშაო კვირის მიცემის გრაფიკებს, რომლებიც წარმატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების—საღამოს (ცვლების, სეზონუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V—XI კლასებში, დაამტკიცებენ საწარმოების, მშენებლობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები პროფესიული კავშირის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან და შესაბამისი სკოლების დირექტორებთან შეთანხმებით.

5. დაწესდეს რომ, იმ პირებს, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—საღამოს (ცვლების, სეზონურ) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მიეცემათ XI კლასში გამოსაშვები გამოცდების პერიოდისათვის დამატებითი შვებულება 20 სამუშაო დღის ხანგრძლივობით, ამასთან შეუნარჩუნდებათ ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილზე სატარიფო განაკვეთის ან ჯამაგირის მიხედვით.

დაევალოთ საწარმოების, მშენებლობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეუქმნან იმ პირებს, რომლებიც წარმატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—საღამოს (ცვლების, სეზონურ) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საჭირო პირობები სწავლასთან მუშაობის შეთავსებისათვის და გაითვალისწინონ მათი წარმატებითი სწავლა სამუშაოზე დასაწინაურებლად.

7. დაევალოთ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს პროფკავშირთა რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო საბჭოებთან ერთად, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ პირთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—საღამოს (ცვლების, სეზონურ) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათი კვების გაუმჯობესებას სკოლების სასადილოებსა და ბუფეტებში, აგრეთვე მათს უზრუნველყოფას სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, ტურისტული ბანაკებისა და პროფილაქტორიუმების საგზურებით.

8. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს დააწესონ კოლმეურნეობათა წევრებისათვის, რომლებიც წარმატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სოფლის ახალგაზრდობის სკოლების—საღამოს (ცვლების, სეზონური) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V—XI კლასებში, შემცირებული სამუშაო კვირა ან შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირებული სამუშაო დღე და დამატებითი შვებულება XI კლასში. გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების პერიოდისათვის იმ აზრით, რომ შვებულების ანაზღაურება მოხდეს ამ დადგენილებით დაწესებული ოდენობით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ხრუშჩოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. სტეპანოვი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ე ბ ი

98 ავტომობილების შოფერთა გამომუშავების ერთიანი ნორმებისა და შრომის ანაზღაურების შესახებ

შოფერთა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის უზრუნველყოფის, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებით მათი მატერიალური დაინტერესებულობის ამაღლების, სამუშაო დროის დანაკარგების აღმოფხვრის და ავტომობილების უფრო რაციონალურად გამოყენების მიზნით, აგრეთვე საავტომობილო მეურნეობებში შრომის ნორმირების და ხელფასის ორგანიზაციის მოწესრიგების მიზნით, შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 2 ოქტომბრის № 1117 დადგენილებისა „ავტომობილების შოფერთა გამომუშავების ერთიანი ნორმების და შრომის ანაზღაურების შესახებ", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შემოღებულ იქნას 1959 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საავტომობილო მეურნეობებში, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულ საქალაქო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს დამოუკიდებელ (სამეურნეო ანგარიშის) საავტომობილო მეურნეობებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 2 ოქტომბრის № 1117 დადგენილებით დამტკიცებული დებულება ავტომობილების შოფერთა შრომის ანაზღაურების შესახებ, № 1 დანართის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, შოფერთა შრომის ანაზღაურების დებულების სამოქმედოდ შემოღებასთან ერთად, შემოიღონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის 1958 წლის 24 ნოემბრის № 987 დადგენილებით დამტკიცებული:

ა) ერთიანი ნორმები და სანარდო შეფასებანი სატვირთო ავტომობილების შოფერთა შრომის ანაზღაურებისათვის (დანართი № 2);

ბ) დებულება სატვირთო ავტომობილების შოფერთა შრომის ანაზღაურების სანარდო-პროგრესული სისტემის შესახებ (დანართი № 3);

გ) ცენტრალიზებულ ტვირთზიდვაზე აგენტების (ექსპედიტორების) მოვალეობათა შეთავსებისათვის შოფერთა დანამატების დიფერენცირებული ოდენობა (დანართი № 4);

დ) ავტომობილებისა და აგრეგატების სარემონტთაშორისო გარბენების ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის შოფერთა და რემონტის მუშათა დაჯილდოების წესი, ინსტრუქციის თანახმად (დანართი № 5);

ე) ავტომობილების შოფერთა და ავტომეურნეობების სხვა მუშაკთა დაჯილდოება საავტომობილო შინების ეკონომიისათვის—ავტომანქანების გარბენისათვის დაწესებულ ნორმებზე ზევით, ინსტრუქციის თანახმად (დანართი № 6).

3. დაევალოთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, საავტომობილო მეურნეობათა ხელმძღვანელებს დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ, ავტომობილების შოფერთა შრომის ანაზღაურების ახალი დებულების შემოღების შემდეგ, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, ავტომანქანების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სამუშაო დროის დანაკარგის აღმოფხვრას და ავტომობილების უფრო რაციონალურად გამოყენებას.

4. ავტომობილების შოფერთა შრომის ანაზღაურების ახალი დებულების შემოღებასთან დაკავშირებით ხელფასის დამატებითი ხარჯების დასაფარავად, გამოეყოთ 1959 წლის IV კვარტალში საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების შინაგანი წყაროების გამოყენების ზევით (შრომის ნაყოფიერების ამაღლება, ნორმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების გაუმჯობესება, გაცდენების ლიკვიდაცია და სხვა) ხელფასის დამატებითი ფონდი 5.600 ათასი მანეთის ოდენობით, მათ შორის: საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს — 3.500 ათასი მანეთი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს — 1500 ათასი მანეთი და თბილისის საქალაქო საბჭოს ქალაქის ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსათვის — 600 ათასი მანეთი.

შოფერთა შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შემოღება განხორციელდეს თვითღირებულების შემდგომი შემცირების გზით ისე, რომ არ შეიცვალოს საბიუჯეტო გადასახდელთა გეგმა.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი შრომის 1959 წლის გეგმებში ხელფასის ფონდის გაუნაწილებელი რეზერვის ხარჯზე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის გეგმით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 5 ოქტომბერი, № 803

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 5 ოქტომბრის № 803
დადგენილების დანართი № 1

დამტკიცებულია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1958 წლის 2 ოქტომბრის № 1117
დადგენილებით

დებულება

ავტომობილების შოფერთა შრომის ანაზღაურების შესახებ

1. ავტომობილების შოფრებისათვის იმ ავტომობილების ტვირთამწეობის, ტევადობისა და ტიპების მიხედვით, რომლებზეც შოფრები მუშაობენ, წესდება შემდეგი თვიური სატარიფო განაკვეთები:

ა) სატვირთო ავტომობილებზე მომუშავე მე-3 კლასის შოფრებისათვის:

ავტომობილების ჯგუფები

I	II	III	
ბორტიანი ავტომობილები ტვირთამწეობისა	თვითმცლელი ავტომობილი, ავტოფურგონი, ავტოცისტერნა, ავტომობილი რეფრიჟერატორი, გაზბალონიანი ავტომობილი, ტექნიკური დახმარების ავტომობილი, ავტომობილი აგურის პაკეტებად გადასაზიდი დანადგარებით და სხვა დანადგარებით ავტომობილი საწევარი მისაბმელებითა და ნახევარმისაბმელებით ტვირთამწეობისა:	აირგენერატორიანი ავტომობილი, საასენიზაციო, საზაფხულო საგველი, სიბინძურის, ლპობადი ნაგვისა და ლეშის გასაზიდი, ცემენტსაზიდი ტვირთამწეობისა:	თვიური სატარიფო განაკვეთები (მანეთობით)
1,5 ტონამდე ჩათვლით	0,5 ტონამდე ჩათვლით	—	550
1,5 ტონიდან 3 ტონამდე ჩათვლით	0,5 ტონიდან 1,5 ტონამდე ჩათვლით	—	600
3 ტონიდან 5 ტონამდე ჩათვლით	1,5 ტონიდან 3 ტონამდე ჩათვლით	1,5 ტონამდე ჩათვლით	675
5 ტონიდან 10 ტონამდე ჩათვლით	3 ტონიდან 5 ტონამდე (თვითმცლელი ავტომობილი 3 ტონიდან 4,5 ტონამდე) ჩათვლით	1,5 ტონიდან 3 ტონამდე ჩათვლით	800

ეროვნული ბიბლიოთეკა

I	II	III	
10 ტონიდან 15 ტონამდე ჩათვლით	5 ტონიდან 10 ტონამდე (თვითმცლელი ავტომობილი 4,5 ტონიდან 8 ტონამდე) ჩათვლით	3 ტონიდან 5 ტონამდე ჩათვლით	975
15 ტონიდან 20 ტონამდე ჩათვლით	10 ტონიდან 15 ტონამდე (თვითმცლელი ავტომობილი 8 ტონიდან 10 ტონამდე) ჩათვლით	5 ტონიდან 8 ტონამდე ჩათვლით	1100
20 ტონაზე ზევით	15 ტონაზე ზევით (თვითმცლელი ავტომობილი 10 ტონაზე ზევით)	8 ტონაზე ზევით	1200

აღნიშნული სატარიფო განაკვეთები წესდება:

თვითმცლელ ავტომობილებზე მომუშავე შოფრებისათვის — თვითმცლელის ტვირთამწეობის მიხედვით;

II და III ჯგუფების ავტომობილებზე მომუშავე შოფრებისათვის (გარდა თვითმცლელი ავტომობილისა)—იმ ავტომობილების ტვირთამწეობის მიხედვით, რომელთა შასიზე ისინი დამონტაჟებული არიან;

საწევარ ავტომობილებზე მომუშავე შოფრებისათვის—ნახევარმისაბმელის ან მისაბმელს ტვირთამწეობის მიხედვით;

სხვადასხვა ტვირთამწეობის (გზატკეცილსა და გრუნტზე) ავტომობილებზე მომუშავე შოფრებისათვის—უმაღლესი ტვირთამწეობის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია ავტომობილის ტექნიკური დახასიათებით (პასპორტით).

II და III ჯგუფების ავტომობილებზე მომუშავე შოფრებისათვის ხელფასის განაკვეთები დაწესებულია სპეციალური დანადგარების მომსახურების სამუშაოთა შეთავსების გათვალისწინებით;

ბ) ავტობუსებზე მომუშავე მე-2 კლასის შოფრებისათვის:

ავტობუსების საერთო ტევადობა (დასაჯდომი და დასადგომი ადგილების რიცხვი)	თვიური სატარიფო განაკვეთები (მანეთობით)
40 ადგილამდე ჩათვლით	750
40-დან 60 ადგილამდე ჩათვლით	850
60 ადგილზე ზევით	950

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზილ-154, ზილ-129, ზილ-127 ტიპის ავტობუსებზე მომუშავე შოფერთა შრომის ანაზღაურება ხდება იმ განაკვეთებით, რომლებიც დაწესებულია 60-ზე მეტ ადგილიან ავტობუსებზე მომუშავე შოფრებისათვის.

კვლავმოწყობილ საჯდომებიან ავტობუსებზე მომუშავე შოფერთა შრომის ანაზღაურება ხდება ხელფასის იმ განაკვეთებით, რომლებიც დაწესებულია შესაბამისი ტიპის ავტობუსებზე მომუშავე შოფრებისათვის.

გ) მსუბუქ ავტომობილებზე მომუშავე მე-3 კლასის შოფრებისათვის:

ავტომობილების ტევადობა შოფრის ადგილის ჩათვლით	თვიური სატარიფო განაკვეთები (მანეთობით)
5 ადგილამდე ჩათვლით, აგრეთვე გაზ-69 ტიპის ავტომობილები	550
5 ადგილზე ზევით	650

დ) სასწრაფო სამედიცინო დახმარების მსუბუქ ავტომობილებზე და სახანძრო ოპერატიულ ავტომობილებზე მომუშავე მე-2 კლასის შოფრებისათვის:

ბაზის ავტომობილის ტევადობა შოფრის ადგილის ჩათვლით	თვიური სატარიფო განაკვეთები (მანეთობით)
5 ადგილამდე ჩათვლით	700
5 ადგილზე ზევით	825

ავტომობილების შოფერთათვის ახალი სატარიფო განაკვეთების შემოღების შემდეგ უქმისწინა და დასვენებისწინა დღეებში მუშაობისათვის დამატებითი საზღაური არ გაიცემა.

ქალაქ მოსკოვსა და ლენინგრადში მომუშავე შოფრებისათვის აღნიშნული სატარიფო განაკვეთები დიდდება 10 პროცენტით.

იმ ავტომობილებზე მომუშავე შოფრებისათვის, რომლებიც ამ დებულებით გათვალისწინებული არ არის, სატარიფო განაკვეთებს აწესებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სატვირთო ავტომობილებზე მომუშავე შოფრებისათვის ორ-გორც წესი, წესდება შრომის ანაზღაურების ნარდობლივი სისტემა.

ნარდობლივი შეფასება წესდება ტონა გადაზიდული ტვირთისათვის (გათვალისწინებულია ავტომობილის დგომის დრო ერთი ტონა ტვირთის დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის) და ტონა-კილომეტრისათვის ამ დებულების პირველ პუნქტში აღნიშნულ სატვირთო ავტომობილებზე მომუშავე მე-3 კლასის შოფრის ხელფასის სატარიფო განაკვეთების მიხედვით.

3. როცა მუშაობის პირობების მიხედვით შესაძლებელი არ არის გამოიყენონ სატვირთო ავტომობილებზე მომუშავე შოფრებისათვის შრომის ანაზღაურების ნარდობლივი სისტემა, წესდება შრომის ანაზღაურების დროებლივი ან დროებლივ-პრემიული სისტემა, ამასთან ცვლის დავალების შესრულებისათვის ეძლევათ პრემია თვიური სატარიფო განაკვეთის შესაბამისი ნაწილის 15 პროცენტამდე ოდენობით დავალების შესრულების ხარისხისდაკვალად, როცა შოფრები მუშაობენ ადამიანთა გადასაყვანად ამ მიზნისათვის მოწყობილ სატვირთო ავტომობილებზე, და როცა დროებლივი ხელფასის მქონე შოფრები მუშაობენ ნახევარმისაბმელიან ავტომობილებზე და ფოსტის გადასაზიდ ავტომობილებზე, დავალების შესრულებისათვის პრემიის ოდენობა შეიძლება გადიდდეს 25 პროცენტამდე.

4. მენარდე შოფრების შრომის ანაზღაურება, რომლებიც მუშაობენ მისაბმელიან ავტომობილებზე, ხდება ყველა გამომუშავებული ტონა-კილომეტრისა და გადაზიდული ტონა ტვირთისათვის იმ შეფასებათა მიხედვით, რომლებიც დაწესებულია უმისაბმელო ასეთსავე ავტომობილებზე მომუშავე შოფერთათვის.

5. განსაკუთრებით პასუხსაგებ სამუშაოზე და როცა საჭიროა ტვირთის გადატანა შეზღუდულ ვადებში, საავტომობილო მეურნეობათა ხელმძღვანელებს ზემდგომი ორგანიზაციების ნებართვით შეუძლიათ ავტომობილების შოფერთათვის გამოიყენონ შრომის ანაზღაურების ნარდობლივ-პროგრესული სისტემა შრომის ანაზღაურების ნარდობლივ-პროგრესული სისტემის შესახებ დებულების შესაბამისად, რომელიც დაამტკიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით.

6. ისეთ ავტომობილებზე მომუშავე შოფერთა შრომის ანაზღაურება, რომლებსაც იყენებენ არა როგორც სატრანსპორტო საშუალებას (ავტოამწე, მოძრავი სარემონტო სახელოსნო, კომპრესორუ-

ლი, ელექტროგენერატორული, ელექტროშემდუღებელი, საშხეფა-
რი, სადეზინფექციო, რენტგენის, სარწყავ-სარეცხი, ქვიშასაფლეთი
და სხვა დანადგარებიანი ავტომობილები, აგრეთვე სახანძრო ავტო-
მობილებზე მომუშავე შოფერთა შრომის ანაზღაურება ხდება ამ დე-
ბულების 1-ლ პუნქტში აღნიშნული სატარიფო განაკვეთების მიხედ-
ვით შოფრებისათვის დამტკიცებული გამომუშავების ნორმების შესა-
ბამისად ან შრომის ანაზღაურების დროებლივ-პრემიული სისტემის
მიხედვით.

7. როცა სატვირთო ავტომობილების დატვირთვა აღემატება ნო-
მინალურ ტვირთამწეობას, შოფერთა შრომის ანაზღაურება ნომინა-
ლური ტვირთამწეობის ზევით ტვირთის გადაზიდვისათვის ხდება
ნარდობლივ შეფასებათა მიხედვით მხოლოდ აწონილი ანდა ზუსტად
გაზომილი ტვირთისათვის.

8. ავტობუსებზე, ტაქსებსა და მსუბუქ ავტომობილებზე მომუ-
შავე შოფრებისათვის წესდება შრომის ანაზღაურების დროებლივი
და დროებლივ-პრემიული სისტემა.

9. სამგზავრო მიმოსვლის რეგულარული ხაზების ავტობუსებსა
და სამარშრუტო ტაქსებზე მომუშავე შოფრებს განრიგით (გრაფი-
კით) გაკეთებული თვითეული რეისისათვის ეძლევათ პრემია თვიური
სატარიფო განაკვეთის იმ ნაწილის 20 პროცენტამდე, რომელიც ამ
რეისისათვის ეკუთვნის.

10. ქალაქ მოსკოვისა და ლენინგრადის საავტომობილო შეერ-
ნეობებში, აგრეთვე სამგზავრო მიმოსვლის ცალკეულ საქალაქთ-
შორისო ხაზებზე (იმ სიების მიხედვით, რომლებსაც ამტკიცებს მო-
კავშირე რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს,
ან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საავ-
ტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო) ავტობუსებზე
მომუშავე შოფრებს განრიგით (გრაფიკით) გაკეთებულ თვითეულ
რეისში ეძლევათ პრემია თვიური სატარიფო განაკვეთის იმ შესაბა-
მისი ნაწილის 30-დან 50 პროცენტამდე, რომელიც ეკუთვნით ამ
რეისში.

11. ამ დებულების 9 და 10 პუნქტებით გათვალისწინებული
პრემია სამგზავრო მიმოსვლის რეგულარული ხაზების ავტობუსებსა
და სამარშრუტო ტაქსებზე მომუშავე შოფრებს განრიგით (გრაფი-
კით) გაკეთებული თვითეული რეისისათვის ეძლევათ მთლიანად, რო-
ცა შესრულებულია ამონაგების თვიური გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ამონაგების თვიური გეგმა შესრულებული არ არის, არეგია განრიგით (გრაფიკით) გაკეთებული რეისებისათვის მცირდება ამონაგების თვიური გეგმის ნაკლშესრულების პროცენტით.

12. ამონაგების თვიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების თვითეული პროცენტისათვის ავტობუსებზე და სამარშრუტო ტაქსებზე მომუშავე შოფრებს პრემია ეძლევათ ხაზზე ნამუშევარი დროისათვის თვიური სატარიფო განაკვეთის შესაბამისი ნაწილის 1,5 პროცენტის ოდენობით.

თუ ავტობუსების შოფრები უკონდუქტოროდ მუშაობენ, როცა ყველა ბილეთს ან ბილეთების ნაწილს შოფერი ყიდის, მას ეძლევა დამატებითი პრემია მის მიერ გაყიდულ ბილეთებში აღებული თანხის თვითეულ მანეთზე 3 კაპიკის ოდენობით.

13. შეკვეთილ ავტობუსებსა და შეკვეთილ სამარშრუტო ტაქსებზე მომუშავე შოფრებს ცალკეულ დავალებათა კარგი ხარისხით შესრულებისათვის (ბავშვების გადაყვანა ბანაკებში, დელეგაციების, ექსკურსიების მომსახურება და სხვა დავალებანი) ეძლევათ პრემია იმ ოდენობით, რომელიც დაწესებულია შესაბამისად ამ დებულების 9 და 10 პუნქტებით.

14. სატვირთო და მსუბუქ ტაქსებზე მომუშავე შოფრებს, გარდა სამარშრუტო ტაქსებზე მომუშავე შოფრებისა, ამონაგების თვიური გეგმის შესრულებისათვის ეძლევათ პრემია ხაზზე ნამუშევარი დროისათვის თვიური სატარიფო განაკვეთის შესაბამისი ნაწილის 10 პროცენტის ოდენობით, ხოლო მისაბმელიან სატვირთო ტაქსებზე მომუშავე შოფრებს—20 პროცენტის ოდენობით.

ამონაგების თვიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების თვითეული პროცენტისათვის აღნიშნულ შოფრებს ეძლევათ პრემია ხაზზე ნამუშევარი დროისათვის თვიური სატარიფო განაკვეთის შესაბამისი ნაწილის 2 პროცენტის ოდენობით.

15. ამონაგების თვიური გეგმა ავტობუსებსა და ტაქსებზე მომუშავე შოფრებისათვის განისაზღვრება როგორც ამონაგების საცვლო-სადღეღამისო დავალებათა ჯამი მოცემულ თვეში ნამუშევარი დღეების რაოდენობის შესაბამისად.

16. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა მუშაობის პირობების მიხედვით არ არის შესაძლებელი თავიდან აიცილონ ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების იძულებითი დგომა ქალაქგარეთა ბოლო პუნქტებში, ეს დგომა შედის შოფრის მუშაობის გრაფიკში, მისი სათანადო ანაზღაურებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევებში, როცა შოფრებისათვის, რომელნიც მუშაობენ შორი რეისების ავტობუსებსა და სამარშრუტო ტაქსებზე, გათვალისწინებულია დასვენების დრო სპეციალურად მოწყობილ სადგომებში (სასტუმრო, დასასვენებელი ოთახი), ეს დრო დგომად არ ითვლება.

17. საავტომობილო მეურნეობათა ხელმძღვანელებს ენიჭებათ უფლება წაართვან ავტომობილებზე მომუშავე შოფრებს პრემია ნაწილობრივ ან მთლიანად, თუ გამოირკვევა, რომ მათი მიზეზით მოხდა ავარია, დაჯახება, ავტომობილების ექსპლუატაციის წესების დარღვევა, აგრეთვე იმ შემთხვევაში როცა არის მგზავრების საჩივარი.

პრემიის წართმევა ფორმდება საავტომობილო მეურნეობისადმი გაცემული ბრძანებით.

18. ავტომობილების შოფრებს ეძლევათ სატარიფო განაკვეთების ყოველთვიური წანამატი კლასისათვის შემდეგი ოდენობით:

სატვირთო და მსუბუქ ავტომობილებზე მომუშავე მე-2 კლასის შოფრებს 10 პროცენტი და 1-ლი კლასის შოფრებს—25 პროცენტი.

ავტობუსებზე, აგრეთვე მსუბუქ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილებსა და მსუბუქ სახანძრო ოპერატიულ ავტომობილებზე მომუშავე შოფრებს—15 პროცენტი.

19. ავტომობილების № 2 ტექნიკური მომსახურება და სეზონური ტექნიკური გასინჯვა შეიძლება განხორციელდეს ისე, რომ ამ სამუშაოს შესრულება დაევალოთ შოფრებს, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ეს ავტომობილები, მათს სამუშაო დროში.

როცა შოფრები ასრულებენ მათთვის გათვალისწინებული მოცულობით № 2 ტექნიკური მომსახურების, სეზონურ ტექნიკური მომსახურების და საექსპლუატაციო რემონტის სამუშაოებს, შოფერთა შრომის ანაზღაურება ხდება იმ დროისათვის, რომელიც დაწესებულია ამ რემონტში ავტომობილების ყოფნის გეგმით, შოფერთა სატარიფო განაკვეთების მიხედვით.

ავტომობილების ყოველდღიური მოვლა, № 1 ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი უნდა ხორციელდებოდეს ცვლებს შორის დროში ისე, რომ ეს სამუშაო არ შეასრულონ იმ შოფრებმა, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ავტომობილები.

20. ავტომობილების შოფრებისათვის, რომელთა შრომის ანაზღაურება ნარდად ხდება, წესდება მოსამზადებელ-დასკვნითი დრო ცვლაში 20 წუთის ხანგრძლივობით, რათა შესრულდეს საჭირო სამუშაო ავტომობილის გასვლის წინ და საავტომობილო მეურნეობაში მათი დაბრუნების შემდეგ. აღნიშნული დრო აღირიცხება ნორმები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და ნარდობლივ შეფასებათა დაწესებისას და ცალკე არ ანაზღაურდება.

21. მსუბუქ ავტომობილებზე მომუშავე შოფრებისათვის, აგრეთვე ექსპედიციათა და საძიებო პარტიათა სატვირთო ავტომობილებზე მომუშავე შოფრებისათვის შეიძლება დაწესდეს დაუნორმავი სამუშაო დღე. დაუნორმავი სამუშაო დღისათვის დამატებითი საზღაური წესდება ნამუშევარი დროისათვის თვიური სატარიფო განაკვეთის შესაბამისი ნაწილის 15-დან 25 პროცენტამდე ოდენობით.

შოფრების დაუნორმავ სამუშაო დღეს და დამატებითი საზღაურის კონკრეტულ ოდენობას აწესებს საავტომობილო მეურნეობათა ადმინისტრაცია პროფკავშირთა საოლქო (საქალაქო, სამხარეო) კომიტეტებთან ან საბჭოებთან შეთანხმებით.

22. საავტომობილო მეურნეობებში ავტომობილების გადაყვანაზე მომუშავე შოფერთა შრომის ანაზღაურება ხდება დროებლივად მოცემული მეურნეობისათვის ძირითადი ტიპის ავტომობილებზე მომუშავე შოფერთა განაკვეთების მიხედვით.

23. როცა შოფერს შეთავსებული აქვს ფასიანი ტვირთისა და ფოსტის, აგრეთვე ისეთი ტვირთის მიმღები და ჩამბარებელი აგენტის (ექსპედიტორის) მოვალეობა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს გადაზიდვის დროს, იმ პირობით, რომ სწორად იყოს გაფორმებული და დროზე ჩაბარდეს სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტები, აგრეთვე დაცულ იქნეს ტვირთი ცენტრალიზებული გადაზიდვის დროს, დაირიცხება დამატებითი სასყიდელი იმ ფაქტიური საშოვრის 20 პროცენტამდე ოდენობით, რომელიც დარიცხულია პირდაპირი ნარდობლივი შეფასებებით (მენარდეებისათვის), ან ხაზზე ნამუშევარი დროის თვიური სატარიფო განაკვეთის შესაბამისი ნაწილის ოდენობით (დროებლივი მომუშავისათვის).

ავტომობილების შოფრებისათვის აღნიშნული დამატებითი საზღაურის კონკრეტულ ოდენობას თვითეული სახეობის ტვირთის მიხედვით და ფასიანი ტვირთისა და ისეთი ტვირთის სიას, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს გადაზიდვის დროს, ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით.

24. ტექნიკური დახმარებისა და მოძრავი სარემონტო სახელოსნოების ავტომობილებზე მომუშავე შოფრებისათვის რემონტის მუშების (ზეინკლების, ელექტრიკოსებისა და სხვების) პროფესიათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთავსებისას დაწესდება დამატებითი საზღაური თვიური სატარიფო განაკვეთის 10-დან 20 პროცენტამდე ოდენობით.

25. ისეთი ტვირთის გადაზიდვისას, რომლის დატვირთვა და გადმოტვირთვა არ მოითხოვს დიდ ფიზიკურ დაძაბვას, შოფერთა თანხმობით შეიძლება, რომ მათ შეითავსონ მტვირთავის მოვალეობა და ეს მუშაობა ანაზღაურდეს მტვირთავებისათვის დაწესებულ ნარდობლივ შეფასებათა მიხედვით.

26. როცა შორეულ რეისებში ერთსა და იმავე დროს ორი შოფერი იგზავნება ერთ ავტომობილზე, მეორე შოფრის შრომის ანაზღაურება ხდება დროებლივად, მისი თვიური სატარიფო განაკვეთის მიხედვით, რეისის დროის დამტკიცებული ნორმების შესაბამისად.

ორივე შოფრისათვის დარიცხული ხელფასი (კლასისათვის დამატებითი საზღაურის გარდა) თანასწორად იყოფა მათ შორის.

27. იმ შემთხვევაში, როცა შოფრებს მიავლინებენ ტვირთის გადაზიდვაზე სამუშაოდ მუდმივი მუშაობის ადგილს გარეთ, მათი შრომის ანაზღაურება ხდება მივლინების ადგილის მოქმედი ნორმებისა და შეფასებათა მიხედვით. შოფრებისათვის დღიურების გადახდა და მივლინებასთან დაკავშირებული მათი ხარჯების ანაზღაურება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

28. სათბობის ეკონომიისათვის ყოველთვიურად ეძლევათ პრემია შემდეგი ოდენობით:

ა) შოფრებს—დაზოგილი სათბობის ფაქტიური ღირებულების 30 პროცენტი.

ბ) მუშებს, რომლებიც მუშაობენ ძრავების რეგულირებაზე (მარეგულირებლებს)—მათთვის მიჩენილ ყველა ავტომობილზე დაზოგილი სათბობის საერთო ღირებულების 3 პროცენტამდე;

გ) ადმინისტრაციულ-ტექნიკურ მუშაკებს (საწვავის აღრიცხვის მუშაკებს, კოლონების უფროსებსა და მექანიკოსებს, სარეგულაციო საამქროთა უფროსებსა და ოსტატებს), რომელნიც უშუალოდ მონაწილეობდნენ სათბობის ეკონომიის მიღწევაში,—საავტომობილო მეურნეობაში დაზოგილი სათბობის საერთო ღირებულების 1,5 პროცენტამდე.

სათბობის გადახარჯვისათვის, რაც მოხდა შოფერთა მიზეზით, მათ გამოექვითებათ გადახარჯული სათბობის ღირებულების 60 პროცენტი.

29. ავტომობილების შოფრებს ავტოსალტეების ეკონომიისათვის (ავტოსალტეების დაწესებულ ნორმებზე მეტი გარბენისათვის) ეძ-

ლევათ პრემია მიღებული ეკონომიის თანხის 40 პროცენტამდე (ავტოსალტეებში) და 60 პროცენტის ოდენობით (შეკეთებულ ავტოსალტეებში).

სალტის მემონტაჟეებისათვის, აღრიცხვის ტექნიკოსებისა და სხვა მუშაკებისათვის, რომელნიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ავტოსალტეების ეკონომიის მიღწევაში, პრემიის მისაცემად გამოიყოფა მიღებული ეკონომიის თანხის 10 პროცენტამდე.

აღნიშნული პრემიის მიცემა ხდება იმ ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც დაამტკიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

30. ავტომობილების შოფრებსა და საავტომობილო მეურნეობათა სხვა მუშაკებს ავტომობილების გარბენის დაწესებული ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემია მიეცემათ ავტომობილების ტექნიკური წესივრულობის პირობებში.

აღნიშნული პრემიის მიცემა ხდება იმ ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც დაამტკიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

31. პრემიები სათბობის, ავტოსალტეების ეკონომიისათვის და ავტომობილების გარბენის დაწესებული ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის შოფრებსა და საავტომობილო მეურნეობათა სხვა მუშაკებს მიეცემათ, მიუხედავად იმისა, მიიღეს თუ არა მათ პრემიები სხვა დებულებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 5 ოქტომბრის №
დადგენილების დანართი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო
კომიტეტის 1958 წლის 24 ნოემბრის № 987
დადგენილების დანართი № 1

ერთიანი

ნორმები და ნარდობლივი შეფასებანი სატვირთო ავტომობილების შოფერთა შრომის ანაზღაურებისა

1. დროის ნორმები და ნარდობლივი შეფასებანი ავტომობილების დატვირთვისა და გადმოტვირთვისას გაცდენის დროისათვის (ერთ ტონა ტვირთზე)

1. სატვირთო ავტომობილების (გარდა თვითმცლელი ავტომობილების, ავტოცისტერნებისა და ავტოფურგონებისა) შოფერთა შრომის ასანაზღაურებლად, როცა დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები ხელით სრულდება, წესდება დროის შემდეგი ნორმები და ნარდობლივი შეფასებანი:

ავტომობილის ტვირთამწეობა	დროის ნორმები (წუთობით) 1 ტონაზე	ნარდობლივი შეფასებანი (კაპიკობით) ტონისათვის
1,0	25,0	117,2
1,2	24,3	114,0
1,5	24,1	113,0
2,0	19,8	101,2
2,25	17,6	89,9
2,5	15,8	80,7
3,0	15,6	79,7
3,5	13,5	77,6

ავტომობილის ტვირთამწეობა	დროის ნორმები (წუთობით) 1 ტონაზე	ნარდობლივი შეფასებანი (კაპიკობით) ტონისათვის
4,0	11,8	67,8
4,5	11,6	66,7
5,0	11,4	65,5
6,0	9,6	65,5
7,0	8,2	55,9
8,0	7,8	53,2
10,0	7,3	49,8
12,0	6,0	49,9
15,0	5,9	49,0

შენიშვნა:

ა) დროის ნორმები ავტომობილის სრულ ტვირთამწეობაზე განისაზღვრება ასე: ერთ ტონაზე დაწესებული დროის ნორმა უნდა გამრავლდეს ავტომობილის ტვირთამწეობაზე.

ბ) 15 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის ავტომობილებისათვის დროის ნორმა ავტომობილის სრულ ტვირთამწეობაზე დიდდება 15 წუთით 15-ტონიანი ავტომობილის ნორმასთან შედარებით. დროის ნორმა ერთი ტონა ტვირთისათვის ამ შემთხვევაში განისაზღვრება ავტომობილის სრული ტვირთამწეობისათვის დაწესებული ნორმის გაყოფით ავტომობილის ტვირთამწეობაზე.

გ) „შოფერთა შრომის ანაზღაურების დებულების" 1-ელ პუნქტში აღნიშნული II და III ჯგუფების ავტომობილებზე ერთი ტონა ტვირთის დატვირთვისა და გადმოტვირთვის დროისათვის შეფასებანი წესდება შესაბამისი ტვირთამწეობის მოცემული ჯგუფის ავტომობილის შოფრის წუთობრივი განაკვეთის ერთი ტონა ტვირთის დატვირთვისა და გადმოტვირთვის დროის ნორმაზე გამრავლების გზით.

2. სატვირთო ავტომობილების (გარდა ავტოცისტერნებისა) შოფერთა შრომის ანანაზღაურებლად, როცა დატვირთვისა და გადმოტვირთვის სამუშაოები მექანიზმებით სრულდება, წესდება შემდეგი დროის ნორმები და ნარდობლივი შეფასებანი:

ა) როცა თვითმცლელი ავტომობილები იტვირთება ექსკავატორით ან ხვიმირიდან და გადმოიტვირთება თვითმცლელით:

ტვირთის დასახელება	დატვირთვის ხერხი	ციცხვის ტევადობა	დროის ნორმები წუთობით (მრიცხველი) და ნარდობლივი შეფასებანი კაპიკობით (მნიშვნელი) ერთი ტონა ტვირთის დატვირთვასა და გადმოტვირთვაზე შემდეგი ტვირთამწეობის თვითმცლელებისათვის							
			1,3	2,25	3	3,5	4	5	10	25
საშენი მასალები, რომლებიც ადვილად შორდება თვითმცლელის ძარას (ქვიშა, მიწა, ღორღი, ხრეში და სხვ.)	ექსკავატორით	1 მ³-მდე	6,4 / 32,7	4,4 / 25,3	3,7 / 21,2	3,37 / 22,9	3,1 / 21,1	2,8 / 23,3	2,2 / 20,6	1,81 / 18,5
		1 ზევით 3 მ³-მდე ჩათვლით	—	3,11 / 17,9	2,40 / 13,8	2,1 / 14,3	1,9 / 12,8	1,57 / 13,0	0,94 / 8,8	0,56 / 5,7
ნახევრად მწებავარე და მწებავარე ტვირთი (თიხა, ნედლი ქანი, აგრეთვე ნაწილობრივ შეყინული და შეტკეპნილი გრუნტი)	ექსკავატორით	1 მ³-მდე	6,93 / 35,4	4,9 / 28,1	4,2 / 24,1	3,9 / 26,4	3,7 / 25,2	3,3 / 27,4	2,7 / 25,3	2,3 / 23,5
		1 ზევით 3 მ³-მდე ჩათვლით	—	3,32 / 19,1	2,6 / 15,0	2,3 / 15,7	2,1 / 14,3	1,8 / 14,9	1,15 / 10,8	0,77 / 7,9
ხსნარი, ბეტონი, ასფალტი, ცხელი და სხვა მასები	ხვიმირიდან	—	6,93 / 35,4	4,9 / 28,1	4,2 / 24,1	3,9 / 26,4	3,7 / 25,2	3,3 / 27,4	2,7 / 25,3	2,3 / 23,5
	შემრევიდან	—	11,1 / 56,7	9,1 / 52,3	8,4 / 48,3	8,1 / 55,2	7,8 / 53,2	7,5 / 62,3	6,9 / 64,7	6,7 / 68,3
ხვიერი ტვირთი	ხვიმირიდან	—	5,4 / 27,5	3,32 / 19,1	2,6 / 15,0	2,3 / 15,7	2,1 / 14,3	1,8 / 14,9	1,15 / 10,8	0,77 / 7,9

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) როცა პირველი ჯგუფის ბორტული ავტომობილები დატვირთება და გადმოიტვირთება ამწით, ელექტროტელფერით ან სხვა დასატვირთავი მექანიზმებით:

ტვირთის წონა მექანიზმით ერთდროულად აწევის დროს	დროის ნორმები წუთობით (მრიცხველში) და ნარდობლივი შეფასებანი კაპიკობით (მნიშვნელში) 1 ტონა ტვირთის დატვირთვასა და გადმოტვირთვაზე შემდეგი ტვირთამწეობის ბორტული ავტომობილებისათვის					
	1,5	2,0	2,25	2,5	3,0	3,5
1	2	3	4	5	6	7
1 ტონამდე ჩათვლით	14,6 / 68,5	13,6 / 69,5	13,2 / 67,5	13,0 / 66,4	12,6 / 64,3	12,0 / 69,0
1 ტონაზე ზევით 3 ტონამდე ჩათვლით	—	7,3 / 37,3	6,9 / 35,3	6,7 / 34,2	6,3 / 32,2	5,8 / 33,3
3 ტონაზე ზევით 5 ტონამდე	—	—	—	—	4,2 / 21,4	—

დროის ნორმები წუთობით (მრიცხველში) და ნარდობლივი შეფასებანი კაპიკობით (მნიშვნელში) ერთი ტონა ტვირთის დატვირთვასა და გადმოტვირთვაზე შემდეგი ტვირთამწეობის ბორტული ავტომობლებისათვის.

4,0	4,5	5	7	10	12	15
8	9	10	11	12	13	14
12,0 / 69,0	11,9 / 68,4	11,7 / 67,3	11,4 / 77,7	11,3 / 77,0	11,0 / 91,4	10,8 / 89,7
5,8 / 33,3	5,6 / 32,2	5,4 / 31,0	5,1 / 34,7	4,9 / 33,4	4,7 / 39,0	4,6 / 38,2
3,7 / 21,2	3,5 / 20,1	3,4 / 19,5	3,0 / 20,4	2,9 / 19,8	2,6 / 21,6	2,5 / 20,8

3. სატვირთო ავტომობილების შოფერთა შრომის ანანაზღაურებლად, როცა დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები ნაწილობრივ მექანიზებულია, წესდება შემდეგი დროის ნორმები:

ა) თვითმცლელი ავტომობილების შოფერთათვის, როცა დატვირთვა ხდება ხელით და გადმოტვირთვა გადაყირავებით—და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვირთვაზე იმ ნორმების 50 პროცენტის ოდენობით, რომლებიც გათვალისწინებულია ბორტული ავტომობილებისათვის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა ხელით შესრულებისას და გადმოტვირთვასა და მანევრირებაზე 4 წუთი;

ბ) ბორტული ავტომობილების შოფერთათვის (დატვირთვა მექანიზებული, გადმოტვირთვა ხელით ან დატვირთვა ხელით, გადმოტვირთვა მექანიზებული)—იმ ნორმების ნახევარი ოდენობით, რომლებიც გათვალისწინებულია ხელით და მექანიზებული დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის, თითოეულ ოპერაციაზე.

4. საავტომობილო ცისტერნების შოფერთა შრომის ასანაზღაურებლად წესდება შემდეგი დროის ნორმები და ნარდობლივი შეფასებანი:

ა) ჩასასხმელი ტვირთის თვითდინებით ჩასხმა-ჩამოსხმისას:

ტვირთამწეობა ავტომობილისა, რომლის შასიზე დამონტაჟებულია ცისტერნა	I ჯგუფი		II ჯგუფი		III ჯგუფი	
	ნორმა დროისა ცისტერნის სრული ტევადობისათვის	ნარდობლივი შეფასება ცისტერნის სრული ტევადობისათვის	ნორმა დროისა ცისტერნის სრული ტევადობისათვის	ნარდობლივი შეფასება ცისტერნის სრული ტევადობისათვის	ნორმა დროისა ცისტერნის სრული ტევადობისათვის	ნარდობლივი შეფასება ცისტერნის სრული ტევადობისათვის
1,5 ტონამდე ჩათვლით	16,7	85,3	20,8	106,3	25,0	143,7
1,5 ტონის ზევით 3 ტონამდე ჩათვლით	25,0	143,7	31,3	180,0	37,5	255,7
3 ტონის ზევით 5 ტონამდე ჩათვლით	33,3	227,1	41,7	284,4	52,0	432,1
5 ტონის ზევით 7 ტონამდე ჩათვლით	41,7	346,6	52,0	432,1	62,5	586,2
7 ტონის ზევით 10 ტონამდე ჩათვლით	50,0	415,5	62,5	519,4	73,0	746,8
10 ტონის ზევით 15 ტონამდე ჩათვლით	58,3	546,8	73,0	684,7	—	—
15 ტონაზე ზევით	65,0	664,9	83,0	849,0	—	—

შენიშვნა:

I ჯგუფის ტვირთს ეკუთვნის თხევადი ტვირთი;

II ჯგუფის ტვირთს ეკუთვნის მწებვარე ტვირთი;

III ჯგუფის ტვირთს ეკუთვნის საასენიზაციო ტვირთი;

ბ) როცა ცისტერნები, ივსება ჩასასხმელი ტვირთით ტუმბოს საშუალებით ან ხელით, დროის ნორმებს აწესებენ საავტომობილო მეურნეობათა ხელმძღვანელები ავსების პირობების მიხედვით.

5. ტონა გადაზიდულ ტვირთზე დროის ნორმები და ნარდობლივი შეფასებანი, რომლებიც აღნიშნულია 1—4 პუნქტებში, დაწესებულია პირველი კლასის ტვირთის დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის.

2, 3 და 4 კლასების ტვირთის დატვირთვისა და გადმოტვირთვისას დროის ნორმები და ნარდობლივი შეფასებანი გამოიყენება შემდეგი შემასწორებელი კოეფიციენტებით:

2 კლასის ტვირთისათვის — 1.25
3 კლასის ტვირთისათვის — 1,66
4 კლასის ტვირთისათვის — 2.0

შენიშვნა:

ტვირთის კლასები წესდება კლასიფიკატორის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთის გადაზიდვის ერთიანი ტარიფებით.

6. ავტომობილის გაცდენის დროის ნორმები ამ ავტომობილით გადაზიდული სარკინიგზო კონტეინერიდან ტვირთის გადმოტვირთვისას ან კონტეინერში ტვირთის ჩატვირთვისას ავტომობილიდან გადმოუღებლად წესდება 35 წუთის ოდენობით თითოეულ ოპერაციაზე თითოეული კონტეინერისათვის.

როცა სარკინიგზო კონტეინერები დაიტვირთება და გადმოიტვირთება მექანიზმების საშუალებით, დროის ნორმა წესდება 8 წუთი თითოეულ ოპერაციაზე თითოეული კონტეინერისათვის.

7. როცა ტვირთი იწონება საავტომობილო სასწორზე, წესდება დამატებითი დრო 5 წუთის ოდენობით დატვირთვის პუნქტისათვის და ცალკე გადმოტვირთვის პუნქტისათვის თითოეული ავტომობილისა და თითოეული მისაბმელისათვის, მიუხედავად ტვირთის კლასისა და ავტომობილისა და მისაბმელის ტვირთამწეობისა.

ათწილად ან ასწილად სასწორზე ტვირთის თითოეული აწონისათვის ან ხელახლა აწონის დროს წესდება დამატებითი დრო შემდეგი ოდენობით: 10 წუთამდე 4 ტონამდე ჩათვლით ტვირთამწეობის ავტომობილებისათვის (ავტომატარებლებისათვის), 15 წუთამდე ოთხი ტონის ზევით 7 ტონამდე ჩათვლით ტვირთამწეობის ავტომობილებისათვის (ავტომატარებლებისათვის) და 20 წუთამდე 7 ტონის ზევით ტვირთამწეობის ავტომობილებისათვის.

8. დატვირთვისა და გადმოტვირთვის შორისულ პუნქტებში ავტომობილის (ავტომატარებლის) თითოეულ შევლაზე წესდება ... დენის დროის ნორმა 10 წუთი, მიუხედავად იმისა, თუ რა ტვირთამწეობა აქვს ავტომობილს (ავტომატარებელს).

9. ტვირთის დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის დაწესებულ დროის ნორმებში ავტომობილის დაწესებული გაბარიტის ფარგლებში ტვირთის მიტანით ან წამოღებით 15 მეტრამდე მანძილზე შედის დრო, რომელიც საჭიროა ავტომობილის მანევრირებისათვის, ტვირთის შეკვრისა და გახსნისათვის, ტვირთის ბრეზენტით გადახურვისა და ბრეზენტის ახდისათვის, ავტომობილის ბორტების გაღება-დახურვისათვის, შლანგების ამოხრახნა და ჩახრახნის, აგრეთვე მათი მიტანისა და წამოღებისათვის, ავტომობილის ძარის გაწმენდისათვის, როცა გადააქვთ ბეტონი, ცხელი ასფალტი და სხვა მასები, ავტომობილების დატვირთვისა და გადმოტვირთვის დროს ერთ ადგილას და იმ ტვირთის დოკუმენტების გაფორმებისათვის, რომლებიც გათვალისწინებული არ არის № 5 დანართში.

იმ შემთხვევებში, როცა იცვლება დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა წარმოების აღნიშნული პირობები, საავტომობილო მეურნეობათა ხელმძღვანელებს ნება ეძლევათ გასცენ დამატებითი საზღაური მუშაობის ნორმალური პირობებისაგან გადახრისათვის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა ნორმების შესაბამისად.

10. მძიმე წონის ტვირთის დატვირთვისა და გადმოტვირთვისას, რომლებსაც ესაჭიროება სპეციალური სატაკელაჟო სამუშაოები, საავტომობილო მეურნეობის ხელმძღვანელს ნება ეძლევა დააწესოს დამატებითი დრო დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა პირობების მიხედვით.

11. 1,0 ტონამდე ტვირთამწეობის ნახევრადსატვირთო ავტომობილებით ტვირთის გადაზიდვის დროს წესდება დროის ადგილობრივი ნორმები დატვირთვისა და გადმოტვირთვის პუნქტებში ავტომობილების გაცდენის დროის იმ ერთიანი ნორმების მიხედვით, რომლებიც აღნიშნულია ამ დანართში.

12. როცა ტვირთი გადააქვთ სპეციალური ძარიანი ავტომობილებით (ფურგონი, იზოთერმული და სხვ.), დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის საჭირო დროის ნორმები დიდდება 10 პროცენტამდე ფარგლებში.

13. მე-4 კლასის ტვირთზე, რომელიც უზრუნველყოფს 0,5 ნაკლები ტვირთამწეობის ავტომობილის გამოყენების კოეფიციენტს, როცა ავტომობილი სავსებით დატვირთულია გაბარიტის მიხედვით,

ნებადართულია დაწესდეს დროის ნორმები ავტომობილის ტვირთამწეობის გამოყენების ფაქტიური კოეფიციენტის მიხედვით.

14. სამრეწველო და სასურსათო ტვირთის გადაზიდვისას, რომელიც დატვირთვის, გადმოტვირთვისა და გადაზიდვის დროს განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს (მინა, ფაიფურისა და ქაშანურის ნაწარმი, სხვადასხვა სითხე მინის ჭურჭელში, ავეჯი), აგრეთვე დაყრით ან წვრილი საფუთავით წვრილ ან ცალობრივი ტვირთის გადაზიდვისას, რომელიც მოითხოვს გადათვლას (საცვალი, ფეხსაცმელი, ქუდები, ტანსაცმელი, გალანტერია, ტრიკოტაჟი, სხვადასხვა ქსოვილი, საწერი ნივთები, წიგნები, სათამაშოები, ბაღჩეული კულტურები, ბოსტნეული, ხილი, კენკრა, ბოსტნეული მწვანილი)—დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის საჭირო დროის ნორმები დიდდება 25 პროცენტამდე ფარგლებში.

II. დროს ნორმები (წუთობით) და სანარდო შეფასებანი (კაპიკობით) ერთ ტონა-კილომეტრზე

15. იმ შოფრების შრომის ასანაზღაურებლად, რომლებიც საბარგო ფარდიან ავტომობილებზე მუშაობენ, წესდება დროსა და სანარდო შეფასებათა შემდეგი ნორმები:

ავტომობილის ტვირთამზიდობა	ქალაქში		გზის ჯგუფები ქალაქად					
	დროს ნორმა	სანარდო შეფასებანი	დროს ნორმა	სანარდო შეფასებანი	დროს ნორმა	სანარდო შეფასებანი	დროს ნორმა	სანარდო შეფასებანი
1,0 ტონა	6,58	30,9	3,57	16,7	4,63	21,7	5,68	26,6
1,2 „	5,48	25,7	2,98	14,0	3,86	18,1	4,73	22,2
1,5 „	4,39	20,6	2,38	11,2	3,09	14,5	3,79	17,8
2,0 „	3,29	16,8	1,79	9,1	2,31	11,8	2,84	14,5
2,25 „	2,92	14,9	1,59	8,1	2,06	10,5	2,53	12,9
2,5 „	2,63	13,4	1,43	7,3	1,85	9,5	2,27	11,6
3,0 „	2,19	11,2	1,19	6,1	1,54	7,9	1,89	9,7
3,5 „	1,88	10,8	1,02	5,9	1,32	7,6	1,62	9,3
4,0 „	1,64	9,4	0,89	5,1	1,16	6,7	1,42	8,2
4,5 „	1,46	8,4	0,79	4,5	1,03	5,9	1,26	7,2
5,0 „	1,32	7,6	0,71	4,1	0,93	5,3	1,14	6,6
6,0 „	1,10	7,5	0,59	4,0	0,77	5,3	0,95	6,5
7,0 „	1,05	7,2	0,51	3,5	0,66	4,5	0,81	5,5
8,0 „	0,92	6,3	0,45	3,1	0,58	4,0	0,71	4,8
10,0 „	0,73	5,0	0,36	2,5	0,46	3,1	0,57	3,9
12,0 „	0,61	5,1	0,30	2,5	0,39	3,2	0,47	3,9
15,0 „	0,49	4,1	0,24	2,0	0,31	2,6	0,38	3,2

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა:

ა) შეფასებანი ტონა კილომეტრზე შოფრებისათვის, რომლებიც „შოფრების შრომის ანაზღაურების დებულების“ I პუნქტის II და III ჯგუფში აღნიშნულ ავტომობილებზე (გარდა თვითმცლელისა) წესდება ავტომობილის მიცემული ჯგუფის შოფრის წუთის სარგოს გამრავლებით ავტომობილის ტვირთმზიდობის დროს ნორმაზე.

ბ) ტონა-კილომეტრების შეფასებანი იმ შოფრებისათვის, რომლებიც მუშაობენ მისაბმელი ან ნახევარმისაბმელიან საწევრებზე გამოიყენება 1.2 კოეფიციენტთან ერთად.

გ) თუ ავტომობილი მუშაობს მისაბმელით იმ შემთხვევაში, როცა მისაბმელის ტვირთმზიდაობა შეადგენს ავტომობილის ტვირთზიდვის 70 პროცენტზე ნაკლებს, სანარდო შეფასებანი გამოიყენება 1,1 კოეფიციენტთან ერთად.

16. იმ შოფრების შრომის ასანაზღაურებლად, რომლებიც მუშაობენ თვითმცლელ ავტომობილებზე, წესდება დროსა და სანარდო შეფასებათა შემდეგი ნორმები:

თვითმცლელის ტვირთმზიდაობა	ქალაქში		გზის ჯგუფები ქალაქგარეთ					
			I		II		III	
	დროს ნორმები	სანარდო შეფასებანი	დროს ნორმები	სანარდო შეფასებანი	დროს ნორმები	სანარდო შეფასებანი	დროს ნორმები	სანარდო შეფასებანი
1,3 ტონა	5,62	28,7	3,05	15,6	3,96	20,2	4,86	24,8
2,25 „	3,25	18,7	1,76	10,1	2,29	13,2	2,81	16,2
3,0 „	2,44	14,0	1,32	7,6	1,71	9,8	2,10	12,1
3,5 „	2,09	14,3	1,13	7,7	1,47	10,0	1,80	12,3
4,0 „	1,83	12,5	0,99	6,8	1,29	8,8	1,58	10,8
5,0 „	1,46	12,1	0,79	6,6	1,03	8,6	1,26	10,5
10,0 „	0,82	7,7	0,40	3,8	0,51	4,8	0,63	5,9
25,0 „	0,33	3,4	0,16	1,6	0,21	2,1	0,25	2,6

17. ერთ ტონა-კილომეტრზე, როცა გადააქვთ ჩამოსასხმელი ტვირთი და ცემენტი ავტოცისტერნებით დროს ნორმად იყენებენ თვითმცლელის ნორმას, ავტომობილის ტვირთმზიდაობის მიხედვით.

ამასთან სანარდო ნორმები წესდება ხელფასის შესაბამისი წუთის სარგოს დროს ნორმაზე გამრავლებით.

18. სანარდო შეფასებებში გათვალისწინებულია ავტომობილის ავტომეურნეობიდან დატვირთვის ადგილზე მიწოდებისა და უკანასკნელი განტვირთვის ადგილიდან ავტომეურნეობაში მისვლისათვის ანაზღაურება.

19. ერთი ტონა-კილომეტრის დროს ნორმები და სანარდო შეფასებანი დაწესებულია პირველი კლასის ტვირთების გადატანისათვის.

მე-2, მე-3 და მე-4 კლასის ტვირთების გადატანის დროს ნორმა და სანარდო შეფასება გამოიყენება შემდეგი შემასწორებელი კოეფიციენტებით:

მე-2 კლასის ტვირთებისათვის—1,25
მე-3 კლასის ტვირთებისათვის—1,66
მე-4 კლასის ტვირთებისათვის—2,0

20. როცა ავტომობილები მუდმივი დატვირთვით მუშაობენ ორივე მიმართულებით, ტონა-კილომეტრის სანარდო შეფასებანი, რომლებიც შემოღებულია ამ დებულებით, გამოიყენება 0,8-დან 0,9-მდე შემასწორებელი კოეფიციენტი, თუ გადაზიდვა ხდება 100 კილომეტრამდე მანძილზე, და 0,7-დან 0,8-მდე, თუ გადაზიდვა ხდება 100 კილომეტრზე მეტ მანძილზე.

21. ერთ ტონა-კილომეტრისათვის დროს ნორმა და სანარდო შეფასებანი გაანგარიშებულია საბარგო ავტომობილების გარბენის შემდეგი ანგარიშსწორების ნორმებიდან:

ა) ქალაქგარეთ მუშაობის დროს

გზების ჯგუფი	გზის საფარის ტიპი	ავტომობილების გარბენის ანგარიშსწორების ნორმები კილომეტრ-საათობით
1	გზები გაუმჯობესებული საფარით (ასფალტირებული, ცემენტ-ბეტონის, ბელისებრი, გუდრონირებული, კლინკერული)	25
2	გზები მაგარი საფარით (რიყის ქვით, ღორღით, ხრეშით) და გრუნტისა გაუმჯობესებული	27
3	გზები ბუნებრივი გრუნტისა	22

ბ) ქალაქში მუშაობის დროს

გარბენის გაანგარიშების ნორმა გზის საფარის ტიპის დამოუკიდებლად წესდება ავტომობილისათვის, რომლის ტვირთამწეობაა 7 ტონამდე—19 კილომეტრი საათში, 7 ტონაზე და ზევით—17 კილომეტრი საათში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა:

ქალაქის გზებს მიეკუთვნება:

ქ. მოსკოვში—გზები ქალაქის ტერიტორიაზე და გზები 20 კილომეტრამდე მოსკოვ-ოკრუჟნო რკინიგზის ფარგლებს იქით.

ქ. ლენინგრადში — გზები ქალაქის ტერიტორიაზე და გზები დაახლოებით 10 კილომეტრამდე ქალაქის საზღვრებს იქით.

დანარჩენ ქალაქებსა და დიდ დასახლებულ პუნქტებში ქალაქის გზებად ითვლება მხოლოდ ქალაქის საზღვრებს შიგნით არსებული გზები.

22. ავტომობილების გარბენის გაანგარიშების ნორმები შეიძლება შეამცირონ საწარმოთა ხელმძღვანელებმა ზემდგომ ორგანიზაციებთან შეთანხმებით შემდეგნაირად:

ა) თუ გადააქვთ ტვირთები, რომლებსაც განსაკუთრებული სიფრთხილე სჭირდებათ (მჟავა, ცეცხლსაფრთხე საგნები, სითხე მინის ჭურჭლით, ტვირთი ვეებერთელა დიდგაბარიტიანი კონტეინერებით, მსუბუქი ტვირთები შეკვრებით, რომლითაც მაქსიმალურ სიმაღლეზეა მანქანა დატვირთული, მტვრიანი ტვირთი)—20 პროცენტამდე;

ბ) ერთ კილომეტრ მანძილზე, აგრეთვე უგზოობისა და ძნელად გასავლელ გზებზე (უგზოობა ტყეში, ყამირზე გადაზიდვის დროს)—40 პროცენტის ფარგლებში, იმ ნორმებთან შედარებით, რომლებიც გათვალისწინებულია ბუნებრივი გრუნტის ქალაქგარე გზებისათვის.

23. იმ ავტომობილებისათვის, რომლებიც მუშაობენ მთის პირობებში, სადაც სჭარბობს ციცაბო ალმართ-დალმართი დაკლაკნილი პროფილის გზებით, აგრეთვე საწარმოო და სამშენებლო მოედნების ტერიტორიაზე, ავტომობილების გარბენის გაანგარიშების ნორმებს, რომელიც შეზღუდულია მოძრაობის უსაფრთხობისათვის დამტკიცებულ სიჩქარეთა გათვალისწინებით, აწესებენ საწარმოთა ხელმძღვანელები ზემდგომ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

24. მძიმე ტონის ტვირთების გადაზიდვის დროს, ავტომეურნეობათა ხელმძღვანელები, ზემდგომი ორგანიზაციების დასტურით, აწესებენ ავტომობილების გარბენის სპეციალურ ნორმებს გადაზიდვების პირობების ტვირთების ხასიათის და მოძრავი შემადგენლობის ტიპის შესაბამისად.

25. როცა მე-4 კლასის ტვირთია, რომელიც უზრუნველყოფს ავტომობილის ტვირთამწეობის კოეფიციენტის გამოყენებას 0,5-ზე ქვევით, თუ ავტომობილი მთლიანად დატვირთულია გაბარიტის დაცვით, ნებადართულია დროს ნორმა დაწესდეს ავტომობილის ტვირთამწეობის გამოყენების კოეფიციენტის მიხედვით.

26. შოფრებისათვის, რომლებიც მუშაობენ მისაბმელიან ნახევრადმისაბმელიან ავტომობილებზე, ტონა და ტონა-კილომეტრების გეგმურ დავალებათა განსასაზღვრავად ავტომობილის გარბენის გაანგარიშებათა ნორმა მცირდება 15 პროცენტით. ამავე დროს ნორმები და სანარდო შეფასებანი, რომლებიც დაწესებულია შოფრის შრომის ასანაზღაურებლად არ მცირდება.

27. ერთ ტონა-კილომეტრზე დროს ნორმა წესდება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\text{დ — ნორმა} = \frac{\text{ა} + \text{ა}''}{\text{ბ. ვ. გ.}}, \text{ სადაც}$$

დ — ნორმა არის — დროს ნორმა ერთ ტონა-კილომეტრზე წუთობით;

ა — ავტომობილის მოძრაობის დრო წუთობით;

ა″ — მოსამზადებელ-დასკვნითი დრო წუთობით;

ბ — შესაბამისი ჯგუფის გზაზე ავტომობილის გარბენის გაანგარიშების ნორმა კილომეტრ-საათობით;

ვ — ავტომობილის ტვირთამწეობა ტონობით;

გ — ავტომობილის გარბენის გამოყენების კოეფიციენტი.

ერთ კილომეტრზე დროს ნორმის განსაზღვრისას მიღებულია:
ავტომობილის მოძრაობის დრო — 60 წუთი;
მოსამზადებელ-დასკვნითი დრო — საათში მუშაობის 2,5 წუთი;
ავტომობილების გარბენის გამოყენების კოეფიციენტი;
თვითმცლელებისა და ავტოცისტერნებისათვის — 0,45;
დანარჩენი ავტომობილებისათვის — 0,5.

*

* *

8 საათიანი სამუშაო დღის დროს გადატანილი ტვირთის ტონა და ტონა-კილომეტრის სანარდო შეფასებანი გაიანგარიშება 195,5 საათი საბალანსო თვიური სამუშაო დროთი.

დროს ნორმა და სანარდო შეფასებანი დაწესებულია ცვლაში მოსამზადებელ-დასკვნითი სამუშაოებისათვის 20 წუთის გათვალისწინებით.

დროებით მომუშავე შოფრების შრომის ანაზღაურება წარმოებს აგრეთვე საათობრივი სატარიფო განაკვეთებით, რომელიც გამოიანგარიშება ზემოთ აღნიშნული სამუშაო დროის ბალანსიდან გამომდინარე მოცემულ თვეში ფაქტიურად ნამუშევარი დროსათვის.

იმ შოფრების შრომის ასანაზღაურებლად, რომლებიც მუშაობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა სასატრანსპორტო საშუალებად გამოყენებულ ავტომობილებზე (ავტომობილი სარწყავ-სარეცხი, სილის გასაფანტი და სხვა სპეციალური გარებით), ნორმებს აწესებენ სახალხო მეურნეობის საბჭოები, საამინისტროები და უწყებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 5 ოქტომბრის № 803
დადგენილების დანართი № 3
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
შრომისა და ხელფასის საკითხთა
სახელმწიფო კომიტეტის 1958 წლის
24 ნოემბრის № 987 დადგენილების
დანართი № 2

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საბარგო ავტომობილების შოფრების შრომის ანაზღაურების სანარდო-პროგრესული სისტემის შესახებ

1. საბარგო ავტომობილების შოფერთა შრომის ანაზღაურების სანარდო პროგრესული სისტემის გამოყენება შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ გზის განსაკუთრებით პასუხსაგებ სამუშაო უბნებზე იმ შემთხვევებში, როცა აუცილებელია ტვირთების გადატანა განსაზღვრულ ვადებში, ამასთან უნდა მოხდეს დავალების შესრულების სათანადო აღრიცხვა.

გადატანის უბნებს, რომლებზეც შემოღებულ უნდა იქნეს შოფრების შრომის ანაზღაურების სანარდო-პროგრესული სისტემა და ვადას, რომლითაც იგი უნდა შემოიღონ, პროფკავშირთა საოლქო, სამხარეო ან რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით აწესებენ შესაბამისი ტრესტები, სამმართველოები.

2. შოფრების სანარდო-პროგრესული დამატებითი ანაზღაურების დარიცხვა ტონობით და ტონა-კილომეტრობით დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის წარმოებს თვის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით. დავალების ერთ-ერთი ამ მაჩვენებლის შეუსრულებლობისას სანარდო-პროგრესული დამატებითი ანაზღაურების დარიცხვა არ წარმოებს.

3. დავალების მთელი გადაჭარბებული ნაწილის სანარდო შეფასებანი დაწყებული გადაჭარბების ერთი პროცენტიდან იზრდება შემდეგი ოდენობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავალების გადაჭარბების პროცენტი	საშუალო შეფასებათა გადიდების პროცენტი
10 პროცენტამდე ჩათვლით	50 პროცენტი
10 პროცენტზე ზევით	100 პროცენტი

დავალებანი ტონობით და ტონა-კილომეტრობით თვეში

4. პროგრესული ანაზღაურების დასარიცხავად და მათი შესრულება განისაზღვრება საბარგო ავტომობილების გარბენის დაწესებული ერთიანი ნორმების და დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის ავტომობილის მოცდენის ნორმების საფუძველზე, გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაო დღეების მთლიანად გათვალისწინებით, რომელსაც გამოაკლდება დრო:

— მორიგი და დამატებითი შვებულებისა;

— ავადმყოფობისა;

— მივლინებებისა;

— სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებისა;

— გეგმურ-მაფრთხილებელი რემონტისა, რომელიც გათვალისწინებულია გეგმა-გრაფიკით (გეგმა-გრაფიკის ზევით რემონტისათვის დახარჯული დრო და საავარიო რემონტის დრო არ გამოირიცხება);

— შესვენებისა, რომელიც ეძლევათ ძუძუმწოვარა ბავშვების გამოსაკვებად;

— მთლიანად ცვლის მოცდენისა, რაც შოფრის მიზეზით არ იყო;

— შოფრის მთელ ცვლაში სხვა სამუშაოზე გადაყვანისა (რომელიც არ ნაზღაურდება სანარდო-პროგრესული სისტემით);

— დასვენებისწინა და დღესასწაულისწინა დღეებში სამუშაოთა შემცირებისა ან დასვენებისა, რომელიც შოფრებს ეძლევათ დასვენებისწინა და დღესასწაულისწინა დღეებში მუშაობისათვის თუ შემცირებული სამუშაო დღე არ უმუშავნიათ.

5. დავალების შესრულების პროცენტის გაანგარიშებისას ზეგანაკვეთური მუშაობის დრო ემატება კალენდარულ დღეს, ხოლო სამუშაო, შესრულებული ამ დროში, ემატება მოცემული თვის დავალებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებიდან, აგრეთვე დაშორებული პუნქტებიდან სასოფლო-საბურღვეტვირთების გადაზიდვისას შოფრების შრომის ანაზღაურების სანარდო-პროგრესული სისტემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცვლაში მუშაობის შედეგების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 5 ოქტომბრის № 803
დადგენილების დანართი № 5
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
შრომისა და ხელფასის საკითხთა
სახელმწიფო კომიტეტის 1958 წლის
24 ნოემბრის № 987 დადგენილების
დანართი № 3

ინსტრუქცია

ავტომობილების რემონტთშორისი გარბენისა და აგრეგატების რემონტზე ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის შოფრებისა და რემონტის მუშების დაჯილდოების წესის შესახებ

1. ავტომობილების კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში შენახვით შოფრებისა და რემონტის მუშების დაინტერესებულობის გადიდების, ავტომობილების ხაზზე გაშვების უფრო მაღალი კოეფიციენტის უზრუნველყოფის მიზნით შემოღებულია ავტოსატრანსპორტო მეურნეობათა შოფრებისა და რემონტის მუშების დაჯილდოება ავტომობილების გარბენის იმ რემონტთშორისი ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, რომლებიც შემოღებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 20 სექტემბრის № 1316 დადგენილების შესაბამისად. ჯილდოს გაცემა ხდება იმ პირობით, თუ შესრულებულია გაპიროვნებული მანქანის გამოყენების გეგმური კოეფიციენტი.

2. ავტომეურნეობათა ხელმძღვანელებს ნება ეძლევათ შოფრებისა და რემონტის მუშების დაჯილდოებისათვის, როცა ისინი ავტომობილის რემონტთშორისი გარბენის ნორმებს გადაჭარბებით შეასრულებენ, გამოიყენონ საამორტიზაციო თანხების ეკონომიის დანარიცხების დაახლოებით 50 პროცენტი, თანხებისა, რომლებიც მიღებულია რემონტთშორისი გარბენის ნორმების გადაჭარბებით შესრულების შედეგად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომობილების რემონტთშორისი გარბენის ნორმის, ბისას საამორტიზაციო თანხების დანარიცხების ეკონომიიდან, რომელიც გათვალისწინებულია კაპიტალური რემონტისათვის, დაშვებულია შოფრების დასაჯილდოებლად დაიხარჯოს 40 პროცენტამდე და რემონტის მუშების დასაჯილდოებლად — 10 პროცენტი. ჯილდოს კონკრეტულ ოდენობას აწესებს საწარმოს ხელმძღვანელი პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით.

3. თანხა, რომელიც გათვალისწინებულია დასაჯილდოებლად იმ ოდენობით, რომელიც დაწესებულია ამ ინსტრუქციის მე-2 პუნქტით, გაიცემა მთლიანად იმ პირობით, თუ ავტომობილზე, რომელსაც აქვს რემონტთშორისი გარბენის ნორმის გადაჭარბებით შესრულება, არ შეცვლილა აგრეგატები, რომლებსაც კაპიტალური რემონტი ჭირდებოდა ისე, რომ არ გაევლოთ დაწესებული ნორმა.

თუ შეიცვალა ცალკე აგრეგატები, რომლებსაც კაპიტალური რემონტი ჭირდებოდა ამისათვის დაწესებულ ვადაზე ადრე, ასეთ ავტომობილზე ეკონომიის ჯამი მცირდება იმის შესაბამისად, რამდენიც ნაკლები გაიარა აგრეგატმა.

4. ეკონომიის თანხის შემცირების ჯამი განისაზღვრება აგრეგატის კაპიტალურ რემონტზე ხარჯების ნორმატიული ღირებულების (ერთ კილომეტრზე) გამრავლებით მოცემული აგრეგატის გარბენის დანაკლისი კილომეტრების რაოდენობაზე.

ცალკეული აგრეგატების მიერ მისთვის დაწესებულ ნორმაზე მეტის გავლისას ჯილდოს თანხა შესაბამისად დიდდება.

5. ავტომობილთა რემონტთშორისი გარბენის ნორმის გადაჭარბებით შესრულებისათვის შოფრების დაჯილდოება წარმოებს მათზე მიმაგრებული ავტომობილის კაპიტალურ რემონტზე გათვალისწინებული საამორტიზაციო დანარიცხების ეკონომიის ანგარიშზე.

როცა ავტომობილი მიმაგრებული აქვს ორ ან მეტ შოფერს, ჯილდოს დარიცხული თანხა ნაწილდება მათ შორის თითოეული შოფრის მიერ გავლილი კილომეტრების პროპორციულად.

თუ შოფერს მანქანა გაპიროვნებული არა ჰქონდა ექსპლუატაციის დაწყებიდან, მაშინ ამ შოფრის გაანგარიშებული ჯილდო, გარბენის კილომეტრების გამომუშავების შესაბამისად, ავტომეურნეობის ხელმძღვანელობის შეხედულებით შეიძლება გაიცეს შემცირებული ოდენობით.

6. ავტომობილების რემონტთშორისი გარბენის ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის რემონტის მუშების დაჯილდოება წარმოებს კაპიტალურ რემონტზე გათვალისწინებული საამორტიზაციო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანარიცხების ეკონომიის ხარჯზე. ეს ჯილდო გაიცემა ყველა ავტომობილი მობილისათვის, რომელთაც აქვთ რემონტთშორისი გარბენის ნორმის მის შესრულება.

რემონტის მუშებს ჯილდო მიეცემათ თუ არის იმ სახსრების საერთო ეკონომია, რომლებიც გეგმით გათვალისწინებულია მთლიანად ავტომეურნეობებში ყველა სახეობის რემონტისათვის.

7. რემონტის ცალკე მუშისათვის, რომელმაც აქტიურად შეუწყო ხელი საავტომობილო პარკის კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში შენახვას, ჯილდოს ოდენობას აწესებს ავტომეურნეობის ხელმძღვანელობა აღგილობრივ პროფესიულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

ჯილდოს ზღვრული ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს თვიურ სატარიფო განაკვეთს.

8. შოფრებსა და რემონტის მუშებს ჯილდო ეძლევათ წელიწადში ორჯერ ხელფასთან ერთად აგვისტოსა და თებერვალში.

9. საავტომობილო მეურნეობებში, სადაც წარმოებს საამორტიზაციო დარიცხვები, ავტომობილების რემონტთშორისი გარბენის ნორმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ჯილდო გაიცემა საექსპლუატაციო ხარჯების ანგარიშზე, საავტომობილო გადაზიდვების თვითღირებულებაზე უშუალო მიწერით.

საბიუჯეტო ორგანიზაციებში ჯილდო გაიცემა იმ სახსრების ეკონომიის ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვის ასიგნებებით ავტომობილების კაპიტალურ რემონტზე.

10. ავტომეურნეობის ხელმძღვანელს უფლება აქვს ცალკეულ მუშაკებს შეუმციროს ან სრულებით არ მისცეს ჯილდო იმ შემთხვევებში, თუ დაცული არ იყო ავტომობილის ტექნიკური ექსპლუატაციის, მომსახურებისა და რემონტის წესები, შეიცვალა ძირითადი აგრეგატები სანამ ნორმით დაწესებულ მანძილს გაივლიდა და არ შესრულებულა გადაზიდვების გეგმა.

მთლიანად ან ნაწილობრივ ჯილდოს ჩამორთმევა გაფორმებულ უნდა იქნეს ბრძანებით ავტომეურნეობისადმი.

11. ჯილდოს გაცემა წარმოებს სხვა ხაზით დაჯილდოების მიუხედავად.

12. გაანგარიშებათა გაადვილების მიზნით აქ მოყვანილია ავტომობილების რემონტთშორისი გარბენის ნორმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ჯილდოს დარიცხვის მაგალითები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1-ლი მაგალითი:

„ზილ-150“ ავტომობილისათვის კაპიტალურ რემონტამდე გარბენის ნორმა დაწესებულია 90000 კილომეტრი, კაპიტალური რემონტის საამორტიზაციო ანარიცხი გარბენის 1000 კილომეტრზე—6,7 მანეთია, ანუ ერთ კილომეტრზე 6,7 კაპიკი.

პირველი აგვისტოს მდგომარეობის მიხედვით ავტომობილის საერთო გარბენამ შეადგინა 115.000 კილომეტრი, ანუ კაპიტალურ რემონტამდე დაწესებული ნორმის ნაცვლად გადაჭარბება აქვს 115.000—90000=25 ათასი კილომეტრი.

კაპიტალურ რემონტზე საამორტიზაციო ანარიცხების ეკონომიის ჯამი შეადგენს:

6,7 კაპ.×25000=1.675 მანეთს.

იმის გამო, რომ ამ ავტომობილზე ძრავა შეიცვალა გარბენის ნორმის შეუსრულებლად (ნორმაა 55000 კილომეტრი, ფაქტიურად გაირბინა 50000 კილომეტრი, ე. ი. დააკლდა 5000 კილომეტრი) ეკონომიის აღნიშნული თანხა საჭიროა შემცირდეს იმის შესაბამისად, რაც ღირს ამ აგრეგატის მიერ ნორმაზე ნაკლები გარბენილი მანძილი.

„ზილ-150“ ავტომობილის ძრავას კაპიტალური რემონტის ნორმატიული ღირებულება შეადგენს 1380 მანეთს.

ერთ კილომეტრ გარბენაზე ხარჯის ოდენობა, აღნიშნული ნორმის მიხედვით, შეადგენს:

1380 მანეთი : 55000=2,5 კაპიკს.

ეკონომიის შემცირების ოდენობა ამ შემთხვევაში განისაზღვრება თანხით:

2,5 კაპიკი×5000=125 მანეთი

ამრიგად, მომხდარი შემცირების გათვალისწინებით საერთო ეკონომია შეადგენს:

1675—125=1550 მან.

ინსტრუქციის მე-2 პუნქტის თანახმად ავტომეურნეობის ხელმძღვანელის ბრძანებით „ზილ—150“ შოფრების დასაჯილდოებლად დაზოგილი თანხის 35 პროცენტი ან

$$\frac{1550\times35}{100}=542 \text{ მან. } 50 \text{ კაპ.}$$

115000 კილომეტრის გარბენის დროს თვითეულმა შოფერმა, რომლებზეც გაპიროვნებული იყო ეს ავტომობილი, შესრულებულია: პირველი შოფრის მიერ 60000 კილომეტრი და მეორის მიერ—55000 კილომეტრი.

გავლილი კილომეტრაჟის მიხედვით ჯილდო უნდა მიეცეს:

$$\text{პირველ შოფერს } \frac{542 \text{ მან. } 50 \text{ კაპ.}}{115000} \times 60000 = 283 \text{ მან. } 05 \text{ კაპ.}$$

$$\text{მეორე შოფერს } \frac{542 \text{ მან. } 50 \text{ კაპ.}}{115000} \times 55000 = 259 \text{ მან. } 45 \text{ კაპ.}$$

მე-2 მაგალითი:

„ზილ-150“ ავტომობილს იგივე გარბენა აქვს, როგორც 1-ლ მაგალითში. ამასთან ავტომობილის ძრავამ 5000 კილომეტრით მეტი გაიარა (გარბენის ნორმა იყო 55000 კილომეტრი, ფაქტიურად გაიარა 60000 კილომეტრი).

ამასთან დაკავშირებით ეკონომიის საერთო თანხა დიდდება იმ თანხის ჯამზე, რომელიც მიღებულია ძრავას მიერ ნორმის ზევით გავლილი ეკონომიით, ან

$$\frac{1380 \times 5000}{55000} = 125 \text{ მან.}$$

ამრიგად, ეკონომიის საერთო თანხა შეადგენს:

$$1675 \text{ მან.} + 125 \text{ მან.} = 1800 \text{ მან.}$$

ჯილდოს განაწილება შოფრებს შორის წარმოებს ისევე, როგორც პირველ მაგალითში.

მე-3 მაგალითი:

„ზილ-155“ ავტომობილისათვის კაპიტალურ რემონტამდე გარბენის ნორმა დაწესებულია 200000 კილომეტრი, კაპიტალურ რემონტზე საამორტიზაციო ანარიცხები გარბენის 1000 კილომეტრზე—124 მანეთი, ან ერთ კილომეტრზე 12,4 კაპ.

1 აგვისტოსათვის ავტომობილის საერთო გარბენამ შეადგინა 230000 კილომეტრი, ანუ დაწესებულ ნორმასთან შედარებით კაპიტალურ რემონტამდე გადაჭარბება ჰქონდა:

$$230000 - 200000 = 30000 \text{ კილომეტრი.}$$

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალურ რემონტზე საამორტიზაციო ანარიცხების ექვივალენტური თანხა შეადგენს:

12,4 კაპ. × 30000 = 3720 მანეთს.

ინსტრუქციის მე-2 პუნქტის თანახმად ავტომეურნეობის ხელმძღვანელის ბრძანებით „ზილ—155“ ავტომობილის შოფრების დასაჯილდოებლად გამოიყოფა დაზოგილი თანხის 25 პროცენტი, ანუ

$$\frac{3720 \text{ მან.} \times 25}{100} = 930 \text{ მან.}$$

ამასთან მას შემდეგ, რაც ამ ავტომობილმა 200000 კილომეტრი გაიარა, ერთ-ერთი მასზე მომუშავე შოფერი წავიდა და შეიცვალა მეორეთი.

გარდა ამისა, დროებით შეცვლილმა შოფერმა ამ ავტომობილით გაიარა 5000 კილომეტრი.

პირველმა შოფერმა 1 აგვისტომდე კაპიტალურ რემონტამდე დაწესებული ნორმის შესრულების შემდეგ გამოიმუშავა 12.500 კილომეტრი, ახალ მიღებულმა მეორე შოფერმა აგრეთვე 12500 კილომეტრი. ამრიგად, ჯილდო უნდა მიეცეს პირველ შოფერს

$$\frac{930 \text{ მან.} \times 12500}{30000} = 387 \text{ მან. } 50 \text{ კაპ.}$$

მეორე შოფერი, მას რომ ავტომობილის ექსპლუატაციის დაწყებიდან ემუშავნა, მიიღებდა ჯილდოს აგრეთვე 387 მან. 50 კაპ.

იმის გამო, რომ მეორე შოფერმა ავტომობილის ექსპლუატაციის დაწყებიდან გამოიმუშავა მხოლოდ 12500 კილომეტრი, დირექტორის განკარგულებით შეიძლება მიეცეს ჯილდო შემცირებული ოდენობით.

ამ შემთხვევაში მას მისცეს დარიცხული ჯილდოს 25 პროცენტი. ანუ 96 მან. 87 კაპ.

შემდგომ პერიოდში ჯილდოს ოდენობა შეიძლება გადიდდეს იმის კვალობაზე, თუ რა მონაწილეობას მიიღებს ეს შოფერი ავტომობილის კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში შენახვაზე.

მე-4 მაგალითი:

1 აგვისტოს მდგომარეობის მიხედვით საბარგო ავტომობილების პარკში ავტომობილების ნორმის ზევით გარბენის შედეგად მიღებულმა საამორტიზაციო დანარიცხების თანხამ მთლიანად ავტომეურნეობაში შეადგინა 15000 მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოტრანსპორტის მეურნეობის რემონტის მუშების დაჯილდოებას საამორტიზაციო დანარიცხების ეკონომიის თანხიდან შეიძლება მოხმარდეს დაახლოებით 10 პროცენტი, ანუ მოყვანილი ძაგალითის მიხედვით 1500 მანეთი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 5 ოქტომბრის № 803
დადგენილების დანართი № 6
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის 1958 წლის 24
ნოემბრის № 987 დადგენილების
დანართი № 4

ინსტრუქცია

ავტომობილთა შოფრებისა და ავტომეურნეობის სხვა მუშაკთა დაჯილდოების შესახებ ავტოსალტეების ეკონომიისათვის (ავტოსალტეების ნორმით დაწესებულზე მეტი გავლისათვის)

I. ზოგადი ნაწილი

1. დაჯილდოება წესდება იმ ავტომეურნეობის შოფრებისა და სხვა მუშაკთა წახალისების მიზნით, რომლებიც გამოყოფილია ცალკე სამეურნეო ანგარიშზე, ავტომობილთა სალტეების ექსპლუატაციის გაუმჯობესებისათვის მათი სარემონტოდ დროზე ჩაბარებისა და დაწესებულთან შედარებით გარბენის ნორმის გადაჭარბებისათვის.

2. ავტომეურნეობათა შოფრებისა და სხვა მუშაკთა დაჯილდოება წარმოებს თუ უსათუოდ დაცულია შემდეგი ძირითადი პირობები:

ა) მიმაგრებულია ავტოსალტეები ავტომობილზე, რომელიც გაპიროვნებულია ცალკე შოფრებზე;

ბ) დაცულია ავტოსალტეების ექსპლუატაციის წესები;

გ) თვითეული ავტოსალტის გარბენის სწორი აღრიცხვა ავტომობილების სალტეების ექსპლუატაციის მოქმედი წესების შესაბამისად;

დ) ავტომობილების სალტეების სარემონტოდ დროულად ჩაბარება, ესე იგი არ იქნეს დაშვებული სარემონტო, დეფექტიანი საბურების ექსპლუატაცია (არ იყოს გამჭოლი და არა გამჭოლი განაჭერი და ნახვრეტი სალტის პროტექტორსა და საგვერდულში, პროტექტორატის 100 პროცენტით გაცვეთა და სხვ.).

3. დაჯილდოება წარმოებს საექსპლუატაციო ხარჯების ანგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშზე ამ თანხების უშუალოდ მიკუთვნებით საავტომობილო დაფების თვითღირებულების შესაბამის მუხლზე.

4. ახალი სერიული ავტოსალტეების გარბენის ნორმები, ავტოსალტეების გაცვეთის, აღდგენისა და რემონტის ხარჯების თანხა (საექსპლუატაციო ხარჯები), აგრეთვე ამ თანხების დარიცხვის წესი დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 20 სექტემბრის № 1316 დადგენილებით.

II. დაჯილდოებულის წრე, დაჯილდოების წესი და ზომა

5. ახალი სერიული ავტომობილის სალტეების გარბენის დაწესებული ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის შოფრების დაჯილდოება წარმოებს ყოველ კვარტალში საექსპლუატაციო ხარჯების ეკონომიის თანხის 40 პროცენტის ოდენობით, იმ თანხიდან, რომელიც დარიცხულია ავტოსალტეების დაწესებული ნორმების ზევით გარბენიდან.

იმ შემთხვევაში, თუ ავტოსალტეებს მათი ექსპლუატაციის პროცესში რემონტი უკეთდებოდა, ამ ავტოსალტეებისათვის გარბენის დაწესებული ნორმა რჩება და შოფრებისათვის რემონტის გაკეთებაზე დარიცხული ჯილდო არ ექვითებათ.

ასეთი ავტოსალტეები, როგორც წესი, რემონტის შემდეგ უნდა გაუკეთდეს იმავე მანქანებს, რომლებსაც მოეხსნათ.

6. ბაზებში ამორჩეულ და შეკეთებულ, აგრეთვე ახალი სერიული ავტოსალტეებისათვის დაწესებული ნორმის გარბენის შემდეგ აღდგენილი ავტოსალტეებით მუშაობისათვის შოფრების დაჯილდოება წარმოებს ყოველთვიურად:

ა) როცა რემონტის შემდეგ საგარანტიო გარბენის ნორმა დაწესებულია 5 ათას კილომეტრამდე ჩათვლით—გარბენის პირველი კილომეტრიდან;

ბ) როცა რემონტის შემდეგ საგარანტიო გარბენის გეგმა დაწესებულია 5 ათას კილომეტრზე მეტი—ნორმის ზევით 3 ათასი კილომეტრის გარბენისათვის.

ჯილდო გაიცემა დაწესებულ შესაბამისი ზომის ახალი სერიული საფარის 1 კილომეტრზე გარბენის საექსპლუატაციო ხარჯების ნორმის 60 პროცენტის ოდენობით.

7. იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილებზე რამდენიმე შოფერი მუშაობს, დარიცხული ჯილდოს საერთო ჯამი იყოფა მათ შორის იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კილომეტრების რაოდენობის პროპორციულად, რომელიც გამოიმუშავა თითოეულმა ამ ავტოსალტეებზე.

8. სალტეების მემონტაჟეთა აღრიცხვის დარგში ტექნიკოსების და ავტომეურნეობის სხვა მუშაკების დასაჯილდოებლად, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ავტოსალტეების ეკონომიის მიღწევაში, ყოველ კვარტალში გამოიყოფა მთლიანად ავტომეურნეობაში ავტომობილების სალტეების ნორმაზე ზევით გარბენის საექსპლუატაციო ხარჯების ეკონომიის საერთო თანხის 10 პროცენტი.

ცალკეული მუშაკების, რომლებიც აქტიურად უწყობენ ხელს ავტომობილების გარბენის დაწესებული ნორმების გადაჭარბებით შესრულებას და ავტოსალტეების ეკონომიას, ჯილდოს ოდენობას განსაზღვრავს უშუალოდ ავტომეურნეობის ხელმძღვანელი ადგილობრივ პროფორგანიზაციასთან შეთანხმებით.

9. ავტომეურნეობათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან:

ა) ცალკეულ მუშაკებს, რომლებიც ავტორეზინის ეკონომიისათვის საბრძოლველად არ იღებენ საჭირო ღონისძიებებს, ნაწილობრივ ან მთლიანად ჩამოართვან დასაჯილდოებელი პერიოდის ჯილდო;

ბ) იმ შემთხვევაში, როცა გულგრილად ეკიდებიან ავტორეზინას, რის შედეგადაც გათვალისწინებულ ვადაზე ადრე აღმოჩნდა უვარგისი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოონ რეზინის ღირებულების დაქვითვა, ხოლო რეზინის ბოროტი განზრახვით გაფუჭების ან დაკარგვის შემთხვევაში დამნაშავე მისცენ სასამართლო პასუხისგებაში.

10. ჯილდოს გაცემა წარმოებს, დაჯილდოების შესახებ სხვა დებულებით დაჯილდოების მიუხედავად.

11. გაანგარიშებათა გასაადვილებლად მოყვანილია ავტოსალტეების ეკონომიისათვის პრემიების დარიცხვის მაგალითები:

1-ლი მაგალითი

„ზილ-150“ ავტომობილზე, რომელსაც ემსახურება ორი შოფერი, გაცემულია 7 საფარი ზომით 9,00×20, რომელთა გარბენის ნორმა დაწესებულია 40000 კილომეტრი.

ერთი საფარის საექსპლუატაციო ხარჯები 1000 კილომეტრზე შეადგენს 13 მან. და 40 კაპ. ანუ ერთ კილომეტრზე 1,34 კაპ.

განვლილ პერიოდში ავტომობილს ჰქონდა გარბენა 60000 კილომეტრი. ამასთან 5 საფარს ნორმასთან შედარებით გარბენილი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის შესაბამისად ავტომეურნეობის ხელმძღვანელმა შეამცირა 50 პროცენტით.

ამრიგად, მეორე შოფერს ჯილდო ნაცვლად 178 მან. 67 კაპ-სა მიეცემა 89 მან. 33 კაპ. ოდენობით.

მაგალითი მე-2

„ზილ-150“ ავტომობილზე, რომელსაც ემსახურებოდა ორი შოფერი, ზამთრის პერიოდისათვის მისცეს 3 ახალი და 4 შერემონტებული საბურები 9,00×20 ზომისა.

ახალი საბურების გარბენის ნორმა იყო 40000 კილომეტრი, ერთი კილომეტრი გარბენის საექსპლუატაციო ხარჯები — 1,34 კაპ.

შერემონტებული საბურების გარბენის საგარანტიო ნორმა დაწესებული აქვს ორ საბურს (პირობითად მე-4 და მე-5)—5000 კილომეტრი და დანარჩენ ორ საბურს (პირობითად მე-6 და მე-7) — 8000 კილომეტრი.

ყველა საბურმა საანგარიშო პერიოდში გაიარა თითოეულმა 6000 კილომეტრი.

ინსტრუქციის II განყოფილების მე-2 პუნქტის შესაბამისად შეკეთებული საბურებით მომუშავე შოფრების ჯილდოს ოდენობა გარბენის ერთ კილომეტრზე შეადგენს:

$$\frac{1,34 \times 60}{100} = 0,80 \text{ კაპ.}$$

მეოთხე და მეხუთე საბურს გარბენის საგარანტიო ნორმა აქვს 5000 კილომეტრი, მაშასადამე დროს გაანგარიშება ხდება პირველი კილომეტრიდან. ამ საბურების მიხედვით ჯილდო შეადგენს:

$$0,80 \times 6000 \times 2 = 96 \text{ მან.}$$

მეექვსე და მეშვიდე საბურებს გარბენის საგარანტიო ნორმა აქვს 5000 კილომეტრზე მეტი, მაშასადამე ჯილდოს გამოანგარიშება წარმოებს 3000 კილომეტრზე მეტი გარბენისათვის.

ამრიგად, ამ საბურების მიხედვით 3000 კილომეტრზე მეტი გარბენისათვის ჯილდო შეადგენს:

$$0,8 \times (6000 - 3000) \times 2 = 48 \text{ მან.}$$

ახალი სერიული საბურებისათვის, რომლებსაც არ გაუვლიათ დაწესებული ნორმა, ჯილდო არ დაირიცხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცემულ მაგალითში შეკეთებული საბურების მიხედვით საერთო ჯამი შეადგენს:

96 მან. + 48 მან. = 144 მან. 00 კაპ.

ჯილდოს აღნიშნული თანხა ნაწილდება შოფრებს შორის იმ წესით, რომელიც მითითებულია პირველ პუნქტში, ესე იგი იგი გამომუშავებულია კილომეტრების გათვალისწინებით.

მაგალითი მე-3

ავტომეურნეობას აქვს „ზილ—150“ 150 მანქანა;

საანგარიშო კვარტალში მოცემულ ავტომეურნეობაში ჩამოწერილია ან ჩათვლილია უვარგისად:

იმ საბურების რაოდენობა, რომლებიც უვარგისია შემდგომი ექსპლუატაციისთვის	ზომა	ავტოსალტეების გარბენის ნორმა	ფაქტიური გარბენა საწყალოდ ერთ კილომეტრზე	ზეგეგმითი გარბენა ყველა საბურისა კილომეტრობით, რომლებიც ალარ ვარგა შემდგომი ექსპლუატაციისთვის	გარბენის ერთ კილომეტრზე საექსპლუატაციო ბარჯები კაპიკობით	საექსპლუატაციო ბარჯების ეკონომიის საერთო თანხა მანეთობით
ა) ახალი სერიული საბურები						
150	9,00X20	4000	45000	750000	1,34	10050
ბ) შეკეთებული საბურები						
70	9,00X20	5000	7000	140000	1,34	1876
ს უ ლ						11926

თუ სხვა ზომის საბურების ჩამოწერა ხდებოდა, მათზე ეკონომიის გამოანგარიშება წარმოებს იმავე წესით.

ინსტრუქციის II განყოფილების მე-4 პუნქტის თანახმად ამ ავტომეურნეობაში სალტეების მემონტაჟეთა, ავტოსალტეების აღრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვხის დარგში ტექნიკოსების და სხვა მუშაკთა დასაჯილდოებლად გამოიყოფა საექსპლუატაციო ხარჯების საერთო თანხის 10 პროცენტი ან 1192 მან. 60 კაპ.

შენიშვნა: ცვლილებებით, რომლებიც შეტანილია „ავტომობილების სალტეების ეკონომიისათვის საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა ჯილდოების გაცემის ოდენობის ცვლილებათა შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 21 აპრილის № 425 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 5 ოქტომბრის № 803
დადგენილების დანართი № 4

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
შრომისა და ხელფასის საკითხთა
სახელმწიფო კომიტეტის 1958 წლის
24 ნოემბრის № 987 დადგენილების
დანართი № 5

დიფერენციალური დამატებითი ანაზღაურების ზომები

შოფრებს აგენტის (ექსპედიტორის) მოვალეობის შეთავსებისათვის ცენტრალიზებულ გადაზიდვებზე

ტვირთების დასახელება	დამატებითი ანაზღაურება
1. ტვირთები, რომლებსაც არ სჭირდებათ დიდი დრო მიღების, ჩაბარებისა და სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების გასაფორმებლად აგრეთვე არ საჭიროებს დიდ ყურადღებას გზაში ექსპედირების დროს: აგური, კერამიკის ნაკეთობანი, საშენებლო სახურავი მასალები, ლინოლეუმი, კარებისა და ფანჯრების ჩარჩოები, პარკეტი, მშრალი ბათქაში, ხე-ტყის მასალა, შეშა, ქვანახშირი, სორტული ლითონი, ლითონნაკეთობა, სანიტარული ტექნიკა, სასოფლო-სამეურნეო ტვირთები	10%

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვირთების დასახელება	დამატებითი ანაზღაურება
2. ტვირთები, რომლებსაც ესაჭიროებათ მნიშვნელოვანი დრო მიღებასა და ჩაბარებაზე და სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების გაფორმებაზე; ტვირთები, რომლებსაც ესაჭიროებათ განსაკუთრებული სიფრთხილე გადატანის დროს, აგრეთვე ყურადღების მიქცევა მათი გზაში ექსპედირების დროს: სამრეწველო და სასურსათო საქონლები შეფუთული, რომლებსაც არ სჭირდებათ აწონვა და გაანგარიშება; მტვერადი ტვირთები—ცემენტი, კირი, ალებასტრი, თაბაშირი, ნავთობპროდუქტები, მინა, ბალონები შეკუმშული და გათხევადებული გაზით, ტყავნედლეული	15%
3. ტვირთები, რომლებსაც ესაჭიროებათ დაანგარიშება, აწონვა, მათი მიღებისა და ჩაბარების შესახებ დოკუმენტების განსაკუთრებით გაფორმება: სამრეწველო და სასურსათო საქონელი შეუფუთავად, აგრეთვე რომლებსაც ესაჭიროება აწონვა და დაანგარიშება; ტვირთები, რომელთა გადატანა ხდება გამოცხადებული ფასეულობით; ტვირთები უნივერსალურ კონტეინერებში; ტვირთები, რომლებიც ერთგზად გადააქვთ მათი მიღება ჩაბარების გაფორმებით სხვადასხვა პუნქტებში (ტვირთების წვრილი პარტიები)	20%

შენიშვნა:

1. დამატებითი ანაზღაურება წარმოებს იმ პირობით, თუ სწორადაა გაფორმებული სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტები, თავის დროზეა ისინი ჩაბარებული, აგრეთვე თუ დაცულია გადატანილი ტვირთი.

2. ისეთი ტვირთების გადატანის დროს, როგორიცაა სილა, თიხა, ხრეში, ღორღი, ქვა და სხვ., რომელთაც გაცილება არა სჭირდებათ. შოფრებისათვის დამატებითი ანაზღაურების გაცემა არ წარმოებს.

3. იმ ტვირთებისათვის, რომლებიც ამ ჩამოთვლაში არ არის მოხსენებული, შოფრების დამატებითი ანაზღაურების კონკრეტულ ოდენობას აწესებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტი საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

99 საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდის სახსრების შექმნისა და ხარჯვის წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ბავშვთა საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელებისათვის ხელის შესაწყობად, დაწესდეს, რომ ყველა დაწყებითსა და ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლების შრომითს პოლიტექნიკურ სკოლებში, რომელთაც I—VIII კლასები აქვთ, შეიქმნება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდი ხელმოკლე მოწაფეთათვის მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად.

დამტკიცდეს დებულება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუბავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 20 ოქტომბერი, № 826

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 20 ოქტომბრის № 826
დადგენილებით

დებულება

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდის შესახებ

1. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდი შეიქმნება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ 1959 წლის 18 აპრილის კანონის მესამე მუხლის საფუძველზე ყველა დაწყებითს, რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლების შრომითს პოლიტექნიკურ სკოლებთან (თუ მათში I—VIII კლასებია) ხელმოკლე მოწაფეებისათვის მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად.

2. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდი შეიქმნება:

ა) ბიუჯეტის სახსრებით სკოლების მიმდინარე შესანახად გათვალისწინებულ ხარჯებიდან სულ მცირე ერთი პროცენტის გამოყოფით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მიზნით ასიგნების ოდენობა განისაზღვრება ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების დროს;

ბ) კოლმეურნეობებიდან მიზიდული თანხებიდან, რომლებსაც ისინი გამოყოფენ დადგენილი წესით კოლმეურნეობების შესაბამის ფონდებიდან;

გ) კოოპერაციული ორგანიზაციებიდან და პროფკავშირებიდან შემოსული თანხებიდან.

გარდა ამისა, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდში შეიძლება გამოიყოს იმ თანხების ნაწილი, რასაც სკოლები ღებულობენ ფასიანი კონცერტებისა და საღამოების, ლითონჯართის შეგროვების, სასკოლო სასწავლო-საცდელი ნაკვეთების, დამხმარე მეურნეობებისა და სასკოლო სახელოსნოების შემოსავლიდან.

3. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდში ბიუჯეტიდან გამოსაყოფი სახსრების გათვალისწინება ხდება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული აღმასკომების ბიუჯეტებით.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო აღმასკომები ანაწილებენ ამ თანხებს სკოლებს შორის ხელმოკლე მოწაფეთა რაოდენობის მიხედვით.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდში კოლმეურნეობების, აგრეთვე კოოპერაციული ორგანიზაციებისა და პროფკავშირების მიერ გამოყოფილი სახსრები შეიტანება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საოლქო აღმასკომის განათლების განყოფილების, სახალხო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებების განათლების განყოფილებათა ბიუჯეტგარეშე სახსრების მიმდინარე ანგარიშზე და სკოლების განსაკუთრებულ ანგარიშზე.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდში კოლმეურნეობების მიერ გამოყოფილი პროდუქტები გადაეცემა სკოლებს მოწაფეების ცხელი კვების მოსაწყობად.

4. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდის სახსრებს განათლების ორგანოები ინახავენ სახბანკის განყოფილებებში ბიუჯეტგარეშე სპეციალური სახსრების ანგარიშზე, ხოლო სკოლები— სახბანკის განყოფილებებში ბიუჯეტგარეშე სახსრების სპეციალურ ანგარიშზე ან შემნახველ სალაროებში.

5. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდიდან სახსრე-ბის სწორად ხარჯვის უზრუნველსაყოფად, დაწყებითს, რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლების შრომითს პოლიტექნიკურ სკოლებში შეიქმნება 3—5 კაცისაგან შემდგარი სპეციალური კომისიები შემდეგი შემადგენლობით: სკოლის დირექტორი (გამგე), საწარმოს, კოლმეურნეობის, კოოპერაციული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების და მოწაფეთა მშობლების წარმომადგენლები.

6. კომისია იხილავს სკოლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების თხოვნებს, მშობელთა ან მათ შემცველელ პირთა განცხადებებს ხელმოკლე მოწაფეთათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის შესახებ და ღებულობს სათანადო გადაწყვეტილებებს, რომელთა შეცვლა შეუძლია მხოლოდ თვით კომისიას.

მატერიალური დახმარება ხელმოკლე მოწაფეებს ეძლევათ, როგორც წესი, ნატურით—ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, სახელმძღვანელოებით, სკოლაში კვების საფასურის გადახდით და სხვ.

7. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდში შემოსული სახსრების აღრიცხვასა და მათი ხარჯვის ანგარიშგებას აწარმოებენ სკოლების დირექტორები და განათლების ორგანოები დადგენილი წესით.

8. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდის სახსრების სწორად ხარჯვის კონტროლი ეკისრება მშობელთა კომიტეტს, განათლების და საფინანსო ორგანოებს.

100 მიწისქვეშა წყლების გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებისა და მათი დაცვის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ მიწისქვეშა მტკნარი წყლები ჯერ კიდევ გამოყენებულია არადამაკმაყოფილებლად. მიწისქვეშა წყლების ახალი აუზების გამოვლინება და უკვე ცნობილი აუზების შესწავლა ნელი ტემპით მიმდინარეობს. კახეთის რაიონებისათვის ალაზნის არტეზიული აუზის წყლების გამოყენების პროექტები დაუმუშავებელია. უპროექტებოდ დაწყებულია ტირიფონისა და მუხრანის აუზების ათვისება. მოქმედი ექსპლუატაციური ჭაბურღილებისადმი არ არის დაწესებული სარეჟიმო დაკვირვებანი და მარეგულირებელი დანადგარებით მოუწყობელი მნიშვნელოვანი რაოდენობის ჭაბურღილების არსებობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს სისტემატურად წარმოებს წყლების თვითგადმოღვრა, ეევს აუზების ნაადრევად დაშრობას.

აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 4 სექტემბრის № 1036 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დადგენილ იქნას ახალი ექსპლუატაციური წყლის ჭაბურღილების ბურღვისა და საზვერი ჭაბურღილების საექსპლუატაციოდ გადაკეთების, აგრეთვე წყალსაღებ ნაგებობათა მშენებლობის წესი, სავალდებულო ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა:

ა) წყლის ახალი ექსპლუატაციური ჭაბურღილების ბურღვა, საზვერი ჭაბურღილების საექსპლუატაციოდ გადაკეთება, წყალსაღებ ნაგებობათა მშენებლობა და კვლავმოწყობა მიწისქვეშა წყლების გამოსაყენებლად წარმოებს მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს ნებართვით და საქართველოს სსრ სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ადგილობრივ ორგანოებთან, ხოლო ამ სამუშაოთა წარმოების დროს სამთო-ამოღებით საწარმოებთან—აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტთანაც შეთანხმებით.

შთანთქმელი ჭაბურღილების ბურღვა და შთანთქმელი ჭების მოწყობა სამრეწველო და სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების სადინებლად აკრძალულია ყველა შემთხვევაში, როცა ეს ჭაბურღილები და ჭები შეიძლება გადაიქცნენ იმ წყლიანი ჰორიზონტის გაბინძურების წყაროდ, რომელიც გამოყენებულია ან გათვალისწინებულია გამოსაყენებლად სამეურნეო სასმელი წყალმომარაგებისათვის.

აღნიშნული მიზნებისათვის შთანთქმელი ჭაბურღილების ბურღვა ყოველ ცალკე შემთხვევაში შეიძლება ნებადართულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს მიერ, როცა არსებობს სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოების დასკვნა, და იმ პირობით, თუ ჩატარდება სპეციალური გამოკვლევები ამ ჭაბურღილების ბურღვის რაიონში;

ბ) ახალ წყალსაღებ ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობის ან არსებულის გადაკეთების დროს ამ ნაგებობათა ექსპლუატაციის რეჟიმი, რომელიც გამორიცხავს მიწისქვეშა წყლების ნაადრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად ამოლევას, წესდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიურ სამმართველოსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტთან შეთანხმებით;

გ) ახალ წყალსაღებ ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობის ან არსებულის გადაკეთების დროს მიწისქვეშა წყლების გამოსაყენებლად სასმელი საჭიროებისათვის, სანიტარული დაცვის სათანადო ზონების დაწესება, აგრეთვე სხვა სანიტარულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განხორციელება ხდება საქართველოს სსრ სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

2. დაწესდეს, რომ სახელმწიფო კონტროლს მიწისქვეშა წყლების გამოყენებისა და მათი ამოლევა-გაბინძურების დაცვისადმი ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველო.

უშუალო პასუხისმგებლობა მიწისქვეშა წყლების დაცვისადმი, მათ შორის მათი ექსპლუატაციის დაწესებული რეჟიმის, აგრეთვე სანიტარული დაცვის ზონის რეჟიმის შესრულებისადმი ეკისრება იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს (მათ შორის კოლმეურნეობებსაც), რომელნიც იყენებენ წყალსაღებ ნაგებობებს.

3. უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიურ სამმართველოს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტს:

ა) საჭირო შემთხვევებში სავალდებულოდ გაუხადონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს წყლების საკონტროლო საცდელი ტუმბვის, სტაციონარული ზედამხედველობის, წყლების ანალიზების და სხვა იმ გამოკვლევათა ჩატარება, რომელნიც დაკავშირებულია მიწისქვეშა წყლების გამოყენებასა და დაცვასთან;

ბ) აწარმოონ მოქმედ წყალსაღებ ნაგებობათა რაიონების გამოკვლევა, მოსთხოვონ თანამდებობის პირთ საჭირო ცნობები და განმარტებები მიწისქვეშა წყლების ექსპლუატაციისა და დაცვის პირობების საკითხებზე;

გ) გაუგზავნონ ორგანიზაციებსა და საწარმოებს მათთვის სავალდებულო მიწერილობა მიწისქვეშა წყლების ნაადრევად ამოლევისაგან ან გაბინძურებისაგან დაცვის ღონისძიების შეთანხმებულ ვადებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ჩატარების შესახებ და მიწერილობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეუჩეროს ორგანიზაციებსა და საწარმოებს მიწისქვეშა წყლების ექსპლუატაცია ან შეუმციროს მისი მოცულობა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს განახორციელონ 1959—1961 წლებში ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ ყველა მოქმედი წყალსაღები ნაგებობის სათანადო წესრიგში მოყვანას, იმ ექსპლუატაციური ჭაბურღილების საონკანო დანადგარებით მოწყობას, რომლებიდანაც წარმოებს მიწისქვეშა წყლების თვითგადმოღვრა, მიწისქვეშა წყლების უყაირათო ხარჯვის ლიკვიდაციას, აგრეთვე აგვაცილებს სამრეწველო და კომუნალური საწარმოების ჩამდინარე წყლებით მათ გაბინძურებას.

5. დაევალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს 1960 წლის განმავლობაში შეადგინოს ალაზნის აუზის არტეზიული წყლების გამოყენების პროექტები ყვარლის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიონების წყალმომარაგებისათვის.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიურ სამმართველოს, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, 3 თვის ვადაში დაამუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ღონისძიებანი ალაზნის საწნეო აუზის ჩაქცეული ჭაბურღილების სალიკვიდაციოდ და წინათ გაბურღილი საზვერი ჭაბურღილების შესაკეთებლად.

7. დაწესდეს, რომ 1960 წლიდან დაწყებული წყლის ექსპლუატაციური ჭაბურღილების ბურღვის, მშენებლობის, სხვა წყალსაღები ნაგებობებისა და შთანთქმელი ჭაბურღილების იმ სამუშაოების დაფინანსება, რასაც ორგანიზაციები და საწარმოები ასრულებენ, წარმოებს მხოლოდ სამუშაოების წარმოებაზე ამ დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად გაცემული ნებართვის არსებობის პირობებში.

8. ეცნობოს დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 4 სექტემბრის № 1036 დადგენილებით გეოლოგიის და წიაღთა დაცვის სამინისტროს და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაეკისრა მიწისქვეშა წყლების გამოსაყენებლად სსრ კავშირის ტერიტორიაზე წარმოებული ყველა სამუშაოს მეთოდური ხელმძღვანელობა და მათი დაცვა დაშრობისა და გაბინძურებისაგან, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სამუშაოების კოორდინაცია და რომ სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღთა დაცვის სამინისტროს დაევალა, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, დაამტკიცოს დებულება სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლების გამოყენებისა და დაცვის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუბავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 24 ოქტომბერი, № 851

101 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს დეპეშათა სააგენტოს (საქდესის) დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს დეპეშათა სააგენტოს (საქდესის) შესახებ.

2. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 30 სექტემბრის № 1121 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს (საქდესის) დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხებს აწესრიგებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და რომ სააგენტო ხელის მომწერლებისაგან იღებს სასყიდელს თავისი ინფორმაციისათვის.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს დეპეშათა სააგენტოს დებულება, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 22 სექტემბრის № 1180 დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 26, მუხ. 151).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუბავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 24 ოქტომბერი, № 854

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 24 ოქტომბრის № 854
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს დეპეშათა სააგენტოს (საქდესი) შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს დეპეშათა სააგენტო (საქდესი) არის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური საინფორმაციო ორგანო.

2. საქდესის ძირითადი ამოცანებია:

ა) შეაგროვოს საკუთარი საკორესპონდენტო ქსელის მეშვეობით და გაავრცელოს (საკუთარი მარკით) ინფორმაცია და ფოტოინფორმაცია საქართველოს სსრ ფარგლებში რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმიანობის შესახებ, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის შესახებ, სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში, სოციალურ დარგში, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში, კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევების შესახებ;

ბ) გაავრცელოს რესპუბლიკის პრესისა და რადიოსათვის, გარდა საქდესის საკუთარი ინფორმაციისა, საკანონმდებლო აქტები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი, რესპუბლიკის ხელმძღვანელ მოღვაწეთა გამოსვლები, აგრეთვე სხვა ოფიციალური დოკუმენტები ან ტექსტობრივად, ან შემოკლებული გადმოცემით;

გ) გადასცეს რესპუბლიკური ინფორმაცია და ფოტოინფორმაცია საკავშირო დეპეშათა სააგენტოს;

დ) გაავრცელოს საკდესიდან მიღებული საერთაშორისო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო-საკავშირო ინფორმაცია, ფოტოინფორმაცია რესპუბლიკური პრესისა და რადიომაუწყებლობის ორგანოებს შორის;

ე) გადასცეს საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებს მიმოხილვები მიმდინარე მოვლენების შესახებ, საჭირო მასალები საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო და ათეისტურ თემებზე, მოწინავე გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების შესახებ.

3. აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად საქდესი:

ა) მოაწყობს საქართველოს სსრ ფარგლებში საკუთარი შტატის, შტატგარეშე ლიტერატურულ კორესპონდენტთა და ფოტოკორესპონდენტთა ქსელს, ხოლო საჭიროების მიხედვით მიავლინებს ადგილებზე თავის სპეციალურ ლიტერატურულ კორესპონდენტებსა და ფოტოკორესპონდენტებს;

ბ) განახორციელებს საკდესის მასალების ცენტრალიზებულ თარგმნას რუსულიდან ქართულ ენაზე;

გ) გადასცემს გაზეთებს მასალებს ქართულ და რუსულ ენაზე;

დ) მოაწყობს ფოტოინფორმაციის განყოფილებას (ფოტოქრონიკა), რომელიც გაზეთებს მიაწვდის ფოტოინფორმაციას, აგრეთვე გამოუშვებს ხელმოწერით საწარმოებისა, კოლმეურნეობებისა, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაციებისათვის ფოტოსტენდებს და ფოტოგამოფენებს, რომლებიც ასახავენ რესპუბლიკის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას;

ე) იქონიებს კავშირგაბმულობის საკუთარ მიმღებ და გადამცემ საშუალებებს, აგრეთვე იჯარით აიღებს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსაგან რადიო და სადენებიან კავშირგაბმულობას.

. საქდესის და მის კორესპონდენტთა საინფორმაციო დეპეშებისა და ფოტოდეპეშების გადაცემის საფასურის გადახდა, აგრეთვე მის მიერ სატელეგრაფო არხების იჯარით აღება წარმოებს შეღავათიანი ტარიფით.

4. საქართველოს სსრ პრესაში და რადიოთი ინფორმაციის, აგრეთვე ფოტოინფორმაციის გავრცელებისათვის საქდესი ახდევინებს ხელმოწერის ფასს. კავშირგაბმულობის საშუალებათა სარგებლობის ფასის გადახდა წარმოებს ხელმომწერთა ხარჯზე.

5. საქდესი პასუხისმგებელია ხელმომწერთა დროზე უზრუნველყოფისათვის ინფორმაციითა და ფოტოინფორმაციით, აგრეთვე თავისი ინფორმაციის ხარისხისა და სინამდვილისათვის.

6. საქდესი სარგებლობს ავტორის მთელი უფლებებით, შორის იმის უფლებით, რომ საინფორმაციო ცნობების ქვეშ მოათავსოს თავისი სახელწოდება და თავის კორესპონდენტთა გვარები.

გაზეთების რედაქციები, რომლებიც საქდესის ინფორმაციის ხელმომწერლები არიან საქდესს უფასოდ უგზავნიან გაზეთების თითო ეგზემპლარს.

7. საქდესის და მის კორესპონდენტთა საინფორმაციო დეპეშებს და ფოტოდეპეშებს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ტელეგრაფები დაამუშავებენ და გადასცემენ მთავრობის დეპეშების კატეგორიის მიხედვით.

საქალაქთაშორისო ტელეფონი სალაპარაკოდ დაეთმობა საქდესის დირექტორს, მის მოადგილეებსა და კორესპონდენტებს პირველი სამთავრობო კატეგორიით.

8. საქდესს სათავეში უდგას დირექტორი. საქდესის დირექტორს და მის მოადგილეებს დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. საქდესის დირექტორი ხელმძღვანელობს აპარატის მუშაობას, დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სააგენტოს მუშაკებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს კანონების, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად და შეამოწმებს მათს შესრულებას, დაამტკიცებს დებულებებს მისდამი დაქვემდებარებული განყოფილებების შესახებ, დადგენილი წესით შექმნის, მოაწყობს და გააუქმებს მისდამი დაქვემდებარებულ განყოფილებებსა და სხვა ობიექტებს, კავშირურთიერთობას დაამყარებს საქდესთან, აგრეთვე რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან.

10. საქდესი მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საფუძვლებზე. საქდესის ბიუჯეტის ფულად წყაროებს შეადგენს ფულადი შემოსავალი საქდესის მიერ გაზეთებისა, რადიოსა და სხვა ორგანიზაციებისათვის დაგზავნილ ინფორმაციაზე ხელმოწერის ფასისა და ფოტოპროდუქციის რეალიზაციისაგან.

11. საქდესს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბი და თავისი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

102 ორსართულიანი რვაბინიანი საცხოვრებელი სახლის ტიპობრივი პროექტის საპროექტო მოცემულობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საპროექტო ინსტიტუტის—სოფლმშენპროექტის მიერ შემუშავებული საპროექტო მოცემულობა ორსართულიანი რვაბინიანი საცხოვრებელი სახლის ტიპობრივი პროექტისა საქართველოს სსრ შვიდბალიანი სეისმურობის რაიონებისათვის, რომლებსაც კანალიზაცია არა აქვთ, შემდეგი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით:

საერთო მოცულობა (კუბ. მეტრი)	—1178,8
საერთო საცხოვრებელი ფართობი (კვ. მეტრი)	—184,66
ბინის საშუალო საცხოვრებელი ფართობი (კვ. მეტრი)	— 23,0
1 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულება (მან.)	— 963,0
ბინის ღირებულება (მან.)	—22,230

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 18 ნოემბერი, № 876

103 საქართველოს სსრ ქალაქების მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის ისეთი საქონლის ნისიად მიყიდვის შესახებ, რომელიც საკმაო რაოდენობით მოიპოვება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 სექტემბრის № 717 დადგენილების დამატებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიჰყიდოს ნისიად მუშა-მოსამსახურეებს ხანგრძლივი სარგებლობის საქონელი, რომელიც საკმაო რაოდენობით მოიპოვება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 სექტემბრის № 717 დადგენილების 1 მუხლში ჩამოთვლილი ქალაქების გარდა, რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც (სამინისტროს განსაზღვრით) როგორც სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრო ორგანიზაციათა სისტემის მეშვეობით, ისე მუშათა მომარაგების განყოფილებების საცალო სავაჭრო ქსელის მეშვეობით.

2. დაწესდეს, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია ნისიად გაყიდის აღნიშნულ საქონელს იმ ქალაქებში, რომლებსაც მომსახურებას უწევს სამომხმარებლო კოოპერაცია, ცეკავშირის გამგეობის განსაზღვრით.

3. ნება დაერთოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას შეცვალონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 სექტემბრის № 717 დადგენილების თანახმად ნისიად გასაცემი საქონლის ნუსხა და შეავსონ იგი ხანგრძლივი სარგებლობის სხვა საქონლით, რომელიც საკმაო რაოდენობით მოიპოვება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 18 ნოემბერი, № 880.

104 მძიმე ინდუსტრიის დარგების პროდუქციის ტრანსპორტირების დროს კონტეინერების მასობრივი გამოყენების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 27 ოქტომბრის № 1209 დადგენილების შესაბამისად და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის გაძლიერების, აგრეთვე მძიმე ინდუსტრიის დარგების პროდუქციის მომხმარებლებისათვის მიტანის დაჩქარების, მისი გადაზიდვის დროს დანაკარგის შემცირების, ამ პროდუქციისათვის ტარის დამზადების და შეფუთვის ხარჯების დაკლების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) უზრუნველყონ სახალხო მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლის კონტეინერებით გადაზიდვის შემდგომ განვითარებასთან ერთად, კონტეინერების ფართოდ გამოყენება მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის სა-

წარმოების პროდუქციის გადასაზიდად, რომლის ტრანსპორტირებისათვის საჭიროა სპეციალური ტარა, და ასეთი პროდუქციის [illegible] ლის შეუფუთავად გადაზიდვა გამოიწვევს ხარისხის [illegible] და მისი დანაკარგის გადიდებას;

ბ) განსაზღვრონ კონტეინერების მოთხოვნილება 1960—1965 წლებში (ტიპებისა და წლების მიხედვით) იმ პროდუქციის გადაზიდვის მოცულობის საფუძველზე, რომლის კონტეინერებით გადაზიდვა ეკონომიურად მიზანშეწონილია, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა გადაზიდულ იქნას კონტეინერებით პირველ რიგში ცეცხლგამძლე მასალები, სპილენძის, ტყვიის, თუთიისა და სხვა მადნეულის კონცენტრატები, ფერადი ლითონები, მინერალური სასუქები, ცემენტი, აგური, კრამიტი, მინა, შიფერი და შესაბამისი წინადადებანი ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

გ) გაითვალისწინონ წლიური გეგმებით საჭირო კაპიტალური დაბანდებანი კონტეინერებისა და ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობის შესაძენად იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს კონტეინერების ფართოდ გამოყენებას მძიმე ინდუსტრიის დარგების პროდუქციის ტრანსპორტირების დროს.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა გზათა სამინისტროს:

ა) მოაწყოს კონტეინერების წარმოება მძიმე ინდუსტრიის დარგების პროდუქციის გადასაზიდად, დაამზადოს და მიაწოდოს 1960—1965 წლებში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მათი განაცხადებით სულ ცოტა 200 ათასი ასეთი კონტეინერი, მათ შორის 1960 წელს — არანაკლებ 1,5 ათასი კონტეინერისა;

ბ) შეიმუშაოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით დაამტკიცოს მძიმე ინდუსტრიის დარგების პროდუქციის კონტეინერებით გადაზიდვის წესები და საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ აღნიშნული კონტეინერების დაბრუნების წესი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 25 ნოემბერი, № 895

105 მოსახლეობისათვის სტანდარტული სახლებისა და ადგილობრივი საშენი მასალებისაგან დამზადებული კედლებიანი სახლების დეტალების კომპლექტების მიყიდვის გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სტანდარტული სახლებისა და ადგილობრივი საშენი მასალებისაგან დამზადებულ კედლებიანი სახლების დეტალების კომპლექტების ვაჭრობა მოწყობილია არადამაკმაყოფილებლად. ინდივიდუალური მენაშენეები ხშირად მოკლებული არიან საშუალებას შეიძინონ სავაჭრო საწყობებში სახლების ხის დეტალების კომპლექტთან ერთად აგური, კრამიტი, ცემენტი, მინა, ლურსმანი, მოსაპირკეთებელი და სხვა მასალები. ბევრ ხე-ტყის სავაჭრო საწყობში არ მოიპოვება დასატვირთავ-გადმოსატვირთავი მექანიზმები და სახლის დეტალების შესანახი დახურული ფარდულები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 29 აგვისტოს № 1011 დადგენილების შესაბამისად და იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს სტანდარტული სახლების და ადგილობრივი საშენი მასალებისაგან დამზადებულ კედლებიანი სახლების დეტალების კომპლექტების მიყიდვა მოსახლეობისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას:

ა) ერთი თვის ვადაში დაამტკიცონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით სტანდარტული სახლებისა და ადგილობრივი საშენი მასალებისაგან დამზადებულ კედლებიანი სახლების დეტალების კომპლექტების სავაჭრო სპეციალიზებული ქსელის გაფართოების გეგმა;

ბ) უზრუნველყონ 1960 წლიდან სტანდარტული სახლებისა და დეტალების კომპლექტების შენახვა დახურულ სადგომებში;

გ) დააწესონ იმ ხე-ტყის სავაჭრო საწყობების შტატებში, რომელთა საცალო საქონელბრუნვა წელიწადში 2 მილიონ მანეთს აღემატება, ინდივიდუალური მენაშენეებისათვის ტექნიკური დახმარების გასაწევად სტანდარტული სახლების მონტაჟის საქონელმცოდნე-ინსტრუქტორის თანამდებობა მუშაკთა იმ რაოდენობის ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია სავაჭრო ორგანიზაციებისათვის;

დ) გააფართოონ სტანდარტული სახლებისა და დეტალების კომპლექტების მიყიდვა (სავაჭრო საწყობებში შეუტანლად) საბინაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშენებლო კოოპერატივებისათვის, რომლებიც შეიქმნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 20 მარტის № 320 დადგენილების შესაბამისად;

ე) გააუმჯობესონ სტანდარტული სახლებისა და ადგილობრივი საშენი მასალებისაგან დამზადებული კედლებიანი სახლების დეტალების კომპლექტების რეკლამირება, მოაწესრიგონ სტანდარტული სახლების, დეტალების კომპლექტებისა და მათი გაყიდვის პირობების შესახებ კატალოგებისა და მხატვრული პლაკატების გამოცემა მასობრივი ტირაჟით.

ვ) მოაწყონ გასაყიდი სტანდარტული სახლებისა და დეტალების კომპლექტების ნიმუშების ჩვენება მსხვილ სავაჭრო საწყობებში (რომლებიც წელიწადში 100 სახლზე მეტს ყიდიან);

ზ) ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და დასამტკიცებლად წარმოადგინონ სტანდარტული სახლებისა და ადგილობრივი საშენი მასალებისაგან დამზადებულ კედლებიანი სახლების დეტალების კომპლექტების ერთიანი საცალო ფასები, მათი მოქმედი საბითუმო ფასების გათვალისწინებით, დანიშნულების სადგურამდე ამ სახლებისა და დეტალების მიტანის სატრანსპორტო ხარჯების და სტანდარტული სახლებისა და დეტალების კომპლექტების რეალიზაციისათვის სავაჭრო ორგანიზაციათა ხარჯების (მოგების ჩათვლით) გათვალისწინებით;

თ) მიაყიდონ მოსახლეობას სტანდარტული სახლები და ადგილობრივი საშენი მასალებისაგან დამზადებულ კედლებიანი სახლების დეტალების კომპლექტები კომპლექტურად მთელი მასალებით, ნაკეთობებითა და მოწყობილობით, რომლებიც საჭიროა სახლების მშენებლობისათვის.

დაწესდეს, რომ გარდა იმ მასალებისა, ნაკეთობებისა და მოწყობილობებისა, რომლებსაც სახლმშენებელი საწარმოები მიაწვდიან სავაჭრო საწყობებს კომპლექტურად აღნიშნულ სახლებთან და მასალების დეტალებთან ერთად, სავაჭრო საწყობები გამოყოფენ სახლების კომპლექტაციისათვის მასალებს, ნაკეთობებსა და მოწყობილობას, დანართის თანახმად;

ი) გამოუყონ საბაზრო ფონდების ხარჯზე სავაჭრო საწყობებს დანართში აღნიშნული მასალების, ნაკეთობებისა და მოწყობილობის ფონდები იმ რაოდენობით, რაც საჭიროა ადგილობრივი საშენი მასალებისაგან დამზადებულ კედლებიანი სტანდარტული სახლების დასაკომპლექტებლად, რომლებიც განკუთვნილია მოსახლეობისათვის მისაყიდად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ) გააფართოონ პრაქტიკა სახლების დასაკომპლექტებლად ჭირო მასალების, დეტალების, ნაკეთობათა და მოწყობილობის გაგზავნისა სახლმშენებელი საწარმოების მიერ სავაჭრო ორგანიზაციებთან შეთანხმებით სავაჭრო საწყობებისათვის უშუალოდ დამამზადებელი ქარხნებიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს:

ა) სტანდარტული სახლებისა და ადგილობრივი საშენი მასალებისაგან დამზადებულ კედლებიანი სახლების დეტალების კომპლექტების აუწყობელი სახით გაყიდვასთან ერთად, მოაწყოს 1960 წელს ქალაქებსა და მუშათა დაბებში ჩასასახლებლად მომზადებული 250 აშენებული სტანდარტული სახლის მიყიდვა მოსახლეობისათვის;

ბ) ნება დართოს სავაჭრო ორგანიზაციებს მიიღონ მოსახლეობისაგან შეკვეთები აშენებული სტანდარტული სახლების ყიდვის შესახებ იმ პირობით, თუ მყიდველებისაგან მიღებული იქნება ავანსი სახლის ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით. სახლის სრული ღირებულება უნდა აანაზღაურონ მყიდველებმა ჩასახლებამდე;

გ) ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახმშენთან და სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან შეთანხმებით წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წესი მყიდველებთან ანგარიშსწორებისა მათთვის მიყიდული აშენებული სახლებისათვის, აგრეთვე წესი სავაჭრო ორგანიზაციების ანგარიშსწორებისა სამშენებლო ორგანიზაციებთან, რომლებიც ამ სახლების მშენებლობას ახორციელებენ.

3. სტანდარტული სახლების მშენებლობა სავაჭრო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებებით დაეკისროთ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს (200 სახლი) და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამშენებლო ორგანიზაციას (50 სახლი).

სტანდარტული სახლების მშენებლობა შეტანილ იქნას საიჯარო ორგანიზაციების სამუშაოთა წლიურ გეგმებში პირდაპირი ხელშეკრულებებით, ამასთან სახლების მშენებლობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

4. დაევალოს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საქართველოს კანტორას:

ა) აძლიოს სამშენებლო ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ სტანდარტული სახლების მშენებლობას მოსახლეობისათვის მზა სახით მისაყიდად, კრედიტი სტანდარტული სახლების ასანაზღაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებლად და ამ სახლების მშენებლობის ხარჯების დასაფარავად ნა-
ლის იმ ღირებულების არა უმეტეს 50 პროცენტისა, რაც გათვალის-
წინებულია სავაჭრო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულე-
ბებით, სახლის მშენებლობისათვის დაწესებული ვადით, მაგრამ არა
უმეტეს 6 თვისა;

ბ) აძლიოს იმ პირებს, რომლებიც იძენენ ჩასასახლებლად გამზა-
დებულ სტანდარტულ სახლებს, კრედიტი იმ წესით, რაც დადგენი-
ლია კრედიტების მისაცემად ინდივიდუალური საბინაო მშენებლო-
ბისათვის, მაგრამ ისე, რომ სესხის ხაზით მიღებული სახსრები გადა-
ერიცხოს სავაჭრო ორგანიზაციებს შესაძენი სახლისათვის გადასახ-
დელის უკანასკნელი ვადის დროს.

5. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო)
საბჭოების აღმასკომებს:

ა) დროზე გამოუყონ ინდივიდუალურ მენაშენეებს მიწის ნაკვე-
თები სახლების მშენებლობისათვის იმ რაიონებში, რომლებსაც მო-
სახერხებელი მიმოსვლა აქვთ დასახლებულ პუნქტებთან;

ბ) გამოუყონ სავაჭრო ორგანიზაციებს რკინიგზის სადგურებთან
მოხერხებულად დაკავშირებულ პუნქტებში მიწის ნაკვეთები იმ მიზ-
ნით, რომ მოეწყოს სავაჭრო საწყობები სტანდარტული სახლებისა
და დეტალების კომპლექტების შესანახად, დასაკომპლექტებლად და
გასაყიდად.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ
1959 წლის 29 აგვისტოს № 1011 დადგენილებით დაავალა:

ა) სსრ კავშირის სახმშენს შეიმუშაოს, და დაამტკიცოს სტანდარ-
ტული სახლების და ადგილობრივი მასალებისაგან დამზადებულ
კედლებიანი სახლების დეტალების კომპლექტების ტიპები ამიერკავ-
კასიის რაიონებში მშენებლობისათვის, კლიმატური პირობების გათ-
ვალისწინებით;

ბ) სსრ კავშირის გზათა სამინისტროს — აწარმოოს სტანდარტუ-
ლი სახლებისა და ადგილობრივი საშენი მასალებისაგან დამზადებულ
კედლებიანი სახლების დეტალების კომპლექტების გაგზავნა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც წესი, დახურული ვაგონებით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ტვირთების მასობრივი გადაზიდვის პერიოდში — ღია ვაგონებითაც.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 25 ნოემბერი, № 898

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 25 ნოემბრის № 898
დადგენილების დანართი

ს ი ა

მასალებისა, ნაკეთობათა და მოწყობილობისა, რომლებსაც სავაჭრო საწყობები გამოყოფენ მოსახლეობისათვის მისაყიდად განკუთვნილი სახლების დასაკომპლექტებლად

1. ადგილობრივი საშენი მასალები (აგური, კრამიტი, წიდაბლოკები, კირი, ცარცი, გაჯი, ტუფი, საბათქაშე ყავარი და სხვა).
2. ცემენტი, მინა, სახურავი შიფერი.
3. მშრალი თაბაშირის ბათქაში.
4. საღებავები, თეთრა, ოლიფა.
5. საღუმელე სხმული, სამზარეულოს ფილები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

106 გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების დაგეგმვისა და ჩატარების მოწესრიგების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ გეოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა იმ გეოლოგიურ-დაზვერვითი და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ხარისხი, რომლებიც რესპუბლიკაში სრულდება. აღმოჩენილია მთელი რიგი ახალი საბადოები და გამოვლინებანი, გაფართოებულია მოქმედი საწთომმპოვებელი საწარმოების ნედლეულის რესურსები, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს ტერიტორიის საერთო-გეოლოგიური შესწავლის სამუშაოები.

ამასთან ერთად, გეოლოგიურ-დაზვერვითი ორგანიზაციების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების არასწორად დაგეგმვა და ამ სამუშაოთა წარმოებისათვის სახსრების არარაციონალურად ხარჯვა იმას იწვევს, რომ ეკონომიურად ხელსაყრელი და მრეწველობისათვის საჭირო საბადოების დაზვერვა ხანგრძლივი დროით ჭიანურდება.

ხშირად არასაკმაოდ შესწავლილი საბადოები შეაქვთ გეგმაში როგორც დეტალური დაზვერვის ობიექტებით მარაგის გამოანგარიშებით.

მაგალითად, ძამის რკინამადნეულის საბადოში მარაგის ზრდა დაგეგმილი იყო მანამ, ვიდრე რამდენადმე სარწმუნოდ გამოირკვეოდა მისი პერსპექტიულობა, რაც შემდეგში იმდენად განსაზღვრული აღმოჩნდა, რომ მარაგის გამოანგარიშებას პრაქტიკული აზრი არ ჰქონდა.

სამუშაოთა ფიზიკური მოცულობის შესრულებისადმი გამოდევნებით და ძირითადი გეოლოგიური ამოცანების გადაჭრის საზიანოდ ხორციელდება გამონამუშევართა არამიზანშეწონილი გავლა.

განსაკუთრებით კარგად ვერ არის იმ გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების საქმე, რომლებიც დაკავშირებულია სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების ექსპლუატაციასთან, საექსპლუატაციო ძიებასთან, სამაღაროე, საშახტო და სარეწაო გეოლოგიასთან.

საქართველოს სსრ სახალახო მეურნეობის საბჭოს სამთამადნო საწარმოებში გეოლოგიური სამსახური ან სრულიად არ არსებობს, ან მას ასრულებს მხოლოდ ერთი გეოლოგი, რომელსაც არავითარი დამხმარე პერსონალი არა ჰყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოლოგიური სამსახურის ასეთი მდგომარეობის დროს მარაგის მოძრაობის, დანაკარგების აღრიცხვა და მათთან ბრძოლა, გეოლოგიური დოკუმენტაცია მეტად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ტრესტ ტყვარჩელქვანახშირში დანაკარგების პროცენტი, რაც 1951 წელს შეადგენდა 12,5-ს, გაიზარდა 34,6-მდე 1958 წელს, ტრესტ ტყიბულქვანახშირში — 24,1-დან 1953 წელს 35,5-მდე 1958 წელს.

ციხისუბნის ბეტონიტების საბადოში ნაყარად მიდის და მდინარეში იყრება ძვირფასი ათასობით ტონა ბენტონიტური თიხის ნაირსახეობანი, რომლებსაც ამჟამად ვერ იყენებენ, მაგრამ დიდ ღირებულებას კი წარმოადგენენ.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 ოქტომბრის № 1193 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

1. რესპუბლიკის იმ გეოლოგიურ-დაზვერვითი ორგანიზაციებია, რომლებიც გეოლოგიურ-დაზვერვითს სამუშაოებს ასრულებენ, უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს ამ სამუშაოთა ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლება და მინერალურ-ნედლეულის ბაზების გეოგრაფიული განლაგების გაუმჯობესება სასარგებლო წიაღისეულთა ისეთი ახალი საბადოების გამოვლინებისა და გამოკვლევის ხარჯზე, რომლებიც იმყოფებიან უფრო ხელსაყრელ ეკონომიურ პირობებში და რომლებსაც მოეპოვებათ მაღალი ხარისხი.

დაწესდეს, რომ სასარგებლო წიაღისეულთა ყველა ახლადგამოვლინებულ საბადოში დეტალურ დაზვერვაზე გადასვლამდე ტარდება წინასწარი დაზვერვა იმ მოცულობით, რაც საჭიროა მათი სამრეწველო მნიშვნელობის დასაბუთებული შეფასებისათვის.

დეტალური გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოები დაიგეგმოს მხოლოდ იმ საბადოების მიმართ, რომლებიც წინასწარი გამოკვლევის და მათი ეკონომიური შეფასების მასალებით ცნობილია სამრეწველო ათვისებისათვის გამოსადეგად.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიურ სამმართველოსთან და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ერთად, ერთი თვის ვადაში გადასინჯოს საქართ-

ველოს სსრ რესპუბლიკაში გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების 1960 წლის გეგმის პროექტი, ამასთან გათვალისწინებულ ეფექტს:

ა) საძიებო-დაზვერვითი სამუშაოების ჩატარება ისეთ ფორმებით, რაც უზრუნველყოფს არსებული ნედლეულის ბაზების გაფართოებას და ახალი ბაზების დროზე მომზადებას მოქმედი, მშენებლობისა და დაპროექტების პროცესში მყოფი საწარმოებისათვის და სასარგებლო წიაღისეულთა დაზვერილი მარაგის საჭირო რეზერვის შექმნას რესპუბლიკის საწარმოო ძალთა შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის.

ბ) გეოლოგიურ-გადაღებითი და რეგიონალური გეოფიზიკური სამუშაოების ფართოდ გაშლა საქართველოს სსრ ტერიტორიის კომპლექსური გეოლოგიური შესწავლისათვის იმ მიზნით, რომ უსწრაფესად გამოვლინდეს პერსპექტიული ფართობები და მოეწყოს ახალი მინერალური ნედლეულის ბაზების ძებნა და დაზვერვა, იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნას უახლოესი 5—7 წლის განმავლობაში ამ სამუშაოების ისეთი გაშლა, რომლის დროსაც მათი შესრულება მნიშვნელოვნად გაუსწრებდა წინ საძიებო-სადაზვერვო სამუშაოების წარმოებას.

3. თავმოყრილ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიურ სამმართველოში მთელი გეოლოგიურ-გადაღებითი, რუკების შედგენის, საძებნო და სადაზვერვო სამუშაოები მთელ სასარგებლო წიაღისეულზე მარაგის გამოანგარიშებით A2 კატეგორიამდე ჩათვლით.

4. საქქვანახშირმადანდაზვერვის ტრესტის საქმიანობის ჩარჩოები განისაზღვროს მხოლოდ იმ გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების წარმოებით, რომლებიც დაკავშირებულია სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების ექსპლუატაციასთან.

ამ სამუშაოების ძირითად ამოცანად ჩაითვალოს დამუშავების პროცესში მყოფი საბადოების გეოლოგიური აღნაგობის ყოველმხრივ შესწავლა დამუშავების სისტემების, მოსამზადებელ და საექსპლუატაციო გამონამუშევართა მიმართულების რაციონალურად ამორჩევის მიზნით, აგრეთვე იმ მიზნით, რომ უფრო სრულად იქნას ამოღებული სასარგებლო წიაღისეული მიწიდან და შემცირდეს მისი მოპოვების ღირებულება.

ამასთან ერთად დაევალოს ტრესტ საქქვანახშირმადანდაზვერვას აწარმოოს, სამთომომპოვებელი საწარმოების სამთამადნო გამონყოფის ფარგლებში, დაზვერვითი სამუშაოები მარაგის გადასაყვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნად დაბალი კატეგორიიდან მაღალ კატეგორიაში და საბადოების კონტურების გასაფართოებლად მათი მარაგის ზრდით.

5. დაეტოვოთ საპროექტო ორგანიზაციებს ისეთი საინჟინერო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების შესრულება, რომლებსაც არა აქვთ დამოუკიდებელი ხასიათი და რომლებიც წარმოადგენენ ცალკეულ დაპროექტებულ ობიექტებზე საპროექტო-საძიებო სამუშაოების კომპლექსის შემადგენელ ნაწილს.

6. იმის გამო, რომ ნავთობის მოპოვებითი და დაზვერვითი სამუშაოები მჭიდროდ არის ერთმანეთთან გადახლართული შესწავლისა და ექსპლუატაციის პროცესში მყოფი ნავთობიანი საბადოების განლაგების რაიონების ერთობლივობის, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური და ლაბორატორიული ბაზების ერთობლივობის მხრივ, — თავმოყრილ იქნას საქართველოს სს რესპუბლიკაში ნავთობისა და გაზის მთელი გეოლოგიურ-თემატიკური, გეოლოგიურ-გეოფიზიკური, საძიებო-საგადამლებო და დაზვერვითი სამუშაოები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სპეციალიზებულ ტრესტ საქნავთობში.

7. საქგეოკაპტაჟმინწყლების კანტორის საქმიანობის სფერო განისაზღვროს საექსპლუატაციო ჭაბურღილების გათხრით, საბადოს კონტურების გაფართოებასთან დაკავშირებული დაზვერვით, საკაპტაჟო, ბალნეოლოგიურ-ტექნიკური, ფიზიკა-ქიმიური და საცდელი სამუშაოების წარმოებით, აგრეთვე სარეჟიმო დაკვირვებების მოხდენით მხოლოდ რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის მოქმედი კურორტების ზონებში.

8. თავმოყრილ იქნას სამენი მასალების წვრილი სადაზვერვო სამუშაოები, რომლებიც საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს და რაიაღმასკომების ხარჯზე სრულდება, აღნიშნული სამინისტროს გეოლოგიურ-სადაზვერვო კანტორაში.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიურ სამმართველოს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ტრესტ საქქვანახშირმადანდაზვერვასთან, საქნავთობთან და საქგეოკაპტაჟმინწყლების კანტორასთან ერთად, ორი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული წინადადებანი იმ გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების გაძლიერების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების ექსპლუატაციასთან (საექსპლუატაციო დაზვერვა, სამად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნო, სამახტო და სარეწაო გეოლოგიური სამსახური). წარმოებული დგენილ წინადადებებში განიხილონ სამადნო, სამახტო და სარეწაო გეოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული ფორმებისა და სტრუქტურის საკითხი, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა გაძლიერდეს მაღაროთა გეოლოგების როლი და ამაღლდეს მათი პასუხისმგებლობა მინერალური ნედლეულის რაციონალურად და კომპლექსურად გამოყენებისათვის, აგრეთვე მოეწყოს გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის რესპუბლიკურ ორგანოებში, სახალხო მეურნეობის საბჭოსა და სამთამადნო საწარმოებში სამახტო და სარეწაო გეოლოგიის განყოფილებები.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიურ სამმართველოს 1959 წლის 10 დეკემბრისათვის წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას;

ა) იმ საბადოების სია, რომლებშიაც 1960 წელს იწარმოებს მარაგის ოპერატიული გამოანგარიშება;

ბ) გრაფიკი აღნიშნული საბადოების მადნის დროებითი კონდიციების იმ პროექტების წარდგენისა, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ უნდა დაამტკიცოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან შეთანხმებით.

11. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 ოქტომბრის № 1193 დადგენილება დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 4 დეკემბერი, № 912

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 1193

1959 წლის 15 ოქტომბერი

მოსკოვი, კრემლი

გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების დაგეგმვისა და ჩატარების მოწესრიგების ზომების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების ფართოდ გაშლის შედეგად აღმოჩენილი და დაზვერილია სასარგებლო წიაღისეულთა უდიდესი საბადოები, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. გეოლოგების ამ წარმატებებს ხელს უწყობდა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის გეოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის განმტკიცება, მისი გარდაქმნა ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, რაც მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ჩატარდა.

ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების ამოცანები მოითხოვენ გეოლოგიური ორგანიზაციებისაგან სასარგებლო წიაღისეულთა ახალი ექსპლუატაციისათვის ეკონომიურად ხელსაყრელი საბადოების გამოვლინებას და მათ მომზადებას სამრეწველო ათვისებისათვის.

ამათან ერთად, გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების დაგეგმვისა და ჩატარების შექმნილი პრაქტიკა სათანადოდ ვერ უპასუხებს ამ მოთხოვნებს. მთელ რიგ შემთხვევებში არარაციონალურად წარმოებს იმ დიდ ასიგნობათა გამოყენება, რომლებიც გამოყოფილია გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების შესასრულებლად. სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება ისეთი საბადოების დეტალურ დაზვერვას, რომლებსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ იყენებს მრეწველობა, რაც იწვევს დაზვერილი მარაგის ზრდას სასარგებლო წიაღისეულთა ბევრ წვრილ საბადოში ან ისეთ საბადოებში, სადაც მადანი დაბალი ხარისხისაა. გეოლოგიური ორგანიზაციების მეცადინეობა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი ხშირად მიმართულია ჭაბურღილების ან სამთო სამუშაოთა მოცემული ფიზიკური მოცულობის შესრულებისაკენ, დამოუკიდებლად მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზანშეწონილობისა, ზოგჯერ კი ძირითადი გეოლოგიური ამოცანების საზიანოდ. ამის შედეგად, გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების ეკონომიური ეფექტიანობა დაბალია.

სასარგებლო წიაღისეულთა ექსპლუატაციასთან დაკავშირებული გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოები (საექსპლუატაციო დაზვერვა, სამაღაროე. საშახტო და სარეწაო გეოლოგია) მთელ რიგ საწარმოებში არადამაკმაყოფილებლად ტარდება, ადგილი აქვს სასარგებლო წიაღისეულთა დიდ დანაკარგს მათი მოპოვებისა და გადამუშავების დროს. სახალხო მეურნეობის საბჭოები. სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტრო. ყაზახეთის სსრ გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტრო. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის მთავარი სამმართველოები (სამმართველოები) ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ საექსპლუატაციო დაზვერვის ხელმძღვანელობას. სამაღაროე და საშახტო გეოლოგიურ სამსახურს და არ იღებენ ზომებს ჩვენი წიაღისეულის მინერალურ-ნედლეული რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმეში არსებული სერიოზული დარღვევების თავიდან აცილებისათვის.

გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების დაგეგმვისა და ჩატარების საქმეში სათანადო წესრიგის დამყარების. და მათი ეკონომიური ეფექტიანობის გადიდების მიზნით. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს. ყაზახეთის სსრ გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის მთავარი სამმართველოების (სამმართველოების). აგრეთვე იმ სახალხო მეურნეობის საბჭოების. რომლებიც გეოლოგიურ-დაზვერვითს სამუშაოებს ასრულებენ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს. ამ სამუშაოთა ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლება და მინერალურ-ნედლეულის ბაზების გეოგრაფიული განლაგების გაუმჯობესება იმ სასარგებლო წიაღისეულთა ახალი საბადოების გამოვლინებისა და დაზვერვის ხარჯზე. რომლებიც იმყოფებიან უფრო ხელსაყრელ ეკონომიურ პირობებში და რომლებსაც მოეპოვებათ მაღალი ხარისხის მადანი.

დაწესდეს. რომ სასარგებლო წიაღისეულთა ყველა ახლადგამოვლინებულ საბადოში დეტალურ დაზვერვაზე გადასვლამდე ტარდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასწარი დაზვერვა იმ მოცულობით, რაც საჭიროა მათი სამრეწველო მნიშვნელობის დასაბუთებული შეფასებისათვის.

დეტალური გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოები ჩატარდეს მხოლოდ იმ საბადოებში, რომლებიც წინასწარი დაზვერვის და მათი ეკონომიურად შეფასების მასალებით ცნობილი არიან სამრეწველო ათვისებისათვის გამოსადეგად.

2. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს გაითვალისწინონ გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების გეგმებით:

ა) საძიებო-დაზვერვითი სამუშაოების ჩატარება იმ მოცულობით, რაც უზრუნველყოფს არსებული მინერალურ-ნედლეულის ბაზების გაფართოებას და ახალი ასეთი ბაზების დროზე მომზადებას მოქმედი, მშენებლობისა და დაპროექტების პროცესში მყოფი საწარმოებისათვის, და სასარგებლო წიაღისეულთა დაზვერილი მარაგის საჭირო რეზერვის შექმნა ქვეყნის საწარმოო ძალთა შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის;

ბ) გეოლოგიურ-გადაღებითი და რეგიონალური გეოფიზიკური სამუშაოების ფართოდ გაშლა სსრ კავშირის ტერიტორიის კომპლექსური გეოლოგიური შესწავლისათვის იმ მიზნით, რომ უსწრაფესად იქნას გამოვლინებული პერსპექტიული ფართობები და მოეწყოს ახალი მინერალურ-ნედლეულის ბაზების ძებნა და დაზვერვა, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას უახლოესი 5—7 წლის განმავლობაში ამ სამუშაოების ისეთი განვითარება, რომლის დროსაც მათი შესრულება მნიშვნელოვნად გაუსწრებდა წინ საძიებო-სადაზვერვო სამუშაოების წარმოებას.

3. დაევალოს სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს შეიმუშაოს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით 1960 წლის 1 ივლისამდე დაამტკიცოს:

ა) მეთოდური მითითებანი გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების ცალკეული ეტაპების ჩატარებისათვის (გეოლოგიური გადაღება, სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების ძებნა მათი წინასწარი დაზვერვა, დეტალური დაზვერვა), გაითვალისწინოს ამ მითითებებში მოთხოვნები თვითეული ეტაპის შინაარსისა და საბოლოო შედეგებისადმი სხვადასხვა რაიონების და სასარგებლო წიაღისეულთა ჯგუფების მიხედვით და იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა ცალკეული ეკონომიური რაიონების, მოკავშირე რესპუბლიკებისა და მთლიან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნად ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის კომპლექსური გეოლოგიური ფუძ-
წავლის ჩატარება;

ბ) მეთოდური მითითებანი სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების წინასწარი დაზვერვის ჩატარებისათვის იმ ანგარიშით, რომ მინიმალურად დაიხარჯოს ფულადი და მატერიალური სახსრები, რაც საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ ამ საბადოების ტექნიკურ-ეკონომიური შეფასება.

4. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროსთან ერთად, დაადგინოს 1960 წლის 1 აპრილამდე წესი, თუ როგორ უნდა იქნას შედგენილი და განხილული ტექნიკურ-ეკონომიური მოხსენებანი სასარგებლო წიაღისეულთა ახლად აღმოჩენილი საბადოების სამრეწველო ათვისების მიზანშეწონილობის შესახებ და როგორ იქნას მიღებული ამ მოხსენებათა გამო გადაწყვეტილებანი წინასწარი დაზვერვიდან დეტალურ დაზვერვაზე გადასვლის შესახებ.

სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სასარგებლო წიაღისეულთა მარაგის სახელმწიფო კომისიასთან ერთად, დაადგინოს იმ სასარგებლო წიაღისეულთა მარაგის განხილვისა და დამტკიცების წესი, რომელთა გამორკვევა წინასწარი დაზვერვის შედეგების მიხედვით წარმოებს.

5. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სასარგებლო წიაღისეულთა მარაგის სახელმწიფო კომისიას.

ა) სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად განიხილოს საკითხი სასარგებლო წიაღისეულთა მარაგის მოქმედ კლასიფიკაციაში საჭირო ცვლილებების შეტანის შესახებ და თავისი წინადადებანი 1960 წლის 1 იანვრამდე წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს;

ბ) სასარგებლო წიაღისეულთა მარაგის დაზუსტებული კლასიფიკაციის დამტკიცებიდან ექვსი თვის ვადაში გადაამუშაოს ინსტრუქცია მარაგის კლასიფიკაციის შეფარდების შესახებ, ამასთან იქონიოს მხედველობაში დასამტკიცებელი მარაგის გეოლოგიური დასაბუთებულობის ამაღლება, აგრეთვე დაზვერვითი სამუშაოების დეტალობისადმი ზედმეტი მოთხოვნების აღმოფხვრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაწესდეს, რომ წინასწარი დაზვერვის მონაცემების მიხედვით შემუშავდება მინერალური ნედლეულის დროებითი კონდიციები დეტალური დაზვერვის დროს მარაგის ოპერატიული გამოანგარიშებისათვის.

დროებითს კონდიციებს შეიმუშავებენ გეოლოგიურ-დაზვერვითი ორგანიზაციები და სამთო მომპოვებელი საწარმოები და დაამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიები სახალხო მეურნეობის საბჭოებთან შეთანხმებით. განსაკუთრებით დიდი და სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი საბადოების მიხედვით დროებითს კონდიციებს დაამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების დადგენით.

7. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად, შეიმუშაონ და სამი თვის ვადაში დაამტკიცონ გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების გეგმების მაჩვენებელთა სია მთლიანად სსრ კავშირისათვის, მოკავშირე რესპუბლიკებისა და საწარმოო გეოლოგიური ორგანიზაციებისათვის. ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ გეგმის ძირითადი მაჩვენებლები უნდა იყოს სასარგებლო წიაღისეულთა მარაგის ზრდა ან სხვა გეოლოგიური დავალებანი.

გეოლოგიურ-დაზვერვითი ორგანიზაციების საქმიანობის შეფასება მოხდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად შესრულდა გეგმებით გათვალისწინებული გეოლოგიური დავალებანი, ფულადი და მატერიალური სახსრების მინიმალური დანახარჯების გათვალისწინებით.

ბურღვის და სამთო სამუშაოთა ფიზიკური მოცულობანი (გარდა ნავთობისა და გაზისათვის ღრმა სადაზვერვო ბურღვისა) განხილულ იქნას როგორც ამ სამუშაოთა წარმოების პროექტების საანგარიშო მაჩვენებლები, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს კონკრეტული გეოლოგიური ვითარებისა და მიღებული შედეგების მიხედვით.

გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების ეფექტიანობის ამაღლების და მათი თვითღირებულების შემცირების მიზნით, გათვალისწინებულ იქნას გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების გეგმის მაჩვენებელთა შორის პარტიებისა, ექსპედიციებისა და ტრესტებისათვის, რომლებიც დეტალურ დაზვერვითს სამუშაოებს აწარმოებენ, სასარგებლო წიაღისეულთა მარაგის ერთეულის დაზვერვის ღირებულება რაიონებისა და კონკრეტული საბადოების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამრეწველო კატეგორიების მიხედვით სასარგებლო წიაღისეულთა მარაგის ზრდა წლიური დავალებებით დაიგეგმოს მხოლოდ ... საბადოებისათვის, რომლებიც წინასწარი დაზვერვის შემდეგ ცნობილი არიან სამრეწველო გამოყენებისათვის გამოსადეგად და გადაცემულია დეტალური დაზვერვისათვის. მათგან ყველაზე დიდი საბადოები შეტანილ იქნას სახალხო-სამეურნეო გეგმის გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების სატიტულო სიებში.

8. დაევალოს სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს:

ა) არა უგვიანეს 1960 წლის 1 იანვრისა შეიტანოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები ინსტრუქციაში გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შესახებ. ამასთან გაითვალისწინოს ამ ინსტრუქციით გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების სხვადასხვა სახეობათა დაფინანსების წესი და წყაროები, მათ შორის იმ სამუშაოებისა, რომლებიც საექსპლუატაციოდ გადაცემულ საბადოებში სრულდება (სამაღაროე, საშახტო და სარეწაო გეოლოგიური სამსახური);

ბ) შეიმუშაოს მეთოდიკა სასარგებლო წიაღისეულთა მარაგის ერთეულის დეტალური დაზვერვის ღირებულების გამორკვევისა მინერალური ნედლეულის ცალკეულ სახეობათა და სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონების მიხედვით და 1960 წლის 1 აპრილამდე დაამტკიცოს იგი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

9. სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტრომ გააძლიეროს კონტროლი საძიებო და გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების ხარისხისა და ეფექტიანობისადმი, ამ სამუშაოთა წარმოების რაციონალური მეთოდიკის და მოწინავე საშუალებათა გამოყენებისადმი, მოწყობილობის გამოყენებისადმი, ისეთი მაღალმწარმოებლური მექანიზმებისა და პროგრესული ნორმების დანერგვისადმი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოთა ღირებულების შემცირებას, აგრეთვე იმ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ხარისხისადმი, რომლებსაც ამტკიცებენ გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის მთავარი სამმართველოები (სამმართველოები), სახალხო მეურნეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოები, ტერიტორიული გეოლოგიური სამმართველოები და გეოლოგიურ-დაზვერვითი ტრესტები;

10. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წარუდგინონ გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს.

დაეკისროს სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების შეჯამებითი გეგმის პროექტის შედგენა მთლიანად სსრ კავშირისათვის იმ ანგარიშით, რომ შემდგომ წარედგინოს იგი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

11. დაევალოს სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს დაამტკიცოს გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების პროექტები ყველაზე დიდი და სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი ობიექტების მიხედვით, დამოუკიდებლად იმ ორგანიზაციების დაქვემდებარებისა, რომლებიც ამ სამუშაოებს ასრულებენ, იმ სიის შესაბამისად, რომელსაც აწესებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით.

12. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროსთან ერთად, ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი რესპუბლიკური გეოლოგიური ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მოწყობის შესახებ, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა მთელი იმ გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების სრული უზრუნველყოფა მატერიალური რესურსებით, რომლებიც რესპუბლიკებში ტარდება დამტკიცებული წლიური გეგმების შესაბამისად.

13. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მიიღონ ზომები რესპუბლიკური გეოლოგიური ორგანიზაციების შემდგომ განმტკიცებისათვის, ამასთან თავი მოუყარონ ამ ორგანიზაციებში მთელ გეოლოგიურ-დაზვერვითს სამუშაოებს, რომლებსაც ამჟამად ახორციელებენ სახალხო მეურნეობის საბჭოები, მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროები და უწყებები, გარდა იმ გეოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიურ-დაზვერვითი სამუშაოებისა, რომლებიც დაკავშირებულია სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების ექსპლუატაციასთან.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროსთან ერთად, ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი მოკავშირე რესპუბლიკებისათვის იმ გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების წარმოების გადაცემის შესახებ, რომლებსაც ცენტრალიზებულად ასრულებს სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამინისტრო.

14. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სახალხო მეურნეობის საბჭოებს გააძლიერონ სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოები (საექსპლუატაციო დაზვერვა, სამადნო, საშახტო და სარეწაო გეოლოგიური სამსახური).

იმ გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების ძირითად ამოცანებად, რომლებიც დაკავშირებულია სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების ექსპლუატაციასთან და რომლებსაც ასრულებენ სახალხო მეურნეობის საბჭოების სამთომომპოვებელი და სხვა საწარმოები, ჩაითვალოს დასამუშავებელი საბადოების გეოლოგიური აღნაგობის ყოველმხრივ შესწავლა დამუშავების სისტემების რაციონალურად ამორჩევის, მოსამზადებელი და საექსპლუატაციო გამონამუშევართა მიმართულების, აგრეთვე წიაღიდან სასარგებლო წიაღისეულთა უფრო სრულად ამოღების და მათი მოპოვების ღირებულების შემცირების მიზნით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განიხილონ სამაღაროე, საშახტო და სარეწაო გეოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული ფორმებისა და სტრუქტურის საკითხი, ამასთან იქონიონ მხედველობაში მაღაროების გეოლოგთა როლის გაძლიერება და პასუხისმგებლობის გადიდება მინერალური ნედლეულის რაციონალურად და კომპლექსურად გამოყენებისათვის, აგრეთვე სამაღაროე, საშახტო და სარეწაო გეოლოგიის განყოფილებების მოწყობა გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის რესპუბლიკურ ორგანოებსა და ტერიტორიულ გეოლოგიურ სამმართველოებში, სახალხო მეურნეობის საბჭოებსა და **სამთამადნო საწარმოებში.**

დაევალოს სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს გააძლიეროს მეთოდური ხელმძღვანელობა გეოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიურ-დაზვერვითი სამუშაოებისადმი, რომლებსაც ასრულებენ სახალხო მეურნეობის საბჭოების სამთომომპოვებელი და სხვა საწარმოები და ორგანიზაციები, ამასთან აღმოუჩინოს მათ დახმარება.

სამაღაროე, საშახტო და სარეწაო გეოლოგიური სამსახურისადმი მეთოდური ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად შეიქმნას სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში სამაღაროე, საშახტო და სარეწაო გეოლოგიის განყოფილება სამინისტროს საშტატო რაოდენობის გაუდიდებლად.

დაევალოს სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, დაამტკიცოს დებულება სახალხო მეურნეობის საბჭოების სამთომომპოვებელ საწარმოებში სამაღაროე, საშახტო და სარეწაო გეოლოგიის სამსახურის შესახებ, აგრეთვე ინსტრუქცია სამთო-საექსპლუატაციო სამუშაოთა გეოლოგიური მომსახურების შესახებ.

15. დაევალოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად, სამი თვის ვადაში გადასინჯოს გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების სტატისტიკური ანგარიშების მოქმედი ფორმები ანგარიშების შემდგომი გამარტივების მხრივ, ამ დადგენილებით გათვალისწინებულ სამუშაოთა დაგეგმვის სისტემაში ცვლილებების შეტანის გათვალისწინებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ხრუშჩოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. სტეპანოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

107 ეკონომიურ ბინებიანი საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების საპროექტო დავალებათა დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ შვიდბალიანი სეისმურობის რაიონებში მშენებლობისათვის 1—319-ს მოქმედი სერიის დამატებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი და საპროექტო ინსტიტუტის—საქსახპროექტის მიერ შემუშავებული საპროექტო დავალებანი ეკონომიურ ბინებიანი შემდეგი საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტებისათვის:

1. 5-სართულიანი 60-ბინიანი
2. 5-სართულიანი 30-ბინიანი
3. 5-სართულიანი 24-ბინიანი
   მალაზიებით პირველ სართულში

2. დამტკიცდეს საპროექტო დავალებათა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 11 დეკემბერი, № 939.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 11 დეკემბრის № 939
დადგენილების დანართი

ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები

ეკონომიურ ბინებიანი საცხოვრებელი სახლების (კეთილმოწყობისა და გარეგანი ქსელის ჩაუთვლელად) ტიპობრივი პროექტების საპროექტო დავალებებისა

სახლების ტიპი	საერთო მოცულობა (კუბ. მ)	საერთო საცხოვრებელი ფართობი (კვ. მეტრი)	ბინის საშუალო საცხოვრებელი ფართობი (კვ. მეტ.)	ერთი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულება (მან.)	ერთი ბინის ღირებულება (მან.)
5-სართულიანი 60-ბინიანი	10573	1920	32,0	1189	38048
5-სართულიანი 30-ბინიანი	5336	959	32,0	1205	38560
5-სართულიანი 24-ბინიანი მალაზიებით	5336	766	32,0	1341	42870

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

108 საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებისათვის მისაყიდი რძისა და ხორცის პროდუქტების ფასების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 26 ნოემბრის № 1306 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებს მიყიდონ თავიანთ მუშა-მოსამსახურეებს რძისა და ხორცის პროდუქტები გეგმური თვითღირებულებით, მაგრამ არა უმეტეს სახელმწიფო საცალო ფასებისა.

რძისა და ხორცის პროდუქტების მიყიდვა მოხდეს 1959 წელს იმ პროდუქციის ხარჯზე, რომელიც დამატებით იქნება მიღებული საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებისაგან პირუტყვის შესყიდვასთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგში მუშა-მოსამსახურეებისათვის მისაყიდი პროდუქციის რაოდენობა გათვალისწინებულ იქნას საბჭოთა მეურნეობების წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმებით სახელმწიფოსათვის ამ პროდუქტების ჩაბარების გეგმის გადამეტებით.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მიაღწიონ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებას და თვითღირებულების შემცირებას მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის მნიშვნელოვანი გადიდების და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის საფუძველზე, ამასთან შექმნან საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები საბჭოთა მეურნეობების წარმოების ხორცისა და რძის პროდუქტების შესყიდვისა.

ამ მიზნით გაითვალისწინონ საჭირო ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობების 1960 წლისა და შემდგომი წლების საწარმოო-საფინანსო გეგმებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 11 დეკემბერი, № 947

ეროვნული ბიბლიოთეკა

109 სახელმწიფო სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის დარგში მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სახელმწიფო სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის დარგში მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით და შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 16 ოქტომბრის № 1185 დადგენილებისა „სახელმწიფო სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის დარგში მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) უზრუნველყონ მუშაობის შემდგომი გაშლა უმნიშვნელოვანესი სახის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო სტანდარტიზაციის დარგში იმ მიზნით, რომ შეიქმნას პირობები ამ პროდუქციის წარმოების გადაყვანისა უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო სტანდარტებით წარმოებაზე.

გაითვალისწინონ სახელმწიფო სტანდარტებით და რესპუბლიკური ტექნიკური პირობებით მანქანების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების მთელი რიგი ტიპზომები, აგრეთვე არა მარტო წარმოებაში ათვისებული, არამედ ასათვისებელი ნაკეთობებისა და მასალების ხარისხობრივი მაჩვენებლები იმ ანგარიშით, რომ ისინი შეესაბამებოდნენ ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის ტექნიკის საუკეთესო მიღწევებს;

ბ) განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ერთტიპური დეტალების, კვანძების და ნაკეთობათა უნიფიკაციისა და ნორმალიზაციის ძირეულად გაუმჯობესებას, აღმოფხვრან მოწყობილობის, მანქანათა დეტალებისა და კვანძების, ხელსაწყოების, ინსტრუმენტების და სხვა ტექნოლოგიური შეჭურვილობის გაუმართლებელი სხვადასხვატიპურობა, აგრეთვე ზომათა უსაფუძვლო სიმრავლე და ნაკეთობათა მრავალხარისხიანობა;

გ) გააძლიერონ იმისადმი კონტროლი, რომ საწარმოებმა დაიცვან დამზადებული პროდუქციისათვის სახელმწიფო სტანდარტებით, ნორმალებითა და ტექნიკური პირობებით დაწესებული მაჩვენებლები და მოთხოვნები, შეიმუშაონ და განახორციელონ 1959 წელს და 1960 წლის პირველ ნახევარში ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სათანადო დისციპლინის დამყარებას ამ საქმეში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ იმას, რომ გაძლიერდეს საწარმოთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა ისეთი პროდუქციის გამოშვებისათვის, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებს, ნორმალებს და ტექნიკურ პირობებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) უზრუნველყონ სახელმწიფო სტანდარტების, რესპუბლიკური ტექნიკური პირობებისა და ნორმალების მაჩვენებლების სრულყოფილი შემოწმება და იმ მოძველებული მაჩვენებლების დროზე გადასინჯვა, რომლებიც აფერხებენ ტექნიკის განვითარებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას;

ე) უზრუნველყონ სახელმწიფო სტანდარტების, რესპუბლიკური ტექნიკური პირობებისა და ნორმალების პროექტების დროულად და ხარისხიანად დამუშავება ისე, რომ აუცილებლად მოხდეს ამ პროექტების ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთება, აგრეთვე სტანდარტების, რესპუბლიკური ტექნიკური პირობებისა და ნორმალების დამატებათა და ცვლილებათა დროულად დამუშავება, ჩაებან ამ მუშაობაში საწარმოები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები დ საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, უველაზე კვალიფიციური კონსტრუქტორები, ტექნოლოგები, მეცნიერი მუშაკები და წარმოების ნოვატორები;

ვ) შეიტანონ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების გეგმებში სახელმწიფო სტანდარტების, რესპუბლიკური ტექნიკური პირობების და ნორმალების დამუშავებასთან დაკავშირებული თემები.

უზრუნველყონ იმ საცდელი ნიმუშების და საცდელი სერიებისა და ნაკეთობების დროულად, ხარისხიანად დამზადება და გამოცდა, რომლებისთვისაც განზრახულია სტანდარტების, რესპუბლიკური ტექნიკური პირობების ან ნორმალების დამტკიცება;

ზ) დაეკისროთ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს პერსონალური პასუხისმგებლობა მათ მიერ შემუშავებული სტანდარტების, რესპუბლიკური ტექნიკური პირობების და ნორმალების ხარისხისა და ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთებულობისათვის, იმისათვის, რომ მათი მაჩვენებლები შეესაბამებოდნენ ტექნიკის თანამედროვე დონეს, სახელმწიფო სტანდარტების, რესპუბლიკური ტექნიკური პირობებისა და ნორმალების დროულად გადასინჯვისათვის იმ მიზნით, რომ შეიცვალოს მოძველებული მაჩვენებლები და შეუფარდდეს ისინი სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნებს;

თ) დაამტკიცონ იმ ღონისძიებათა გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების მომზადებას პროდუქციის გამოსაშვებად სტანდარტების, რესპუბლიკური ტექნიკური პირობების და ნორმალების შესაბამისად, დროზე შეიმუშაონ ახალი სახის პროდუქციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამზადების, ტექნიკური შეჭურვილობის დამზადების, ტექნოლოგიური პროცესებისა და კონსტრუქციების დამუშავების საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის კომპლექსი იმ ანგარიშით, რომ სახელმწიფო სტანდარტები, რესპუბლიკური ტექნიკური პირობები და ნორმალები შემოღებულ იქნას სამოქმედოდ დაწესებულ ვადებში;

ი) უზრუნველყონ იმ ღონისძიებათა დაფინანსება სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო სამუშაოებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო სტანდარტების, რესპუბლიკური ტექნიკური პირობების, ნორმალების, აგრეთვე ნაკეთობათა დამზადების ტექნიკური პირობებისა და სამუშაო დოკუმენტაციის პროექტების შემუშავებას სტანდარტების, რესპუბლიკური ტექნიკური პირობებისა და ნორმალების შესაბამისად;

კ) სამი თვის ვადაში დააკომპლექტონ კვალიფიციური მუშაკებით სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის ორგანოები საწარმოებში, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებსა და საპროექტო საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში, აგრეთვე შექმნან ეს ორგანოები იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სადაც ისინი ჯერ არსებობენ.

წარმართონ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ნორმალიზაციის ხაზით მუშაობა მანქანების დეტალებისა და კვანძების, მოწყობილობისა და ტექნოლოგიური შეჭურვილობის მაქსიმალური უნიფიკაციისაკენ, მასალების გამოსაყენებელი მარკებისა და სორტამენტის შემცირებისაკენ.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს გაითვალისწინონ წარმოების გეგმებით ახალი ტიპის, სახისა და მარკის პროდუქციის ათვისება, რომელზედაც დაწესებულია სახელმწიფო სტანდარტები, რესპუბლიკური ტექნიკური პირობები და ნორმალები, ამ სტანდარტებით, რესპუბლიკური პირობებითა და ნორმალებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. პროდუქციის შესაბამისი ჯგუფების სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის სამუშაოთა კოორდინაციის და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ტექნიკური ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით, დაეკისროთ დანართში ჩამოთვლილ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებს, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებსა და ლაბორატორიებს რესპუბლიკური ტექნიკური პირობების შემმუშავებელი საბაზო ორგანიზაციის მოვალეობანი.

4. დაეკისროთ სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის საბაზო ორგანიზაციებს რესპუბლიკური ტექნიკური პირობების პროექტების შემუშავება, რესპუბლიკური ტექნიკური პირობების შემუშავებასთან და დანერგვასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული სამუშაოების შესრულება, წინადადებათა მომზადება იმ რესპუბლიკური ტექნიკური პირობების მაჩვენებლების დროულად გადასინჯვის შესახებ, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ.

უფლება მიენიჭოთ სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის საბაზო ორგანიზაციებს დადგენილი წესით შეიტანონ დასამტკიცებლად რესპუბლიკური ტექნიკური პირობების პროექტები, კონტროლი გაუწიონ რესპუბლიკური ტექნიკური პირობების დანერგვასა და დაცვას საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე დაავალონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით იმ სამუშაოების შესრულება, რომლებიც დაკავშირებულია რესპუბლიკური ტექნიკური პირობების შემუშავებასთან.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტანდარტების, ზომათა და საზომ ხელსაწყოთა კომიტეტის რწმუნებულმა გააძლიეროს კონტროლი სახელმწიფო სტანდარტების და რესპუბლიკური ტექნიკური პირობების დანერგვისა და დაცვისადმი, აამაღლოს მისი ეფექტიანობა, მიაღწიოს სახალხო მეურნეობის საბჭოსა და საწარმოთა ხელმძღვანელების მეშვეობით აღმოჩენილ ნაკლოვანებათა უსწრაფესად აღმოფხვრას და სტანდარტების და რესპუბლიკური ტექნიკური პირობების დროულად და სრულად დანერგვის უზრუნველყოფას.

საწარმოებში გამოკვლევის ჩატარების დროს შეამოწმოს იმ ღონისძიებათა გეგმების შესრულება, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების მომზადებას პროდუქციის გამოსაშვებად სტანდარტებისა და რესპუბლიკური ტექნიკური პირობების შესაბამისად, შეამოწმონ ახალი სახის პროდუქციის დამზადების, ტექნოლოგიური შეჭურვილობის დამზადების, იმ ტექნოლოგიური პროცესებისა და კონსტრუქციების დამუშავების საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის მთელი კომპლექსის დროულად შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო სტანდარტების დანერგვას დაწესებულ ვადებში.

მიიღოს საჭირო ზომები და ჩაბას ამ მუშაობაში სახალხო მეურნეობის საბჭოს და სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის საბაზო ორგანიზაციების კვალიფიციური მუშაკები.

6. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მოაწყოს ნორმატივების, შრომის ნორმირებისა და ტექნიკური ინფორმაციის ცენტრალური ბიურო (სამეურნეო ანგარიშზე), რომლის ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატი განისაზღვროს 6 ერთეულით, სახალხო მეურნეობის საბჭოს ცენტრალური აპარატისა და მისი დარგობრივი სამმართველოებისათვის დამტკიცებული რაოდენობის და ხელფასის ფონდის ხარჯზე, ხოლო დანარჩენი პერსონალისა — სახალხო მეურნეობის საბჭოს შრომის გეგმის ფარგლებში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ დაამტკიცოს ნორმატივების, შრომის ნორმირებისა და ტექნიკური ინფორმაციის ცენტრალური ბიუროს სტრუქტურა და შტატები, აგრეთვე დებულება მისი მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 11 დეკემბერი, № 949

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 11 დეკემბრის № 949
დადგენილების დანართი

ს ი ა

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და ლაბორატორიებისა, რომლებსაც ეკისრებათ სტანდარტიზაციის საბაზო ორგანიზაციების მოვალეობანი

	პროდუქციის ჯგუფები
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საკონსერვო მრეწველობის მაღაროების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	საკონსერვო მრეწველობის პროდუქცია
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, ძვირფასეულობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	ხილი, ყურძენი და მეღვინეობის მრეწველობის პროდუქცია
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურები, კარტოფილი
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს კვების მრეწველობის ცენტრალური ლაბორატორია	საკონდიტრო ნაკეთობანი, უალკოჰოლო სასმელები, ლუდი, ხილ-კენკრისა და ხილის წვენი, საპონი და ნაყინი
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო მრეწველობის ცენტრალური ლაბორატორია, ტყავეფეხსაცმლის ლაბორატორია და მოდელების სახლი	საფეიქრო მრეწველობის, ტყავეფეხსაცმლის და სამკერვალო მრეწველობის ნაკეთობანი.
საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო	ლითონის ჭურჭელი, ჭურჭელ-სამეურნეო საკონელი, სამზარეულოს მოწყობილობა, საოჯახო საგნები, ლითონგალანტერია, ნაკეთობანი ბავშვებისათვის, ლითონის ფურნიტურა და კავეულის ნაკეთობანი, მუსიკალური ინსტრუმენტები
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო	ხის ავეჯი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

110 გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ორგანოების შესახებ

შესაბამისად დებულებისა ალმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 435 დადგენილებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილებების (ბიუროების) ტიპობრივი შტატები, № 1 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სამინისტროებში, უწყებებში, სახალხო მეურნეობის საბჭოში და მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში შეიქმნას გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილებები (ბიუროები).

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილებების (ბიუროების) პერსონალის რაოდენობა დაწესდეს იმ შტატების (რაოდენობის) ფარგლებში, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სამინისტროს, უწყების ცენტრალური აპარატისათვის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს აპარატისათვის, საწარმოსათვის (ორგანიზაციისათვის).

2. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილებების (ბიუროების) მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები დაწესდეს იმ განაკვეთების დონეზე, რომლებიც მოქმედებენ სახალხო მეურნეობის საბჭოში, სამინისტროში, უწყებაში, საწარმოში (ორგანიზაციაში) შესაბამისი თანამდებობებისათვის.

3. დამტკიცდეს დებულება გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა განხილვის, შემუშავებისა და წარმოებაში დანერგვის წესის შესახებ, აგრეთვე დებულებანი გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ორგანოების შესახებ, №№ 2, 3, 4, 5 და 6 დანართების თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ძიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 15 დეკემბერი, № 956

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 15 დეკემბრის № 1961 ბრძანებულებ
დადგენილების დანართი № 1

ტიპობრივი შტატები

სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებების და მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების და ორგანიზაციების გამომგონებლობის და რაციონალიზაციის განყოფილებებისა (ბიუროსი)

I. სახალხო მეურნეობის საბჭოს, მისი დარგობრივი სამმართველოების, სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალურ აპარატში

სისტემაში მომუშავეთა რაოდენობა	საშტატო ერთეულების რაოდენობა	მათ შორის	
		უფროსი ინჟინერი	ტექნიკოსი
7500-მდე	1	1	—
7500-ზე ზევით	2	1	1

II. საწარმოებსა და ორგანიზაციებში

მომუშავეთა რაოდენობა	საშტატო ერთეულების რაოდენობა	მათ შორის		
		მთავ. ინჟინერის მოადგილე	ინჟინერი	ტექნიკოსი
300-დან 1000-მდე	1	1	—	—
1000-დან- 5000-მდე	2	1	1	—
5000-დან 10000-მდე	3	1	1	1

შენიშვნა: საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სადაც მომუშავეთა რაოდენობა 10.000 კაცზე მეტია, შემოღებული იქნება დამატებით ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის თანამდებობა შემდეგი ანგარიშით: ერთი მუშაკი ყოველ 3.000 მომუშავეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. საამქროებში

მომუშავეთა რაოდენობა	საშტატო ერთეულების რაოდენობა	მათ შორის	
		ინჟინერი	ტექნიკოსი
200-დან 500-მდე	1	—	1
500-დან 1500-მდე	1	1	—
1500-ზე ზევით	2	1	1

შენიშვნა: როდესაც სახალხო შეურნეობის საბჭოსა და მის დარგობრივ სამმართველოებში, სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის მუშაკთა რაოდენობა სამ კაცზე მეტია, მოეწყობა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილება (ბიურო).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 15 დეკემბრის № 936
დადგენილების დანართი № 2

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

იმ წესის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნას განხილული რესპუბლიკის სამინისტროსა და უწყებაში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო მეურნეობის საბჭოში რეკომენდაციები გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 435 დადგენილებისა აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დებულების დამტკიცების შესახებ და ინსტრუქციისა აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის გასამრჯელოს შესახებ, დადგენილია შემდეგი წესი გამოგონებათა გამოყენების შესახებ რეკომენდაციების განხილვისა.

1. გამოგონებებს, რომლებიც რეკომენდებულია დასანერგავად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტის მიერ ან რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ, სამინისტროს, უწყების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკური სამმართველო (განყოფილება) გაუგზავნის შესაბამის დარგობრივ სამმართველოებს (განყოფილებებს).

2. დარგობრივი სამმართველო (განყოფილება) გამოგონებათა აღწერილობის მიღების დღიდან ერთი თვის ვადაში მოვალეა გადაჭრას ცალკე თვითეული გამოგონების მიხედვით მისი გამოყენების საკითხი.

საკითხის დადებითად გადაჭრის დროს დარგობრივი სამმართველო გამოგონებებს შეიტანს ახალი ტექნიკის ათვისების, მოწყობილობის მოდერნიზაციისა და სხვათა მომავალი წლის შესაბამის გეგმებში (დავალებებში).

წელიწადში ერთხელ, ივნისში, დარგობრივი სამმართველო შეასწორებს გეგმას და შეიტანს მასში გამოგონებებს, რომლებიც შერჩეულია დასანერგავად მიმდინარე წლის გეგმების (დავალებების) დამტკიცების შემდეგ შემოსული რეკომენდაციებიდან.

3. დარგობრივი სამმართველო (განყოფილება) მას შემდეგ, რაც შეიტანს გამოგონებას გეგმებში (დავალებებში) მე-2 მუხლის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნედვით ტექნიკურ სამმართველოს (განყოფილებას) წარუდგენს ამ გეგმების (დავალებების) ამონაწერებს.

ამონაწერში ნაჩვენები უნდა იქნან საწარმოები (ორგანიზაციები), რომლებსაც ეკისრებათ გამოგონებათა დანერგვა (ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება, საცდელი ნიმუშების მომზადება და გამოცდა, წარმოების ორგანიზაცია), გამოგონების დასახელება, ავტორის (ავტორების) გვარი, საავტორო მოწმობის ნომერი, გამოგონების დანერგვასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ცალკეული ეტაპების დაწყებისა და დამთავრების ვადები.

სამინისტროს, უწყების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით გეგმების (დავალებების) ნაკრები ამონაწერის ასლს ტექნიკური სამმართველო (განყოფილება) გაუგზავნის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტს.

4. გამოგონების დანერგვის შეჩერება ან შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სამინისტროს, უწყების, აღმასკომის, სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელმძღვანელობის ნებართვით. შეჩერებისა და შეწყვეტის მოტივები ეცნობება კომიტეტს და ავტორს.

5. ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავების დამთავრებას, საცდელი ნიმუშების დამზადებასა და გამოცდას და გამოგონების სამრეწველო გამოყენების დაწყებას ტექნიკური სამმართველო (განყოფილება) აცნობებს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტს აღნიშნულ სამუშაოთა თვითეული ეტაპის დამთავრების (სამრეწველო გამოყენების დაწყების) მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

საწარმო (ორგანიზაცია) მოვალეა ყველა შემთხვევაში აცნობოს გამომგონებელს, რომ დაწყებულია გამოგონების დანერგვა.

6. იმ შემთხვევაში, თუ უარყოფილ იქნა რეკომენდაცია გამოგონების დანერგვის შესახებ, დარგობრივმა სამმართველომ (განყოფილებამ) უნდა წარუდგინოს ტექნიკურ სამმართველოს (განყოფილებას) არგუმენტირებული მოსაზრებანი.

ტექნიკურ და დარგობრივ სამმართველებს (განყოფილებებს) შორის გამოგონების დანერგვის მიზანშეწონილობის საკითხზე წამოჭრილი უთანხმოებანი კოლექტიურად უნდა იქნას განხილული ტექნიკურ-ეკონომიურ, ტექნიკურ და სხვა შესაბამის საბჭოებზე (სექციებზე).

7. უკეთუ დამტკიცებულ იქნა საბჭოს (სექციის) წინადადებანი გამოგონების დანერგვის მიზანშეწონილობის შესახებ, დანერგვის სამუშაოები შეიტანება გეგმაში (დავალებაში) მე-2 მუხლის მიხედ-

ვით, საწარმოს (ორგანიზაციის) საწარმოო გეგმაში, ხოლო [illegible] ფითი გადაწყვეტილების დამტკიცების შემთხვევაში უპირველეს [illegible] ტივები ეცნობება გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომი-ტეტს და გამოგონების ავტორს.

8. ტექნიკური სამმართველო (განყოფილება) სისტემატურად გა-ნიხილავს დარგობრივი სამმართველოების (განყოფილებების) ანგა-რიშებს გამოგონებათა დანერგვის მიმდინარეობის შესახებ და მიი-ღებს ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ გამოგონებათა დანერ-გვისათვის დასახული სამუშაოების შესრულებას.

9. კოლეგიების, აღმასკომების, სახალხო მეურნეობის საბჭოს სხდომებზე ტექნიკური სამმართველო გააკეთებს მოხსენებას კვარ-ტალის, ნახევარი წლის განმავლობაში და წლის შედეგების მიხედვით გამოგონებათა დანერგვის მდგომარეობის შესახებ.

10. ამ დებულებით გათვალისწინებული წესი ვრცელდება იმ რაციონალიზატორულ წინადადებებზედაც, რომლებიც უშუალოდ შემოდის სამინისტროში, უწყებაში, აღმასკომში, სახალხო მეურნეო-ბის საბჭოში და რომელთა განხილვა ტექნიკურმა ან დარგობრივმა სამმართველოებმა (განყოფილებებმა) მიზანშეწონილად ცნეს ჩაატა-რონ თავისთან.

რაციონალიზატორული წინადადებანი, რომლებიც შემოდის საწარმოებში (ორგანიზაციებში), განხილული და გამოყენებული იქნე-ბა იმ წესით, რაც გათვალისწინებულია განაყოფებში VI და VIII სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 435 დადგე-ნილებით დამტკიცებული დებულებისა აღმოჩენების, გამოგონებე-ბისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ.

11. დარგობრივი და ტექნიკური სამმართველოები (განყოფილე-ბები) უზრუნველყოფენ ისეთი წესის დაცვას, რომლის დროსაც გა-მოგონებებს ამა თუ იმ სახით (ნატურალური ნიმუშები, სტენდები და სხვ.) ექსპონირებულს გამოფენებზე, ბაზრობებზე და სხვ. (რო-გორც საერთაშორისო, ისე ჩვენი ქვეყნის შიგნით), აუცილებლად ჰქონდეთ წარწერა „საბჭოთა გამოგონება", ავტორის (ავტორების) გვარი და საავტორო მოწმობის ნომერი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 15 დეკემბრის № 956
დადგენილების დანართი №

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამინისტროებში, უწყებებში, სახალხო მეურნეობის საბჭოში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილებების (ბიუროების) შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სს რესპუბლიკაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების საქმისადმი ხელმძღვანელობა სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის დარგში და გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვისადმი კონტროლი ეკისრებათ შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, კოოპერაციულ ცენტრებს.

შენიშვნა: მუშაობა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებისათვის სოფლის მეურნეობაში ხორციელდება იმ ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან არსებულ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტთან შეთანხმებით.

2. სამინისტროები, უწყებები სახალხო მეურნეობის საბჭო, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მოვალენი არიან:

ა) შეიმუშაონ პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის პერსპექტიული და მიმდინარე თემატური გეგმები, ამასთან წარმართონ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა ტექნიკური პროგრესის ამოცანების წარმატებით გადაჭრისაკენ;

ბ) ყოველნაირად გააფართოონ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიგები, განმარტონ გამომგონებლობისა და რაციონა-

ლიზაციის მნიშვნელობა, მოიწვიონ დადგენილი წესით გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა თათბირები და კონფერენციები;

ბ) გამოაქვეყნონ ცნობები დანერგილ წინადადებათა ეკონომიკურ ეფექტიანობის აღნიშვნით, გამოსცენ გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საინფორმაციო მასალები, გასწიონ პრესის, რადიოს, კინოს, ტელეხედვისა და სხვათა მეშვეობით საუკეთესო გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მიღწევებისა და მათი მუშაობის მეთოდების პროპაგანდა;

დ) მოაწყონ მუშაობა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ე) დახმარება გაუწიონ გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს მათი წინადადებების შემუშავებასა და გაფორმებაში, უზრუნველყონ წინადადებათა დროულად განხილვა, დანერგვა და მათი აღრიცხვა.

3. სამინისტროები, უწყებები, სახალხო მეურნეობის საბჭო, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მოვალენი არიან საჭირო შემთხვევებში შექმნან გამომგონებლობასთან და რაციონალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩასატარებლად ექსპერიმენტული ბაზები, ამასთან უზრუნველყონ ისინი შესაბამისი ასიგნობებით, მასალებითა და ინსტრუმენტებით.

4. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების საქმისადმი ხელმძღვანელობა, წინადადებათა სარგებლიანობაზე ექსპერტიზის მოხდენა, ყოველგვარი დახმარების გაწევა გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა წარმოებაში და მშენებლობაზე დანერგვის უზრუნველყოფა ხორციელდება პროფკავშირული ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით.

5. აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად სამინისტროებში, უწყებებში, სახალხო მეურნეობის საბჭოში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, კოოპერაციულ ცენტრებში შეიქმნება გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილებები ან ბიუროები.

სამინისტროებში, უწყებებში, სახალხო მეურნეობის საბჭოში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა რაოდენობის, საწარმოებსა და ორგანიზაციებში დასაქმებულ მშრომელთა რიცხვის, მუშაობის სირთულისა და მოცულობის მიხედვით, განყოფილებები (ბიუროები) წარმოადგენენ აღნიშნული დაწესებულებების ან და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუკიდებელ ქვეგანაყოფებს ან შედიან შემადგენელ სტრუქტურულ ნაწილად ტექნიკურ სამმართველოებში ან საწარმოო-ტექნიკურ განყოფილებებში.

რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის განყოფილებების (ბიუროების) პერსონალის რაოდენობა დაწესდება იმ შტატის (რიცხვის) ფარგლებში, რომელიც დამტკიცებულია უშუალოდ სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების აპარატისათვის.

6. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილება (ბიურო) თავის პრაქტიკულ მუშაობაში ხელმძღვანელობს არსებული კანონმდებლობით, სადირექტივო ორგანოების დადგენილებებითა და განკარგულებებით გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საკითხებზე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტის ინსტრუქციებითა და მითითებებით, სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ბრძანებებითა და განკარგულებებით და კონტროლს უწევს მათს შესრულებას ქვემდგომ სამეურნეო ქვეგანაყოფებში.

7. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილება (ბიურო) მთელ თავის მუშაობას ატარებს ქვემდგომი სამეურნეო ქვეგანაყოფების რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის მუშაკებთან მჭიდრო კონტაქტით და საზოგადოებრივი ორგანიზაციების (პროფკავშირების, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საბჭოების) ფართო მონაწილეობით.

II. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმისადმი ხელმძღვანელობის განყოფილების (ბიუროს) ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

ზოგადი დებულების საფუძველზე, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილება (ბიურო) ასრულებს შემდეგ ამოცანებს:

1. განყოფილება (ბიურო) სამინისტროს, უწყების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობას წარუდგენს ცნობებს მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში გამომგონებლობისა და რაციონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზაციის საქმის მდგომარეობის შესახებ, მიაწვდის ინფორმაციას წარმოებაში დანერგილ შესანიშნავ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შესახებ, შეადგენს დადგენილი ფორმით ანგარიშებს, სამუშაოთა გეგმებს, მოამზადებს და დააყენებს როგორც მთლიანად სამინისტროს, უწყების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ხაზით, ისე მათს ცალკეულ ქვეგანაყოფებში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. განყოფილება (ბიურო) თვალყურს ადევნებს შემოსული წინადადებების დროულად განხილვას, დარგობრივი სამმართველოებისა და განყოფილებების მუშაკებთან ერთად შეარჩევს დარგთშორისი მნიშვნელობის მქონე წინადადებებს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტის მიერ რეკომენდებულ გამოგონებებს შემუშავების გეგმაში შესატანად და წარმოებაში დასანერგავად;

სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ხელმძღვანელობას წარუდგენს განსახილველად და დასამტკიცებლად შემუშავებისა და დანერგვის გეგმებს;

კონტროლს გაუწევს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შემუშავებისა და დანერგვის დაწესებულ ვადებს, აგრეთვე დახმარებას აღმოუჩენს საწარმოებსა და ორგანიზაციებს საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავებაში, საცდელი ნიმუშების მომზადებასა და გამოცდაში.

3. განყოფილება (ბიურო) ქვემდგომი სამეურნეო ქვეგანაყოფების გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მოაწყობს ლექციებს, მოხსენებებს, კონსულტაციებს, ხანმოკლე სემინარებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისადმი ხელმძღვანელობის, საგამომგონებლო უფლებისა და სხვა საკითხებზე.

4. განყოფილება (ბიურო) უშუალოდ ან სამეურნეო ქვეგანაყოფების რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის მუშაკთა მეშვეობით დახმარებას გაუწევს რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა გაფორმების საქმეს, თვალყურს ადევნებს გასამრჯელოს გაცემისას ეკონომიური ეფექტის სწორად გამოანგარიშებას, არ დაუშვებს გასამრჯელოს დაგვიანებას და არასწორად გაცემას;

კონტროლს გაუწევს საავტორო გასამრჯელოს დროულად გამოანგარიშებას და გაცემას, უკეთუ წინადადებანი გამოყენებული იქნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა მოცემული სამინისტროს, უწყების, სახალხო მეურნეობის საბ-ჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის რამდენიმე სამმართველოში, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ წინადადება გამოყენებული იქნება სხვა სამინისტროებში, უწყებებში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებში, პასუხს გასცემს სხვა სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შეკითხვებზე იმის შესახებ, თუ რა მოცულობით იქნება გამოყენებული გამოგონებანი ან რაციონალური წინადადებანი სახალხო მეურნეობის საბჭოში, სამინისტროში, უწყებაში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში.

5. განყოფილება (ბიურო) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს გამომგონებლობასთან და რაციონალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე და მიიღებს მათ გამო საჭირო ზომებს ან უშუალოდ ანდა ქვემდგომი სამეურნეო ქვეგანაყოფების ხელმძღვანელთა მეშვეობით.

6. განყოფილება (ბიურო) იმ დარგობრივი სამმართველოების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროს განყოფილებების და საწარმოების მეშვეობით, რომლებიც შედიან სამინისტროს, უწყების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შემადგენლობაში, მოაწყობს განაცხადების გამოკვლევას სამრეწველო სარგებლიანობაზე, რომლებიც შეტანილია განზრახულ გამოგონებაზე და რომლებსაც გზავნის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტი, თვალყურს ადევნებს იმას, რომ დაცულ იქნას განზრახული გამოგონების სამრეწველო სარგებლიანობის შესახებ დასკვნების წარდგენის დაწესებული ვადები და მათი ხარისხი.

7. განყოფილება (ბიურო) შეადგენს და ხელმძღვანელობას წარუდგენს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ღონისძიებათა დაფინანსების გეგმებს;

თვალყურს ადევნებს სახსრების რაციონალურად გამოყენებას და სწორად ხარჯვას საკუთარი ხარჯთაღრიცხვებით, აგრეთვე კონტროლს გაუწევს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის გაღებული სახსრების სწორად ხარჯვას ქვემდგომ სამეურნეო ქვეგანაყოფებში.

8. განყოფილება (ბიურო) წარმომადგენლობს სამინისტროს, უწყების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობის სახელითა და დავალებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ორგანიზაციებში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საკითხებზე.

III. განყოფილების (ბიუროს) უფლებები გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმისადმი ხელმძღვანელობის დარგში

განყოფილებას (ბიუროს) უფლება აქვს:

1. მოთხოვოს ქვემდგომი ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებს და გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგის მუშაკებს წინადადებათა განხილვის ვადებთან დაკავშირებული განმარტებანი, წინადადების უარყოფის დასაბუთებული მოტივები; რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა შემუშავებისა და დანერგვის ვადებთან დაკავშირებული განმარტებანი; აძლიოს მითითებანი საავტორო გასამრჯელოს გამოანგარიშებისა და გაცემის მეთოდიკის საკითხზე, აგრეთვე წინადადებანი იმ პირთათვის პრემიების მიცემის შესახებ, რომლებიც ხელს უწყობდნენ გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შემუშავებას და დანერგვას; მოითხოვოს დაწესებული ფორმით ანგარიშები გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის მდგომარეობის შესახებ.

2. აძლიოს განმარტებანი ქვემდგომი ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებს და გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგის მათ მუშაკებს იმ ღონისძიებებზე დანახარჯების დაფინანსების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, მოითხოვოს საავტორო გასამრჯელოს გადაანგარიშება იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩნდება შეცდომა გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შემუშავება-დანერგვაში ხელშეწყობისათვის პრემიების განაწილების დროს.

3. გაანაწილოს დარგობრივი სამმართველოებისა და განყოფილებების მეშვეობით შეკვეთები საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავების, მაკეტების, საცდელი ნიმუშებისა და მოქმედი მოდელების დამზადებაზე, აგრეთვე გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოცდების ჩატარებაზე იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც სამინისტროს, უწყების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სისტემაში შედიან.

4. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმის შესასრულებლად მოიწვიოს შტატგარეშე კონსულტანტები, ლექტორები, მხატვრები, მხაზველები, ფოტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრაფები და სხვ. როგორც მოცემული სამინისტროს, უწყების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სისტემაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების, ისე გარეშე საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა რიცხვიდან იმ ანგარიშით, რომ აღნიშნულ მუშაკთა შრომა ანაზღაურებულ იქნას ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

5. დააყენოს სამინისტროს, უწყების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წინაშე საკითხები, რომ პასუხისგებაში იქნან მიცემული ის პირები, რომელთაც დანაშაული მიუძღვით გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა კანონის დარღვევაში, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შემუშავებისა და დანერგვის ვადების დარღვევაში, აგრეთვე ის პირები, რომლებმაც დაუშვეს საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი მათი განხილვის, შემუშავების და დანერგვის, გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის გასამრჯელოს მიცემის დროს.

6. მოიწვიოს სამინისტროს, უწყების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობის დავალებით ავტორები გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შემუშავებისა და გამოცდისათვის.

7. გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა განხილვასთან, შემუშავებასთან და დანერგვასთან დაკავშირებულ სადავო შემთხვევებში შექმნას კომისიები მეცნიერებისა, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისაგან.

8. გამოსცეს და დაამტკიცოს ქვემდგომ სამეურნეო ქვეგანაყოფებში რაციონალურ წინადადებათა მიღების, მსვლელობისა და მათი აღრიცხვის ფორმები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 15 დეკემბრის № 956
დადგენილების დანართი № 4

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების და სხვათა სამმართველოებსა და განყოფილებებში გამომგონებლობის და რაციონალიზაციის ბიუროს (უფროსი ინჟინრის) შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების საქმის ხელმძღვანელობა და გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვისადმი კონტროლი ეკისრებათ სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომის შესაბამისი სამმართველოებისა და განყოფილებების ხელმძღვანელებს.

2. სამმართველოები და განყოფილებები მოვალენი არიან:

ა) შეიმუშაონ პროფესიულ ორგანიზაციებთან ერთად გამომგონელობისა და რაციონალიზაციის პერსპექტიული და მიმდინარე თემატური გეგმები, წარმართონ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა ტექნიკური პროგრესის ამოცანების წარმატებით გადაჭრისაკენ;

ბ) ყოველნაირად გააფართოონ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიგები, განმარტონ გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის მნიშვნელობა, დადგენილი წესით მოიწვიონ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა თათბირები და კონფერენციები;

გ) გამოაქვეყნონ ცნობები დანერგილ წინადადებათა შესახებ მათი ეფექტიანობის აღნიშვნით, გამოსცენ საინფორმაციო მასალები გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის შესახებ, გასწიონ პრესის, რადიოს, კინოს, ტელევიზიისა და სხვათა მეშვეობით საუკეთესო გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მიღწევების და მათი მუშაობის მეთოდების პროპაგანდა;

დ) მოაწყონ მუშაობა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) დახმარება გაუწიონ გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს მათი წინადადებების შემუშავებასა და გაფორმებაში, უზრუნველყონ წინადადებათა დროულად განხილვა, დანერგვა და მათი აღრიცხვა.

3. სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სამმართველოები და განყოფილებები მოვალენი არიან საჭირო შემთხვევებში შექმნან გამომგონებლობასთან და რაციონალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად ექსპერიმენტული ბაზები და უზრუნველყონ ისინი შესაბამისი ასიგნობებით, მასალებითა და ინსტრუმენტით.

4. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების საქმისადმი ხელმძღვანელობა, წინადადებათა სარგებლიანობის ექსპერტიზის ჩატარება, ყოველმხრივი დახმარების გაწევა გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების წარმოებასა და მშენებლობაში დანერგვის უზრუნველყოფა ხორციელდება პროფკავშირული ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით.

5. სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სამმართველოებსა და განყოფილებებში ყოველდღიური მუშაობისა და აღნიშნული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის, სამუშაოს სირთულისა და მოცულობის მიხედვით, შეიქმნება გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიურო ან გამოიყოფა უფროსი ინჟინერი.

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიუროს (უფროსი ინჟინერი) რაოდენობა დაწესდება სამმართველოს ან განყოფილების შტატის (რიცხვის) ფარგლებში.

6. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიურო (უფროსი ინჟინერი) თავის პრაქტიკულ მუშაობაში ხელმძღვანელობს არსებული კანონმდებლობით, სადირექტივო ორგანოების დადგენილებებითა და განკარგულებებით გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საკითხებზე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტის ინსტრუქციებით, სამინისტროებისა და უწყებების ბრძანებებით, სახალხო მეურნეობის საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების დადგენილებებით და კონტროლს უწევს მათს შესრულებას ქვემდგომ სამეურნეო ქვეგანაყოფებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიურო (უფროსი ინჟინერი) თავის მუშაობას აწარმოებს ქვემდგომი სამეურნეო ქვეგანაყოფების გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის მუშაკებთან მჭიდრო კონტაქტით და საზოგადოებრივი ორგანიზაციების (პროფორგანიზაციები, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საბჭოების და სხვათა) ფართო მონაწილეობით.

II. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმისადმი ხელმძღვანელობის ბიუროს (უფროსი ინჟინრის) ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

ზოგადი დებულების საფუძველზე, ბიურო (უფროსი ინჟინერი) ახორციელებს შემდეგ ამოცანებს:

1. ბიურო (უფროსი ინჟინერი) სამმართველოს (განყოფილების) ხელმძღვანელობას წარუდგენს ცნობებს სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებში (ორგანიზაციებში) გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმის მდგომარეობის შესახებ;

ინფორმაციას მიაწვდის წარმოებაში დანერგილ მნიშვნელოვან გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შესახებ; შეადგენს დაწესებული ფორმის ანგარიშებს, მუშაობის გეგმებს, მოამზადებს და დააყენებს როგორც მთლიანად სამმართველოში, ისე სამმართველოს (განყოფილების) სისტემაში შემავალ ცალკეულ საწარმოებში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმის ვაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ბიურო (უფორსი ინჟინერი) თვალყურს ადევნებს შემოსულ წინადადებათა დროულად განხილვას; საწარმოს (ორგანიზაციის) გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის მუშაკებთან ერთად შეარჩევს გამოგონებებსა და რაციონალიზატორულ წინადადებებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან სამმართველოს სისტემის საწარმოებში და მათ შესახებ აცნობებს სამინისტროს, უწყების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმისადმი ხელმძღვანელობის განყოფილებას (ბიუროს);

შეადგენს და სამმართველოს (განყოფილების) ხელმძღვანელობას წარუდგენს დასამტკიცებლად გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შემუშავებისა და დანერგვის გეგმებს;

განახორციელებს კონტროლს გამოგონებათა და რაციონალიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორულ წინადადებათა შემუშავებისა და დანერგვის დაწესებულებ-
ვადებისადმი, აგრეთვე დახმარებას გაუწევს საწარმოებსა და ორგა-
ნიზაციებს საპროექტო-ტექნიკურ დოკუმენტაციის შემუშავებაში,
გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ნიმუშების
მომზადებასა და გამოცდაში.

3. ბიურო (უფროსი ინჟინერი) უშუალოდ ან საწარმოთა და ორ-
განიზაციათა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის მუშაკთა
მეშვეობით დახმარებას გაუწევს გამოგონების ან რაციონალიზატო-
რული წინადადების გაფორმებას;

თვალყურს ადევნებს საავტორო გასამრჯელოს გაცემისას ეკონო-
მიური ეფექტის სწორად გამოანგარიშებას, არ დაუშვებს გასამრჯე-
ლოს დაგვიანებას ან არასწორად გაცემას, თუ გამოგონება ან რაცი-
ონალიზატორული წინადადება გამოყენებული იქნება სამმართვე-
ლოს (განყოფილების) რამდენიმე საწარმოში.

4. ბიურო (უფროსი ინჟინერი) განიხილავს განცხადებებსა და
საჩივრებს გამომგონებლობასთან და რაციონალიზაციასთან დაკავ-
შირებულ ყველა საკითხზე და საჩივრების გამო მიიღებს ზომებს ან
უშუალოდ ანდა სამმართველოში (განყოფილებაში) შემავალ საწარ-
მოთა და ორგანიზაციათა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის
მუშაკთა მეშვეობით.

5. ბიურო (უფროსი ინჟინერი) შეადგენს და სამმართველოს
ხელმძღვანელობას დასამტკიცებლად წარუდგენს გამომგონებლო-
ბისა და რაციონალიზაციის ღონისძიებათა დაფინანსების გეგმებს,
თვალყურს ადევნებს იმას, რომ რაციონალურად და სწორად იქნას
გამოყენებული როგორც საკუთარი ხარჯთაღრიცხვებით, ისე სამმარ-
თველოში (განყოფილებაში) შემავალ საწარმოთა (ორგანიზაციათა)
რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ხარჯთაღრიცხვებით გა-
საცემი სახსრები.

6. ბიურო (უფროსი ინჟინერი) საწარმოებისა და ორგანიზაციე-
ბის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა კადრების კვალიფი-
კაციის ამაღლების მიზნით, მოაწყობს ლექციებს, მოხსენებებს, მოკ-
ლევადიან სემინარებს მუშაობის მეთოდიკისა და ორგანიზაციის სა-
კითხებზე, აგრეთვე საგამომგონებლო უფლების საკითხებზე.

7. ბიურო (უფროსი ინჟინერი) მოაწყობს განზრახულ გამოგო-
ნებაზე იმ განაცხადების სამრეწველო სარგებლიანობის გამოკვლე-
ვას, რომლებსაც გზავნის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსე-
ბული გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტი, თვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურს ადევნებს განზრახული გამოგონების სამრეწველო ნარგებლობის შესახებ დასკვნების წარდგენის დაწესებული ვადების დაცვას, და მათ ხარისხს.

III. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიუროს (უფროსი ინჟინრის) უფლებები

ბიუროს (უფროს ინჟინერს) უფლება აქვს:

1. მოითხოვოს საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა და მათი მუშაკებისაგან წინადადების განხილვის ვადასთან დაკავშირებული განმარტებანი, წინადადების უარყოფის დასაბუთებული მოტივები, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შემუშავებისა და დანერგვის ვადებთან, საავტორო გასამრჯელოს გამოანგარიშებისა და გაცემის მეთოდიკასთან, აგრეთვე იმ პირებისათვის პრემიების მიცემასთან დაკავშირებული განმარტებანი, რომლებიც ხელს უწყობდნენ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შემუშავებას და დანერგვას.

მოითხოვოს დაწესებული ფორმით ანგარიშები გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმის მდგომარეობის შესახებ.

2. აძლიოს განმარტებანი საწარმოთა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგის მათ მუშაკებს სხვადასხვა ღონისძიებათა გასატარებლად ფინანსური დანახარჯების საკითხებზე, საავტორო გასამრჯელოს და ხელშეწყობის პრემიების გადაანგარიშების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილია შეცდომა.

3. სამმართველოს ხელმძღვანელობის ნებართვით გაანაწილოს საწარმოებში შეკვეთები საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავების, მაკეტების, მოქმედი მოდელების საცდელი ნიმუშების დამზადების და გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამო ცდების ჩატარების შესახებ.

4. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ღონისძიებათა გეგმის შესასრულებლად მოიწვიოს შტატგარეშე კონსულტანტები, ლექტორები, მხატვრები, მხაზველები, ფოტოგრაფები და სხვები იმ მუშაკთა რიცხვიდან, რომლებიც მუშაობენ როგორც სამმართველოში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ისე გარეშე საწარმოებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და ორგანიზაციებში იმ ანგარიშით, რომ აღნიშნულ მუშაკთა შრომა ანაზღაურებულ იქნას ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

5. საჭირო შემთხვევებში შექმნას კომისიები სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებისა, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისაგან გამოგონებათა და რაციონალურ წინადადებათა განხილვისა, შემუშავებისა და დანერგვისათვის.

6. დააყენოს სამმართველოს (განყოფილების) ხელმძღვანელობის წინაშე საკითხები, რომ პასუხისგებაში იქნან მიცემული ის პირები, რომელთაც დანაშაული მიუძღვით გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ არსებული კანონის დარღვევაში, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შემუშავებისა და დანერგვის ვადების ჩაშლაში, აგრეთვე ის პირები, რომლებმაც დაუშვეს საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი წინადადების განხილვის, შემუშავებისა და დანერგვის, აგრეთვე გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის გასამრჯელოს გაცემის დროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 15 დეკემბრის №1350
დადგენილების დანართი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საწარმოებში (ორგანიზაციებში) გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმისადმი ხელმძღვანელობის განყოფილების (ბიუროს) შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საწარმოებში (ორგანიზაციებში) გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისადმი ხელმძღვანელობა ეკისრებათ საწარმოთა (ორგანიზაციათა) ხელმძღვანელებს.

2. საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელები მოვალენი არიან:

ა) შეიმუშაონ პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის პერსპექტიული და მიმდინარე თემატური გეგმები, წარმართონ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა ტექნიკური პროგრესის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისაკენ;

ბ) ყოველნაირად გააფართოონ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიგები; განმარტონ გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის მნიშვნელობა; დადგენილი წესით მოიწვიონ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა თათბირები და კონფერენციები;

გ) გამოაქვეყნონ ცნობები დანერგილ წინადადებათა შესახებ მათი ეფექტიანობის აღნიშვნით; გამოსცენ საინფორმაციო მასალები გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის შესახებ; გასწიონ პრესის, რადიოს, კინოს, ტელევიზიისა და სხვათა მეშვეობით საუკეთესო გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მიღწევებისა და მათი მუშაობის მეთოდების პროპაგანდა;

დ) მოაწყონ მუშაობა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ე) დახმარება აღმოუჩინონ გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს მათი წინადადებების შემუშავებისა და გაფორმების საქმეში; უზრუნველყონ წინადადებათა დროულად განხილვა, დანერგვა და მათი აღრიცხვა.

3. საწარმოები და ორგანიზაციები მოვალენი არიან საჭირო შემთხვევებში შექმნან გამომგონებლობასთან და რაციონალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად ექსპერიმენტული

ბაზები, უზრუნველყონ ისინი შესაბამისი ასიგნობებით, მასალებითა და ინსტრუმენტით.

4. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების საქმისადმი ხელმძღვანელობა, წინადადებათა სარგებლიანობის ექსპერტიზის ჩატარება, ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვა წარმოებასა და მშენებლობაში ხორციელდება პროფკავშირული ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით.

5. საწარმოებში, სამეცნიერო-კვლევითს და საპროექტო ინსტიტუტებში, საკონსტრუქტორო ბიუროს განყოფილებებში, ტრესტებში სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოებში, რკინიგზის სამმართველოებსა და სხვა ორგანიზაციებში ყოველდღიური მუშაობისა და აღნიშნული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის სამუშაოს მოცულობის, საწარმოს (ორგანიზაციის) სირთულისა და სიდიდის, საწარმოო ობიექტების რაოდენობისა და მშრომელთა საერთო რიცხვის მიხედვით შეიქმნება განყოფილებები (ბიუროები) ან გამოიყოფა სხვა სამუშაოსაგან განთავისუფლებული სპეციალური მუშაკი.

განყოფილების ან ბიუროს პერსონალის რაოდენობა დაწესდება საწარმოს (ორგანიზაციის) დამტკიცებული შტატის (რიცხვის) ფარგლებში.

6. განყოფილება (ბიურო) თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს სადირექტივო ორგანოების დადგენილებებითა და განკარგულებებით, სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მიერ გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საკითხებზე გამოცემული დადგენილებებით, ბრძანებებითა და განკარგულებებით, ზემდგომი სამეურნეო ქვეგანაყოფების გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ორგანოების მითითებებით და თვალყურს ადევნებს მათს შესრულებას.

7. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმისადმი ხელმძღვანელობის დარგში მთელ მუშაობას ბიურო (ინჟინერი) აწარმოებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან (საქარხნო კომიტეტი, საფაბრიკო კომიტეტი, ადგილობრივი კომიტეტი, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საბჭოს გამგეობა, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საბჭო და სხვ.) მჭიდრო კონტაქტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. საწარმოს (ორგანიზაციის) გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიუროს (ინჟინრის) ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

საერთო დებულების საფუძველზე, განყოფილება (ბიურო) ახორციელებს შემდეგ ამოცანებს:

1. საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელობას წარუდგენს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა მასალებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან სხვა საწარმოებში (ორგანიზაციებში);

მოაწყობს საამქროებსა და უბნებს შორის მუშაობის გამოცდილების ფართოდ გაზიარებას, აგრეთვე სხვა საწარმოების (ორგანიზაციების) დადებითი გამოცდილების დანერგვას.

2. ყოველდღიურ კონტროლს გაუწევს შემოსულ წინადადებათა დროულად განხილვას, მიღებული გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადების დამუშავებასა და დანერგვას;

მოაწყობს საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავებას, საცდელი ნიმუშების დამზადებასა და გამოცდას.

3. ყოველგვარ დახმარებას გაუწევს გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს:

ა) ნახაზების დამუშავებაში, მათ წინადადებათა გამო გაანგარიშებისა და აღწერილობის შედგენაში;

ბ) ნიმუშების, მაკეტების, მოქმედი მოდელებისა და სხვათა დამზადებაში;

გ) მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებზე ლექციების, მოხსენებების, კონსულტაციების მოწყობაში, უფლებრივ საკითხებზე კონსულტაციების ჩატარებაში;

დ) განზრახულ გამოგონებაზე განაცხადების გაფორმებაში.

4. თვალყურს ადევნებს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას, რათა:

ა) დროზე გატარდეს რეგისტრაციაში შემოსული წინადადებანი;

ბ) დროულად და ხარისხიანად იქნას მიცემული დასკვნები შემოსულ წოდებათა გამო;

გ) დროზე ეცნობოთ ავტორებს მათი წინადადებების განხილვის შედეგები;

დ) უზრუნველყოფილ იქნას კანონით დაწესებულ ვადაში მიღებული ეკონომიის გამოანგარიშება და საავტორო გასამრჯელოს გაცემა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

განახორციელებს კონტროლს ეკონომიის სწორად გამოანგარიშებისადმი და მიაღწევს იმას, რომ ეკონომიის გამოანგარიშება წარმოებდეს ყველა შემთხვევაში, როდესაც ეს შესაძლებელია.

5. მოაწყობს განყოფილებების (მთავარი ტექნოლოგის, მთავარი ენერგეტიკოსის, მთავარი მექანიკოსის და სხვ.) და საამქროების მეშვეობით დროული და ხარისხიანი დასკვნების მიცემას განზრახულ გამოგონებებზე განაცხადების სამრეწველო სარგებლიანობის შესახებ (რომლებსაც გზავნის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტი).

6. გააფორმებს განაცხადებს განზრახულ გამოგონებაზე საწარმოს (ორგანიზაციის) სახელით იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაო შესრულებულია კოლექტიურად და შეუძლებელია ნამდვილი ავტორების ვინაობის დადგენა.

7. შეიმუშავებს და საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელობას დასამტკიცებლად წარუდგენს მოსაზრებებს საავტორო გასამრჯელოს განაწილების შესახებ იმ შემთხვევებში, როდესაც გამოგონება გაფორმებულია საწარმოს (ორგანიზაციის) სახელზე, აგრეთვე გამოთქვამს თავის მოსაზრებებს, თუ როგორ უნდა განაწილდეს პრემიები გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შემუშავებასა და დანერგვაში ხელშეწყობისათვის.

8. განიხილავს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საჩივრებს და მიიღებს ზომებს საჩივრების მიხედვით, აგრეთვე ცდილობს აღმოფხვრას ამ საჩივრების წარმომშობი მიზეზები.

9. კადრების განყოფილების მუშაკებთან ერთად შეიმუშავებს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა კვალიფიკაციის ამაღლების თემატიკას და დასამტკიცებლად წარუდგენს საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელობას; საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელობის დავალებით ჩაატარებს სემინარებს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

10. მოაწყობს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში მთელი დოკუმენტაციის (რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა პირადი ანგარიშების და სხვა დოკუმენტაციის) აღრიცხვასა და შენახვას.

11. შეადგენს დაწესებული ფორმით ანგარიშებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმის მდგომარეობის შესახებ და განსახილველად წარუდგენს მათ საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელობას.

12. დადგენილი ფორმის მიხედვით წარუდგენს გამომგონებლო-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და რაციონალიზაცის შესახებ ანგარიშებს ზემდგომ ეროვნულ ქვეგანაყოფთა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ორგანოებს.

13. შეადგენს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ღონისძიებათა ხარჯთაღრიცხვებს და საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცების შემდეგ განახორციელებს მათი შესრულების კონტროლს.

14. ყოველდღიურ დახმარებას გაუწევს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგის საამქროების მუშაკებს.

III. საწარმოს (ორგანიზაციის) გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიუროს (ინჟინრის) უფლებები

განყოფილებას (ბიუროს) უფლება აქვს:

1. მოთხოვოს საწარმოს (ორგანიზაციის) საამქროებსა და განყოფილებებს, აგრეთვე საამქროებისა და განყოფილებათა გამომგონებლობის და რაციონალიზაციის მუშაკებს შემოსულ წინადადებათა განხილვასთან დაკავშირებული საჭირო ცნობები, მოტივირებული დასკვნები უარის თქმის შესახებ, განმარტებანი შემუშავებისა და დანერგვის ვადების შესახებ, ანგარიშები (დადგენილი ფორმით) გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის შესახებ.

2. აძლიოს განმარტებანი გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის შესახებ მოქმედი კანონმდებლობისა და სხვადასხვა ინსტრუქციების შეფარდების შესახებ.

3. გაანაწილოს საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელობის ნებართვით საამქროებში და უბნებზე შეკვეთები გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამო საცდელი ნიმუშების დამზადების შესახებ და მოითხოვოს მათი შესრულება.

4. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ღონისძიებათა გეგმის შესასრულებლად მოიწვიოს შტატგარეშე კონსულტანტები, ლექტორები, მხატვრები, კონსტრუქტორები, მხაზველები, ფოტოგრაფები და სხვ. როგორც საწარმოს (ორგანიზაციის), ისე გარეშე საწარმოების (ორგანიზაციების) საამქროთა და განყოფილებათა მუშაკების რიცხვიდან იმ ანგარიშით, რომ აღნიშნულ მუშაკთა გასამრჯელო ანაზღაურებულ იქნას ხარჯთაღრიცხვით.

5. დააყენოს საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელობის წინაშე საკითხი, რომ პასუხისგებაში იქნან მიცემული ის პირები, რომლებიც დაარღვევენ მოქმედ კანონს გამოგონებათა და რაციონალიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორულ წინადადებათა შემუშავებისა და დანერგვის ვადებისა ზეგ-ლის შესახებ. დაუშვებენ საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმს ეკონომიის გამოანგარიშებისა და საავტორო განამრჯელოს გაცემის დროს.

6. გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა განხილვასთან, დამუშავებასთან და დანერგვასთან დაკავშირებულ საქმეთა შემთხვევებში შექმნას კომისიები სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებისა, რაციონალიზატორებისა და გამომგონებლებისაგან.

7. მიმართოს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საკითხებზე ზემდგომ სამეურნეო ორგანიზაციებს, სახელმწიფო დაწესებულებებს.

8. მისცეს რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორებს მოწმობები საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელის სახელით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 15 დეკემბრის № 956
დადგენილების დანართი № 6

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საამქროში (უბანზე) გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ინჟინრის (პასუხისმგებელი შემსრულებლის) შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საწარმოთა (ორგანიზაციათა) საამქროებში და უბნებზე გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმის ხელმძღვანელობა ეკისრება საამქროებისა და უბნების ხელმძღვანელებს.

2. საამქროს (უბნის) ხელმძღვანელობა მოვალეა:

ა) შეიმუშაოს საამქროს (უბნის) პროფკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის თემატური გეგმები, წარმართოს საამქროს (უბნის) მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა ტექნიკური პროგრესის ამოცანების წარმატებით გადაჭრისაკენ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გაფართოოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ბიბლიოთეკები, მოიწვიოს საჭიროების მიხედვით გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა თათბირები;

გ) შეადგინოს პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმები გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხაზით მუშაობის გასაუმჯობესებლად;

დ) კონტროლი გაუწიოს წინადადებათა დროულად და ხარისხიანად განხილვას და მათ დანერგვას წარმოებაში, მომჭირნეობის სწორად გამოანგარიშებას და საავტორო გასამრჯელოსა და პრემიების დროულად გაცემას გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შემუშავებასა და დანერგვაში ხელშეწყობისათვის;

ე) დახმარება აღმოუჩინოს გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს მათი წინადადებების შემუშავებასა და გაფორმებაში, უზრუნველყოს წინადადებათა დროზე განხილვა, დანერგვა და მათი აღრიცხვა.

3. საამქროს (უბნის) ხელმძღვანელობა მოვალეა საჭირო შემთხვევებში შექმნას გამომგონებლობასთან და რაციონალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად ექსპერიმენტული სახელოსნოები, უზრუნველყოს ისინი სათანადო მასალებითა და ინსტრუმენტით.

4. საჭირო შემთხვევებში საამქროს (უბნის) უფროსს ყოველდღიური მუშაობისა და აღნიშნული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის შეუძლია გამოყოს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგის სპეციალური მუშაკი (პასუხისმგებელი შემსრულებელი) საამქროსათვის (უბნისათვის) დაწესებული შტატის ფარგლებში.

5. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების საქმისადმი ხელმძღვანელობა, შემოსული წინადადებების განხილვა ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების წარმოებასა და მშენებლობაში დანერგვის უზრუნველყოფა ხორციელდება პროფკავშირული ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით.

6. საამქროს (უბნის) გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგის ინჟინერი (პასუხისმგებელი შემსრულებელი) თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს სადირექტივო ორგანოების დადგენილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე ბრძანებებითა და განკარგულებებით ზემდგომ სამეურნეო ქვეგანაყოფთა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საკითხებზე.

7. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ინჟინერი (პასუხისმგებელი შემსრულებელი) თავის მუშაობას ატარებს საამქროს (უბნის) საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით.

II. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ინჟინრის ამოცანები

საამქროს (უბნის) გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ინჟინერი (პასუხისმგებელი შემსრულებელი) ასრულებს შემდეგ ამოცანებს:

1. შეიმუშავებს და საამქროს უფროსს დასამტკიცებლად წარუდგენს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის მასობრივი განვითარების ღონისძიებათა გეგმებს; მოაწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სოციალისტურ შეჯიბრებას, კონკურსებსა და დათვალიერებას; გაავრცელებს მასობრივი გამომგონებლობის ახალ ფორმებს, მოაწყობს შემოქმედებითს ბრიგადებს და ხელს შეუწყობს მათი მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნას.

2. საწარმოს (ორგანიზაციის) გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ორგანოებში წარადგენს წინადადებებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან სხვა საამქროებში (უბნებში).

3. მოაწყობს რაციონალიზატორულ წინადადებათა შეგროვებას საამქროს (უბნის) მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შორის და გააფორმებს ავტორების პრიორიტეტს.

4. აწარმოებს რაციონალიზატორულ წინადადებათა რეგისტრაციას და ხელს შეუწყობს მათ მსვლელობას სტადიების მიხედვით (განხილვა, დამუშავება, საცდელი ნიმუშის დამზადება, გამოცდა და დანერგვა).

5. შეადგენს მიღებულ წინადადებათა რეალიზაციის კალენდარულ გრაფიკებს და საამქროს (უბნის) უფროსის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ კონტროლს გაუწევს მათს შესრულებას.

6. საამქროს უფროსის წინაშე დააყენებს საკითხს, რომ გამოძახებულ იქნან ანგარიშის მისაცემად ის პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა რეალიზაციისათვის.

7. მოაწყობს რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის მასალების შეგროვებას საამქროს (უბნის) უფროსი ეკონომისტის მიერ ეკონომიის გამოსაანგარიშებლად.

8. საამქროს (უბნის) უფროსს დასამტკიცებლად წარუდგენს ამქროს ეკონომისტის მიერ გამოანგარიშებულ ეკონომიურ-ფინანსურ ტიანობას და ჩააბარებს მასალებს ქარხნის მუშათა გამომგონებლობის ბიუროს.

9. საამქროს (უბნის) ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მეშვეობით მოაწყობს წინადადებათა ავტორებისათვის ტექნიკურ დახმარებას მათი წინადადებების გაფორმების საქმეში (გაანგარიშებანი, ესკიზების მომზადება, ახსნა-განმარტებითი ბარათის შედგენა და ა. შ.).

10. საამქროს უფროსს წარუდგენს თავის მოსაზრებებს იმ პირებისათვის პრემიების მიცემის შესახებ, რომლებმაც ხელი შეუწყვეს გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადებების შემუშავებასა და დანერგვას.

11. განიხილავს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა განცხადებებსა და საჩივრებს და მიიღებს მათ გამო ქმედითს ზომებს.

12. ანალიზს გაუკეთებს და განაზოგადებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საანგარიშო მონაცემებს და მოახსენებს მათ საამქროს ხელმძღვანელობას და გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ზემდგომ ქვეგანაყოფს.

13. გამოთქვამს თავის მოსაზრებებს საამქროში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რათა შეტანილ იქნას ისინი საწარმოს (ორგანიზაციის) საერთო გეგმაში.

14. აწარმოებს რაციონალიზატორთა პირადი ანგარიშების აღრიცხვას, შეამოწმებს გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების მიერ ნაკისრ ვალდებულებებს და მათი შესრულების შესახებ მოახსენებს საამქროს ხელმძღვანელობას.

15. მიიღებს სხვა საამქროებიდან დასკვნისა და რეალიზაციისათვის რაციონალიზატორულ წინადადებებს, რომლებიც თავისი საამქროს წარმოებას შეეხება, აწარმოებს ამ წინადადებათა აღრიცხვას და კონტროლს გაუწევს მათ მოძრაობას.

16. კონტროლს გაუწევს იმ რაციონალიზატორულ წინადადებათა რეალიზაციის სამუშაოების შესრულებას დანიშნულ ვადაში, რომლებიც შემოსულია ქარხნის სხვა საამქროებიდან და განყოფილებებიდან.

17. შემოიღებს თვითეულ ავტორზე, რომელმაც ახლად წარმოადგინა რაციონალიზატორული წინადადება, დაწესებული ფორმის საალრიცხვო ბარათს.

18. მოამზადებს თავის მოსაზრებებს გასული კვარტალის მანძილზე წინათ უარყოფილ რაციონალიზატორულ წინადადებათა (უარყოფის სისწორის შესახებ ტექნიკური ზედამხედველობის წესით ხელახლა განსახილველად, თუ ამას საჭიროება მოითხოვს).

19. შეადგენს დაწესებული ფორმით ყოველთვიურ ანგარიშებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხაზით მუშაობის შესახებ და წარუდგენს მათ საწარმოს (ორგანიზაციის) მუშათა გამომგონებლობის ბიუროს.

20. მოაწყობს საამქროს კომიტეტთან ერთად სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას, საუკეთესო რაციონალიზატორთა ჩვენებას და ა. შ.

21. ჩაატარებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საკითხებზე არსებული მთელი დოკუმენტაციის აღრიცხვასა და შენახვას.

22. გამოავლენს მიღებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა შორის ისეთ წინადადებებს, რომლებიც გაფორმებულ უნდა იქნან როგორც გამოგონება; განუმარტავს გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს მათს უფლებებს ცალკეული რაციონალიზატორული წინადადებების გამოგონებებად აღიარების შესახებ და ყოველგვარ დახმარებას გაუწევს მათს გაფორმებაში.

III. საამქროს (უბნის) გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ინჟინრის უფლებები

საამქროს (უბნის) გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ინჟინერს (პასუხისმგებელ შემსრულებელს) უფლება აქვს:

1. მოსთხოვოს საამქროს ოსტატებსა და ტექნოლოგებს ცნობები და დასკვნები წინადადებათა განხილვის, უარყოფის მოტივების, რაციონალიზატორულ წინადადებათა დამუშავებისა და დანერგვის ვადების შესრულების საკითხებზე.

2. მოამზადოს და დააყენოს საამქროს (უბნის) უფროსის წინაშე საამქროში (უბანში) გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხაზით მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები; წარუდგინოს საამქროს უფროსს წინადადებანი იმ პირთა წინააღმდეგ ადმინისტრაციული ზომების მიღების შესახებ, რომლებიც არღვევენ რაციონალიზატორული წინადადებების განხილვასა და დანერგვის დადგენილ წესს.

3. შეუკვეთოს საამქროს უფროსის ნებართვით საცდელი ნიმუშების დამზადება საწარმოს (ორგანიზაციის) სხვა საამქროებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გამოვიდეს წარმომადგენლად საამქროს სახელით ზემდებარე ორგანიზაციებში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საკითხებზე.

5. დააყენოს საამქროს ხელმძღვანელობის წინაშე ის საკითხი, რომ პასუხისგებაში იქნან მიცემული ის პირები, რომლებიც დაარღვევენ რაციონალიზატორულ წინადადებათა განხილვის ვადებს, დაუშვებენ ბიუროკრატიზმს რაციონალიზატორული წინადადების შემუშავებისა და დანერგვის საქმეში, დაარღვევენ მოქმედ კანონმდებლობას მომჭირნეობის გამოანგარიშებისა და საავტორო გასამრჯელოს გაცემის დროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

111 საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 18 დეკემბერი, № 965

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 18 დეკემბრის № 965
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 56 და 58 მუხლების შესაბამისად, წარმოადგენს რესპუბლიკურ სამინისტროს, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით და უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მოწყობა და ხელმძღვანელობა, სამინისტროს სისტემისათვის დაწესებული სახელმწიფო გეგმების შესრულება და საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე სასურსათო და სამრეწველო საქონლის შეუფერხებლივ გაყიდვის უზრუნველყოფა, მოსახლეობის მოთხოვნილების, ეროვნულ და საყოფაცხოვრებო თავისებურებათა გათვალისწინებით;

მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლება ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების პროგრესული ფორმებისა და ორგანიზაციის მეთოდების, ახალი ტექნიკის, ვაჭრობის პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვით სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების პრაქტიკაში; ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობის წესის დადგენა;

სასურსათო და სამრეწველო საქონლის საბითუმო ვაჭრობის უზრუნველყოფა საქართველოს სს რესპუბლიკაში, საქონლის მიწოდება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის და აღნიშნული რესპუბლიკებიდან საქართველოს სს რესპუბლიკაში საქონლის შემოზიდვისადმი კონტროლი;

კონტროლის განხორციელება სავაჭრო ქსელში მისაწოდებელი საქონლის ხარისხისადმი;

ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებელი კომიტეტების ვაჭრობის სამმართველოს და განყოფილებების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა, აგრეთვე კონტროლი განხორციელება შრომის საკითხებზე არსებული კანონმდებლობის დაცვისადმი, სახელმწიფო გეგმების, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების შესრულებისადმი, საცალო ფასების დადგენის სისწორისა და ყველა სავაჭრო სისტემის მიერ ვაჭრობის წესების დაცვისადმი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე;

სავაჭრო დარგის მუშაკთა კვალიფიციური კადრების მომზადება;

უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანიზაციების, საწარმოების, სასწავლებლების მართვა-გამგეობა.

3. ამ დებულების მე-2 მუხლში აღნიშნული ამოცანების შესრულების მიზნით, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) მოაწყობს სასურსათო და სამრეწველო საქონლის ვაჭრობას და საზოგადოებრივ კვებას, ხელმძღვანელობას გაუწევს ამ საქმეს ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომების სამმართველოსა და ვაჭრობის განყოფილებების მეშვეობით და განახორციელებს კონტროლს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მდგომარეობისადმი საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე;

ბ) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგენს, იმისათვის, რომ შემდგომ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საცალო საქონელბრუნვის გეგმებს, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების გეგმების გამოყოფით, სავაჭრო-სასაწყობო ქსელის და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის განვითარების გეგმებს ყველა სავაჭრო სისტემის მიხედვით, მათი დაქვემდებარების დამოუკიდებლად, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მიხედვით და კონტროლს გაუწევს ამ გეგმების შესრულებას;

გ) შეადგენს და დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ოლქსა, ქალაქებსა და რაიონებს შორის სასაქონლო რესურსების განაწილების გეგმებს;

დადგენილი წესით შეიმუშავებს სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებისათვის სარკინიგზო, სამდინარო, საზღვაო, საავტომობილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტით და შერეული სარკინიგზო—წყალთა მიმოსვლის ტვირთზიდვის გეგმებს და ოპერატიულ კონტროლს გაუწევს ამ გეგმების შესრულებას, აგრეთვე შეიმუშავებს რესპუბლიკის ფაოვლებში სასურსათო და სამრეწველო საქონლის ტვირთნაკადთა ნორმალური მიმართულებების სქემებს;

შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში საქონლის ცენტრალიზებული შეტანის გაფართოებას და სატრანსპორტო ხარჯების შემცირებას; საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან ერთად, დაამტკიცებს სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების ტვირთის საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის ძირითად პირობებს;

დ) შეიმუშავებს ძირითად მიმწოდებლებთან ერთად ცალკეული სახის საქონლის მიწოდების განსაკუთრებულ პირობებს, აგრეთვე გზათა სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოსთან და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან ერთად—იმ რესტორნებისა და ბუფეტების სადგომების იჯარის და ექსპლუატაციის ძირითად პირობებს, რომლებიც მომსახურებას უწევენ მგზავრებს, და მოაწყობს სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებას საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში;

ე) განახორციელებს საბითუმო ვაჭრობას, უზრუნველყოფს სახალხო მოხმარების საქონლის თანაბრად მიწოდებას და საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციების და საწარმოების შეუფერხებლივ მომარაგებას ამ საქონლით, აგრეთვე ბაზარგარეშე მომხმარებლების მომარაგებას მათთვის დაწესებული საქონლის ნომენკლატურის მიხედვით, ხელმძღვანელობას გაუწევს საბითუმო ვაჭრობის რესპუბლიკური კანტორების საქმიანობას, გადაწყვეტს მრეწველობასთან მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს საქონლის ასორტიმენტის გაუმჯობესებისა და ახალი სახის საქონლის გამოშვების ათვისების, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის დამატებითი წარმოებისათვის ადგილობრივი რესურსების გამოძებნის მიმართულებით;

ვ) ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების და მშრომელთა დეპუტატების საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოს და განყოფილებების და უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სავაჭრო ორგანიზაცი-

ბის მიერ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლის და მათი წინადადებების განზოგადების საფუძველზე, მოაწყობს საბჭოთუმო და საცალო სავაჭრო ორგანიზაციების მეშვეობით შეკვეთების მიცემას სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის, ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობისათვის საჭირო რაოდენობის, ასორტიმენტისა და ხარისხის საქონლის წარმოების, აგრეთვე ახალი სახისა და ხარისხის საქონლის წარმოების შესახებ და კონტროლს გაუწევს მრეწველობის მიერ მიღებული შეკვეთების შესრულებას;

ზ) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე სახელმწიფო საგეგმო კომისიას და მრეწველობის მართვის ორგანოებს წარუდგენს განსახილველად წინადადებებს იმ საქონლის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ, რომელსაც სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოები, ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობა უშვებენ;

თ) განახორციელებს კონტროლს მრეწველობის მიერ გამომუშავებული სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტისადმი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 მაისის № 539 დადგენილებით გათვალისწინებული წესით, აგრეთვე განახორციელებს კონტროლს საბითუმო და საცალო სავაჭრო ქსელში არსებული საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტისადმი; მონაწილეობას მიიღებს ამ საქონლის სტანდარტებისა და რესპუბლიკური ტექნიკური პირობების პროექტების განხილვაში, მიიღებს გადაწყვეტილებებს სამრეწველო საწარმოთა მიერ ისეთი საქონლის მიღებისა და გაგზავნის შეწყვეტის შესახებ, რომელიც არ შეესაბამება მოქმედ სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს, რეცეპტურებს, ტექნოლოგიურ ინსტრუქციებს, დამტკიცებულ ნიმუშებსა და სხვა ტექნიკურ დოკუმენტაციას;

ი) შეიმუშავებს და დადგენილი წესით დაამტკიცებს სასურსათო და სამრეწველო საქონლის საცალო ფასებს, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგენს წინადადებებს საზოგადოებრივი კვების საწარმოების მიერ გამოშვებული საქონლის მოქმედი საცალო ფასების და პროდუქციის ფასნამატის შეცვლის შესახებ; სისტემატურ კონტროლს გაუწევს ადგილებზე საქონლის საცალო ფასების სწორად დაწესებასა და საცალო ფასების დაცვას ყველა სავაჭრო სისტემის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში;

კ) განახორციელებს კონტროლს ყველა სისტემის საცალო და საბითუმო ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების ქსელის სწორად

ეროვნული ბიბლიოთეკა

განლაგებისა და საწარმოთა სპეციალიზაციისადმი, შეიმუშავებს საცალო და საბითუმო საწარმოების, აგრეთვე საზოგადოებრივი კვების საწარმოების ტიპებს, უზრუნველყოფს სავაჭრო რეკლამის გაფართოებასა და გაუმჯობესებას;

ლ) მოაწყობს ღორის გასუქებას კვების ნარჩენების გამოყენების ბაზაზე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით მოაწყობს დამხმარე საწარმოებს და ხელმძღვანელობას გაუწევს მათ საქმიანობას;

მ) განახორციელებს კონტროლს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საკომისიო საფუძვლებზე ვაჭრობისადმი, საკოლმეურნეო ბაზრების მშენებლობისა და კეთილმოწყობისადმი;

ნ) სისტემატურ დაკვირვებას მოაწყობს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სისტემაში საქონლის მარაგის მდგომარეობისა და იმისადმი, თუ რამდენად შეესაბამება იგი ნორმატივებს; მოაწყობს ყველა სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებში დაგროვილი საქონლის მარაგის და ზედმეტი საქონლის გადაადგილებას რაიონებსა და სავაჭრო სისტემებს შორის, ამასთან უზრუნველყოფს აღნიშნული საქონლის რაციონალურობას;

ო) მოაწყობს ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში დაგროვილი სამრეწველო და სასურსათო საქონლის ნამეტის სავაჭრო ორგანიზაციების მიერ გაყიდვისა და შესყიდვის სავაჭრო-საშუამავლო ოპერაციებს, აგრეთვე ანალოგიურ ოპერაციებს საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სავაჭრო ორგანიზაციებს შორის, ჩაატარებს ამ მიზნით საარაონთაშორისო და საერესპუბლიკათაშორისო ბაზრობებს ზედმეტი საქონლის საბითუმო გაყიდვისათვის ნიმუშების მიხედვით;

პ) განსაზღვრავს საქონლის რესურსებს, რომლებიც კონიუნქტურის გათვალისწინებით შეიძლება გაიყიდოს სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ საქართველოს სს რესპუბლიკისათვის საჭირო საქონელზე გადაცვლის პირობებში, მოაწყობს საქონლის გაგზავნას ან მიღებას ამ ოპერაციებით და ჩაატარებს მათ გაფორმებას დადგენილი წესით;

ჟ) აწარმოებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სტატისტიკურ აღრიცხვას საქართველოს სს რესპუბლიკაში და კონიუნქტურულ დაკვირვებას მათი მდგომარეობისა და იმ ცვლილებებისადმი, რომლებიც მათში ხდება;

რ) განაზოგადებს და გაავრცელებს მოსახლეობის მომსახურების საუკეთესო ფორმებისა და მეთოდების გამოყენების გამოცდილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას, ამასთან მოახდენს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ... წინავე საწარმოთა და ნოვატორთა მიღწევების პოპულარიზაციას;

ს) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების შეჭურვას ახალი სახის მოწყობილობით, მექანიზმებით, ავტომატებითა და ინვენტარით;

დაგეგმავს და მოაწყობს ყველა სავაჭრო სისტემის, მათი დაქვემდებარების დამოუკიდებლად, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომარაგებას სავაჭრო-ტექნოლოგიური, სამაცივრო მოწყობილობითა და ინვენტარით;

განახორციელებს რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სავაჭრო ორგანიზაციების მომარაგებას მატერიალურ-ტექნიკური შეჭურვილობის ყოველგვარი საგნებით;

ტ) უზრუნველყოფს საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხაზით გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებაში და სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებას; გაანაწილებს მრეწველობის საწარმოებში შეკვეთებს მანქანების, მექანიზმების, ხელსაწყოებისა და ინვენტარის წარმოების შესახებ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა იმ წინადადებების მიხედვით, რომლებიც მიღებულია დასანერგავად;

უ) პროფკავშირული ორგანოების მონაწილეობით ხელმძღვანელობს მუშაობას სამინისტროს სისტემაში მუშაკთა შრომის ორგანიზაციის, ნორმირების, ანაზღაურების, შრომის პირობების დაცვისა და გაუმჯობესების დარგში;

შეიმუშავებს პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით და განახორციელებს ღონისძიებებს შრომის დისციპლინის განმტკიცებისა, უსაშიშრობის ტექნიკის გაუმჯობესებისა და საწარმოო სანიტარიის გაუმჯობესებისათვის; განახორციელებს კონტროლს შრომის კანონმდებლობის და შრომის ანაზღაურების დებულებათა დაცვისადმი რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებში, აგრეთვე კოლექტიური ხელშეკრულებების დროულად დადებისა და მათი შესრულებისადმი რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციებსა და საწარმოებში;

ფ) განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ ყველა სავაჭრო სისტემამ შეასრულოს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი ვაჭრობისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი კვების საკითხებზე, აგრეთვე საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ბრძანებები და ინსტრუქციები; ამზადებს ვებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარუდგენს კანონების, ბრძანებულებების, დადგენილებების და განკარგულებათა პროექტებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საკითხებზე;

შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის გაიაფებასა და სრულყოფას, სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში პარალელიზმის აღმოფხვრას და ვაჭრობაში ზედმეტი რგოლების ლიკვიდაციას;

ქ) დააწესებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ვაჭრობისა და მუშაობის ძირითად წესებს, რაც სავალდებულოა ყველა სავაჭრო სისტემისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, აგრეთვე განახორციელებს კონტროლს ამ წესების დაცვისადმი;

სისტემატურ დახმარებას გაუწევს საზოგადოებრივი კონტროლის კომისიებს სავაჭრო ორგანიზაციების, მუშათა მომარაგების განყოფილებების, სურსათმომარაგებათა საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობისადმი, აგრეთვე პროფორგანიზაციათა საზოგადოებრივ კონტროლიორებს მათს მუშაობაში;

ღ) ხელმძღვანელობს ლიტერატურის გამოცემას ვაჭრობის საკითხებზე.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო:

ა) განახორციელებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მთელი სისტემის მუშაობის ხელმძღვანელობას და უშუალოდ განაგებს რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციებსა და საწარმოებს, შეადგენს და დაამტკიცებს საბითუმო და საცალო საქონელბრუნვის, დამხმარე საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიერ პროდუქციის გამოშვების გეგმებს, შრომის, ბრუნვის ხარჯების და სამეურნეო საქმიანობის სხვა მაჩვენებლების გეგმებს; შეიმუშავებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების კაპიტალურ დაბანდებათა გეგმებს, განახორციელებს სავაჭრო ობიექტების მშენებლობას, დადგენილი წესით დაამტკიცებს მშენებლობის და პროექტების დავალებებს, საპროექტო დავალებებს, ტექნიკურ პროექტებს, ხარჯთაღრიცხვებსა და სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებს;

შეადგენს გეგმების შესაბამისად და დაწესებულ ვადებში ტექნიკურ-ეკონომიკურ ინდივიდუალურ პროექტებს, აგრეთვე საინჟინრო-ტექნიკურ გამოკვლევებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების, მაცივრების, საწყობების და ვაჭრობის სხვა საწარმოების მშენებლობისა, რემონტისა და რეკონსტრუქციისათვის;

შეიმუშავებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემისათვის ნაკრებ საფინანსო გეგმას, მონაწილეობას მიიღებს ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების, აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოსა და განყოფილებების საფინანსო გეგმების განხილვაში და მისცემს მათ გამო დასკვნებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

განახორციელებს დაფინანსებას და სახსრების გადანაწილებას რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციებს შორის, შეიმუშავებს საკრედიტო გეგმებს და განახორციელებს ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში სახელმწიფო ბანკის და სპეცბანკების მოკლევადიანი კრედიტების ლიმიტებს; შეიმუშავებს და განახორციელებს სამეურნეო ანგარიშის და მომჭირნეობის რეჟიმის დანერგვისა და განმტკიცების ღონისძიებებს;

განახორციელებს შინასაუწყებო საფინანსო კონტროლს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში, შეიმუშავებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო ფასეულობათა დაცვა-შენახვას სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში და კონტროლს გაუწევს ამ ღონისძიებათა შესრულებას;

განახორციელებს მეთოდურ ხელმძღვანელობას სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებში აღრიცხვისა და ანგარიშგებისადმი; გაატარებს ღონისძიებებს აღრიცხვისა და გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაციისათვის.

შეადგენს ვაჭრობის სამინისტროს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ნაკრებ ანგარიშს, განიხილავს და დაამტკიცებს რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციათა ბალანსებსა და ანგარიშებს, განაზოგადებს და ანალიზს გაუკეთებს ადგილობრივი დაქვემდებარების ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლებს;

ბ) კონტროლს გაუწევს ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების, საოლქო სავაჭრო განყოფილების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სამმართველოსა და განყოფილებების საქმიანობას მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოებისადმი ხელმძღვანელობის დარგში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) განახორციელებს ვაჭრობის სამინისტროს ნომენკლატურული კადრების შერჩევასა და განაწილებას, კონტროლს გაუწევს [illegible] თან მუშაობას ავტონომიური სს რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროებში, აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოსა და განყოფილებებში, სამინისტროს სამმართველოებში, რესპუბლიკურ კანტორებსა და ტრესტებში, განსაზღვრავს მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებზე, გაანაწილებს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტებს სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებს შორის;

ხელმძღვანელობას გაუწევს სპეციალისტების მომზადებას დაქვემდებარებულ სასწავლებლებში;

მოაწყობს უშუალოდ და ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით კადრების მომზადებას, გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას; განაგებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ სასწავლებლებს;

დ) მოაწყობს დასაბრუნებელი ტარის შეგროვებას, შეკეთებას, გადამუშავებას და მის მიწოდებას სახალხო მეურნეობისათვის;

ე) დაამტკიცებს ვაჭრობის სისტემაში საქონლის ბუნებრივი კლების ნორმებს საბითუმო და საცალო სავაჭრო ქსელში მისი შენახვის, გადაზიდვისა და რეალიზაციის დროს;

ვ) აწარმოებს ხელფასის დაწესებული ფონდის ფარგლებში პირველი და მეორე თანრიგების მიკუთვნებას საწარმოებისათვის, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით მიაკუთვნებს მათ თანრიგგარეშეთა რიცხვს;

ზ) დააწესებს საქონელბრუნვისაგან ანარიცხების ოდენობას კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის მთლიანად რესპუბლიკაში და მოახდენს ქალაქებში, რაიონებში, ოლქში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციებში ანარიცხთა ოდენობის დიფერენციაციას;

თ) გამოიყენებს სავაჭრო, ტექნოლოგიური, სამაცივრო მოწყობილობის და სატრანსპორტო საშუალებათა შესაძენად, აგრეთვე სავაჭრო საწარმოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების გასაწყობად კაპიტალური რემონტის საამორტიზაციო ანარიცხთა ნაშთებს 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით და სხვა ანარიცხებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) დატოვებს თავის განკარგულებაში რეზერვს ... რაოდენობით:

მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში ვაჭრობის ხაზით ... საქმებულ მუშაკთა ხელფასის საერთო ფონდიდან იმისათვის, რომ გაანაწილოს საჭიროების შემთხვევაში ეს სარეზერვო სახსრები ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ოლქსა, ქალაქებსა და რაიონებს შორის;

რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციების მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის გეგმიდან;

კ) დაამტკიცებს საქონლის წვრილსაბითუმო გაყიდვის წესებს, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით — იმ საქონლის სიებს, რომელიც ნებადართულია გასაყიდად წვრილი საბითუმო ვაჭრობის წესით.

5. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად მოაწყობს სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციათა და საწარმოთა კოლექტივების სოციალისტურ შეჯიბრებას დაწესებული გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისთვის, მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლებისა და ვაჭრობაში ახალი ტექნიკის დანერგვისათვის; შეაჯამებს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და სახელმწიფო ვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის და დარგობრივ პროფკავშირთა რაიკომებთან შეთანხმებით მიაკუთვნებს ორგანიზაციათა და საწარმოთა მუშაკების მოწინავე კოლექტივებს გარდამავალ წითელ დროშებს და ფულად პრემიებს, „საბჭოთა ვაჭრობის წარჩინებულის“ ნიშნით დააჯილდოვებს სახელმწიფო ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციათა და საწარმოთა საუკეთესო მუშაკებს, აგრეთვე მიაკუთვნებს ყველაზე კვალიფიციურ მუშაკებს, ოსტატების წოდებას პროფესიების მიხედვით.

6. ამ დებულების მე-3 მუხლში აღნიშნული ფუნქციების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო მიიღებს:

ავტონომიური სს რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროებისაგან, აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოსა და განყოფილებებისაგან საქონელბრუნვის, სავაჭრო ქსელის და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის განვითარებისა და სპეციალიზაციის, საკუთარი პროდუქციის გამოშვების, შრომისა და ხელფასის, ბრუნვის ხარჯების გეგმების პროექტებს;

ფართო მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლის
მომშვები მრეწველობის მართვის ორგანოებისაგან—ამ საქონლის
წარმოების გეგმებს, საანგარიშო მონაცემებს ჯგუფური ასორტიმენ-
ტის საქონლის წარმოების, მათი რეალიზაციისა და სავაჭრო ორგანი-
ზაციებისათვის გაგზავნის შესახებ ავტონომიური რესპუბლიკების,
ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მიხედვით, ა-
ვრეთვე გამომუშავებული საქონლის ხარისხის შესახებ საწარმოებში
დაწესებული ანგარიშგების შესაბამისად;

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისაგან, მშრო-
მელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული აღმასრულე-
ბელი კომიტეტებისაგან, აგრეთვე სამინისტროებისა, უწყებებისა და
სახალხო მეურნეობის საბჭოსაგან—მასალებს, რომლებიც საჭიროა
მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების დაწესებისა და მათი
შეცვლის პროექტების შემუშავებისათვის.

7. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სათავეში უდგას
მინისტრი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ხელმძღვანელობს
ვაჭრობის სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზა-
ციების მთელ საქმიანობას, უზრუნველყოფს სსრ კავშირის და საქ-
ართველოს სსრ კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბ-
ჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ისეთ საკითხებზე
მიღებული დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას,
რომლებიც სამინისტროს საქმიანობას შეეხება.

8. საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი სამინისტროს კომპე-
ტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს
სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მი-
ნისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგე-
ნილებებისა და განკარგულებების საფუძველზე, მათ შესასრულებ-
ლად და შეამოწმებს მათ შესრულებას.

მინისტრი დანიშნავს და თანამდებობისაგან გაათავისუფლებს
ვაჭრობის სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების,
მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების
ხელმძღვანელ მუშაკებს; შექმნის, მოაწყობს და გააუქმებს მაღა-
ზიებს, სასადილოებს, სასაუზმეებს, რესტორნებს, საჩაიეებს, კაფეებს
და საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარ-
მოებს, აგრეთვე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა
დამხმარე საამქროებს და საჭირო შემთხვევებში შეცვლის მათ და-
ქვემდებარებას; დაამტკიცებს დებულებებს სამინისტროს სამმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველობისა და განყოფილებების შესახებ, აგრეთვე სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების საწარმოების, დაწესებულებების (წესდებებს); დაამტკიცებს დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სტრუქტურას და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატებს; გააუქმებს მშრომელთა დეპუტატების საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოს და განყოფილებათა უფროსების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და შეაჩერებს ავტონომიური სს რესპუბლიკების ვაჭრობის მინისტრების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

ავტონომიური სს რესპუბლიკების ვაჭრობის მინისტრების ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაუქმების საკითხს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი შეიტანს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

9. საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრთან შეიქმნება კოლეგია.

კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის წარდგენით.

კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად ტარდება, საჭირო შემთხვევებში ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების და ოლქის, ქალაქის, რაიონის საგეგმო კომისიების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, ცეკავშირის, პროფესიული ორგანიზაციების, ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოსა და განყოფილებების წარმომადგენლების მონაწილეობით განიხილავს პარტიისა და მთავრობის იმ დადგენილებათა შესრულების საკითხებს, რომლებიც ვაჭრობას შეეხება, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ხელმძღვანელობის და მისი შემდგომი განვითარების, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის, სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების ცენტალური აპარატის მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების ძირითად საკითხებს, მოისმენს სამინისტროს, ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოების, სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარიშებს, აგრეთვე სხვა სავაჭრო სისტემე-

ბის ხელმძღვანელთა ანგარიშებს, განიხილავს ვაჭრობისა და სასტუმრო გადოებრივი კვების ნოვატორთა მოხსენებებს მუშაობის მოწინავე მეთოდებისა და ცხოვრებაში მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება მინისტრის ბრძანებებით. იმ შემთხვევაში, თუ მინისტრსა და კოლეგიის წევრებს შორის ადგილი ექნა აზრთა სხვადასხვაობას, მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავიანთ მხრივ, შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. ვაჭრობის სპეციალისტთა, ნოვატორთა, სამინისტროს და ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოების მუშაკთა მოწინავე გამოცდილების უკეთ გამოყენების მიზნით, პერიოდულად იქნება მოწვეული სამინისტროს აქტივის თათბირები, რომლებზედაც განიხილავენ და მოისმენენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების შესახებ, სამინისტროს ხელმძღვანელ მითითებებს, აგრეთვე გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე განიხილავენ სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების სავაჭრო-სამეურნეო საქმიანობის საკითხებს.

11. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

---

112 კოლმეურნეობებისათვის მარცვლისა და ფქვილის ნორმირებული (შემხვედრი) მიყიდვის გაუქმებასთან დაკავშირებით ტექნიკური კულტურების რაიონებში მარცვლისა და ფქვილის შეუფერხებელი გაყიდვის ორგანიზაციის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 8 ოქტომბრის № 1172 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ჩაის ფოთლის, თამბაქოს, თუთის აბრეშუმის ჭიის პარკისა და ქურქ-ბეწვეულის ნედლეულის შესყიდვის დროს კოლმეურნეობებისათვის მარცვლისა და ფქვილის ნორმირებული (შემხვედრი) მიყიდვის 1960 წლის 1 იანვრიდან გაუქმებასთან დაკავშირებით, დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას უზრუნველყონ მარცვლისა და ფქვილის შეუფერხებლივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყიდვა საბაზრო ფონდებით იმ რაიონების კოლმეურნეობებისათვის, რომლებიც ეწევიან ჩაის ფოთლის, თამბაქოს, თუთის აბრეშუმის ჭიის პარკის მოყვანას და სახელმწიფოსათვის მიყიდვას, აგრეთვე ბეწვეულის სარეწის მონადირეებისათვის, რომლებიც ეწევიან ქურქ-ბეწვეულის ნადლეულის მიყიდვას სახელმწიფოსათვის.

2. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას უახლოეს დროში მოიყვანოს სრულ წესრიგზე კოლმეურნეებისათვის მარცვლისა და ფქვილის მისაყიდად განკუთვნილი სავაჭრო საწარმოები და სასაწყობო სადგომები, ხოლო ტექნიკური კულტურების ძირითადი რაიონების მსხვილ დასახლებულ პუნქტებში გახსნას ფქვილის დუქნები მარცვლისა და ფქვილის სავაჭროდ.

3. ნება დაერთოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას აძლიოს ტექნიკური კულტურების რაიონების კოლმეურნეებს იმავდროულად მარცვალი 200 კილოგრამამდე და ფქვილი 70 კილოგრამამდე (ერთი ტომარა).

4. ვინაიდან მარცვლისა და ფქვილის ნორმირებული (შემხვედრი) მიყიდვის გაუქმება იწვევს სამომხმარებლო კოოპერაციის ხარჯების გადიდებას ტექნიკური კულტურების რაიონებში მათი შეტანისათვის, გადიდდეს ცეკავშირის ბრუნვის ხარჯების დონე 1960 წლისათვის 6,23 პროცენტიდან 6,4 პროცენტამდე ისე, რომ არ შეიცვალოს ურთიერთდამოკიდებულება ბიუჯეტთან.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პურეულის პროდუქტების მთავარ სამმართველოს აძლიოს ცეკავშირის სისტემას 1960 წლის 1 იანვრიდან IV კატეგორიის ფქვილი ტომრებში ტარის დაუბრუნებლად, აგრეთვე შეძლებისდაგვარად მოაწყოს ფქვილის დაფასოება 10 კილოგრამამდე და სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ქსელისათვის მიწოდება.

6. რჩევა მიეცეთ ტექნიკური კულტურების რაიონების კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) გამოყონ კოოპერაციული ორგანიზაციების განაცხადებით ავტომანქანები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებანი ფქვილისა და მარცვლის გადასატანად პურეულის პროდუქტების სამმართველოს ბაზებიდან გასაყიდ პუნქტებში, იმ ანგარიშით, რომ ამ მომსახურების ხარჯები შემდგომ აანაზღაურონ კოოპორგანიზაციებმა სახელმწიფო ტარიფით;

ბ) გადასცენ კოოპერაციულ ორგანიზაციებს საიჯარო საფუძვლებზე ფქვილისა და მარცვლის ვაჭრობის ორგანიზაციისათვის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭირო სასაწყობო და სხვა სადგომები, რომლებსაც ამჟამად კოლმეურნეობები იყენებენ ამ მიზნისათვის.

7. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შეუფერხებლივ დაუთმოს ცეკავშირის სისტემას ავტოტრანსპორტი ფქვილისა და მარცვლის შესატანად საწყობებსა და სავაჭრო ობიექტებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 19 დეკემბერი, № 977

113 სასკოლო განათლების ახალ სისტემაზე გადასვლის წესისა და ვადების შესახებ

„საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნას დაწყებითი და რვაწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო შრომის პოლიტექნიკური სკოლების, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლების შრომის პოლიტექნიკური სკოლების და საღამოს (ცვლების) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობის 1959—1965 წლების ნაკრები გეგმა, წარმოდგენილი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად, დააზუსტოს აღნიშნული ნაკრები გეგმა მოსახლეობის აღწერის შედეგების შესაბამისად.

2. იმ მიზნით, რომ შეიქმნას პირობები საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების ყველგან განხორციელებისა 1962—1963 სასწავლო წლისათვის, დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) დააზუსტოს სკოლების ქსელი 1960—1963 წლებისათვის ადგილ-თეული რაიონისა და ქალაქის მიხედვით, ბავშვთა [illegible] სწავლებაში სრულად ჩაბმის გათვალისწინებით, დასახონ ღონისძიებანი არსებული სკოლების გამსხვილებისათვის და არ დაუშვან სკოლების მიერ მოსახლეობის მომსახურების გაუარესება.

ბ) განსაზღვრონ თვითეული რაიონის მიხედვით საჭირო რაოდენობის ინტერნატები სოფლის სკოლებთან იმ ანგარიშით, რომ ჩაბმულ იქნან მათში ის მოსწავლეები, რომელთა საცხოვრებელი ადგილი დაშორებულია სკოლებს 3 კილომეტრზე მეტი მანძილით.

2—3 წლის განმავლობაში გააწყონ არსებული სასკოლო ინტერნატები დაწესებული ნორმების შესაბამისად და მოაწყონ ყველა სასკოლო ინტერნატში მოსწავლეთა ცხელი კვება მშობელთა სახსრების, საყოველთაო საკალდებულო სწავლების ფონდის, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნობებისა და სასკოლო ნაკვეთებისაგან მიღებული პროდუქტების გამოყენების ხარჯზე.

ახალი სასკოლო ინტერნატები გახსნან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექნებათ კეთილმოწყობილი სადგომები და საჭირო ინვენტარი.

3. დაევალოთ რაიაღმასკომებს კოლმეურნეობათა გამგეობებთან, საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების და სარემონტო-ტექნიკური სადგურების დირექტორებთან ერთად:

ა) მოაწყონ იმ მოსწავლეთა მიყვანა სკოლაში და სკოლიდან წაყვანა, რომელთა საცხოვრებელი ადგილი დაშორებულია სკოლებს 3 კილომეტრზე მეტი მანძილით;

ბ) განიხილონ ყველა სკოლაში ბუფეტების მოწყობის საკითხი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირმა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სკოლის ბუფეტებისა და სასადილოების მომარაგება მაღალხარისხოვანი ცხელი კერძებით, მეავე რძის პროდუქტებით, ბოსტნეულითა და ხილით.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს გაითვალისწინონ შემდგომი წლების გეგმებისა და ბიუჯეტების პროექტებით გახანგრძლივებული დღის სასკოლო ჯგუფების ქსელის გაფართოება.

5. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიონულ და საქალაქო აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით გამოავლინონ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალგაზრდობა, რომელსაც

საშუალო განათლება არა აქვს; სამი თვის ვადაში შეიმუშაონ ამ ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმის პერსპექტიული გეგმა, უქმნან მას საშუალო განათლების მიღების პირობები; შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო მეცადინეობის მოწყობას მომუშავე ახალგაზრდობასთან სხვადასხვა ცვლაში (დღისა და საღამოს).

6. ნება დაერთოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გახსნას მოსწავლეთა რაოდენობის დაწესებული გეგმის ფარგლებში დაუსწრებელი განყოფილებები საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან იმ შემთხვევაში, თუ დაუსწრებელ მოსწავლეთა რიცხვი არ იქნება 100-ზე ნაკლები.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, რომლებსაც დაუსწრებელი განყოფილებები აქვთ, მოაწყონ სასწავლო-საკონსულტაციო ჯგუფები იმ შემთხვევაში, თუ დაუსწრებელ მოსწავლეთა რიცხვი არ იქნება 60-ზე ნაკლები.

7. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX კლასების მოსწავლეთა ჩაბმისა საწარმოო სწავლებაში, № 3 დანართის თანახმად.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა რაიონულ (საქალაქო) აღმასკომებთან ერთად:

ა) ყოველწლიურად განსაზღვრონ სამუშაო ადგილების რიცხვი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტექნიკური შრომის სკოლების IX—XI კლასების მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, კომუნალურ და სხვა საწარმოებში; მოაწყონ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და გამოცდილ ოსტატთა ხელმძღვანელობით მოსწავლეთა საწარმოო სწავლება, ამასთან დაიცვან შრომის და უსაფრთხოების ტექნიკის წესები;

ბ) საწარმოთა ხელმძღვანელების მონაწილეობით განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო საამქროების შექმნას საწარმოებში, აგრეთვე საჭირო თვალსაჩინო ხელსაწყოებით გაწყობილი კლას-კაბინეტების შექმნას თეორიული მე-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ცადინეობისათვის; უზრუნველყონ მოსწავლეები ინსტრუმენტებით, სპეცტანსაცმლითა და ინდივიდუალური პატარა კარადებით.

9. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საქალაქო (რაიონულ) აღმასკომებთან და კოლმეურნეობათა გამგეობებთან ერთად, უზრუნველყოს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლების პოლიტექნიკური სკოლების IX—XI კლასების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების მოწყობა მოწაფეთა ბრიგადებში, სასწავლო-საცდელ მეურნეობებსა და საკოლმეურნეო ბრიგადებში, აგრეთვე აგრონომიული პერსონალის გამოყოფა საწარმოო სწავლების ხელმძღვანელობისათვის.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას მუშახელის მოთხოვნილების წლიური და პერსპექტიული გეგმების შემუშავების დროს გაითვალისწინოს იმ ახალგაზრდობის შრომითი მოწყობა, რომელიც ამთავრებს რვაწლიან სკოლებს და საშუალო სკოლებს საწარმოო სწავლებით, ხოლო აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ერთად, დააწესონ საწარმოებში სამუშაოზე ახალგაზრდობის მიღების ჯავშანი.

11. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) დაამთავროს 1962—1963 სასწავლო წელს რვაწლიანი სკოლების ყველა კლასის გადაყვანა ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე;

ბ) უზრუნველყოს 1963—1964 სასწავლო წლიდან ყველა ტიპის საშუალო სკოლების IX—XI კლასების გადაყვანა ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე;

გ) შეიმუშაოს და დაამტკიცოს ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ახალი სახელმძღვანელოების მომზადების გეგმა იმ ანგარიშით, რომ ახალ სასწავლო პროგრამებზე სკოლების გადაყვანის დროს უზრუნველყოს ამ სახელმძღვანელოების გამოცემა;

დ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ სამი-

ნისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს პროგრამები IX—XI კლასების მოსწავლეთა, პირველ რიგში IX კლასის მოსწავლეთა, საწარმოო სწავლებისათვის სპეციალობის მიხედვით; უზრუნველყოს ამ პროგრამებით როგორც სკოლები, ისე საწარმოებიც.

12. სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და სკოლებში მრავალცვლიანი მეცადინეობის ლიკვიდაციის მიზნით, დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე სკოლების მშენებლობის სატიტულო სიების დამტკიცების დროს გაითვალისწინონ სასკოლო შენობებისა და სკოლა-ინტერნატების საერთო საცხოვრებლების მშენებლობის უფრო რაციონალურად განლაგება, ყოველწლიურად უზრუნველყონ სასკოლო შენობებისა და სკოლა-ინტერნატების საერთო საცხოვრებლების საექსპლუატაციოდ გადაცემის დაწესებული გეგმის უცილობლივ შესრულება;

ბ) შეიმუშაონ და დაამტკიცონ გეგმა სასწავლო შენობების მშენებლობისა დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლების შრომის პოლიტექნიკური სკოლებისათვის დანაკლისი საკლასო ოთახების, კაბინეტებისა და სასკოლო სახელოსნოების მშენებლობისა იმ შემოსავლის ხარჯზე, რომელიც დამატებით იქნება გამოვლინებული და მიღებული ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების დროს, აგრეთვე გეგმა სასკოლო-ინტერნატების მშენებლობისა საბინაო მშენებლობაში კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე;

გ) კოლმეურნეობებთან ერთად შეიმუშაონ და დაამტკიცონ გეგმა სასკოლო შენობების, დანაკლისი საკლასო ოთახების, სასწავლო კაბინეტებისა და სასკოლო ინტერნატების სადგომების მშენებლობისა სოფლის რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლების შრომის პოლიტექნიკური სკოლებისათვის, აგრეთვე სასწავლო სადგომების მშენებლობისა საღამოს (ცვლების, სეზონური) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის კოლმეურნეობების მიერ გამოყოფილი სახსრების ხარჯზე;

დ) განიხილონ და დაამტკიცონ გეგმა სოფლის სკოლების მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა თვით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბეგვრის სახსრების ხარჯზე, აგრეთვე იმ კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე, რომლებიც საბინაო მშენებლობისათვის გამოიყოფა;

ე) განიხილონ ქალაქებში მასწავლებელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხი და მიიღონ ზომები იმ პირთა უზრუნველყოფისათვის საცხოვრებელი ფართობით, რომლებიც ამას საჭიროებენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 29 დეკემბერი, № 988

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 29 დეკემბრის № 988
დადგენილების დანართი № 1

ნაკრები გეგმა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის მიღებისა და გამოშვებისა 1959—1965 წლებისათვის

(ათასი კაცი)

	მოსწავლეთა რაოდენობა	მათ შორის I—IV	V—VII	V—VIII	VIII—XI	IX—XI	გამოშვება VII კლასიდან	მიღება VIII კლასში	გამოშვება VIII კლასიდან	მიღება IX კლასში	გამოშვება X კლასიდან	მიღება XI კლასში
1959 წელი — სულ	632,8	349,7	191,8	—	91,3	—	37,5	31,6	—	—	35,2	—
ქალაქი	227,5	118,8	72,5	—	36,2	—	13,1	13,5	—	—	13,2	—
სოფელი	405,3	230,9	119,3	—	55,1	—	24,4	18,1	—	—	22,0	—
1960 წელი — სულ	670,51	358,40	214,18	—	97,93	—	43,81	37,44	—	—	25,55	—
ქალაქი	242,35	120,79	79,67	—	41,89	—	16,61	17,1	—	—	9,39	—
სოფელი	428,16	237,61	134,51	—	56,04	—	27,2	20,34	—	—	16,16	—
1961 წელი — სულ	715,21	362,60	234,78	—	117,83	—	53,82	46,27	—	—	22,04	—
ქალაქი	259,36	121,71	83,9	—	53,75	—	21,28	21,87	—	—	7,92	—
სოფელი	455,85	240,89	150,88	—	64,08	—	32,54	29,40	—	—	14,12	—
1962 წელი — სულ	768,09	364,83	—	311,97	—	91,29	—	—	—	—	14,46	[illegible]
ქალაქი	275,76	123,0	—	110,64	—	42,12	—	—	—	—	5,80	24[illegible]
სოფელი	492,33	241,83	—	201,33	—	49,17	—	—	—	—	8,66	17[illegible]

	მოსწავლეთა რიცხოვნობა	მათ შორის					გამოშვება VII კლასიდან	მიღება VIII კლასში	გამოშვება VIII კლასიდან	მიღება IX კლასში	გამოშვება X კლასიდან	მიღება XI კლასში
		I—IV	V—VII	V—VIII	VIII—XI	IX—XI						
1963 წელი — სულ	797,54	366,00	—	331,76	—	99,78	—	—	56,69	34,07	9,97	11,94
ქალაქი	283,28	124,24	—	114,67	—	44,37	—	—	21,81	13,26	3,94	5,37
სოფელი	514,26	241,76	—	217,09	—	55,41	—	—	34,88	20,81	6,03	6,57
1964 წელი — სულ	824,21	366,71	—	342,81	—	114,69	—	—	66,57	39,97	—	21,08
ქალაქი	288,22	124,71	—	116,71	—	47,28	—	—	24,53	14,88	—	10,20
სოფელი	535,39	242,0	—	225,98	—	67,41	—	—	42,04	25,09	—	10,88
1965 წელი — სულ	829,53	366,32	—	347,29	—	115,92	—	—	72,92	43,73	—	37,96
ქალაქი	285,42	124,58	—	117,47	—	43,37	—	—	25,91	15,67	—	17,69
სოფელი	544,11	241,74	—	229,82	—	72,55	—	—	47,01	28,06	—	20,27

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ᲨᲘᲠᲐᲥᲐᲫᲔ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 29 დეკემბრის № 983
დადგენილების დანართი № 2

ნაკრები გეგმა

საღამოს (ცვლების) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტებისა 1959—1965 წლებისათვის

	მოსწავლეთა კონტინგენტები საღამოს სკოლაში (ათასი კაცი)						გამოშვება	
	სულ I—XI კლასებში	მათ შორის					X კლასი-დან	XI კლასი-დან
		I—IV	V—VII	V—VIII	VIII—XI	IX—XI		
1959 წელი — სულ	31303	976	11733	—	18594	—	5998	296
ქალაქი	24005	563	7656	—	15789	—	5998	—
სოფელი	7295	413	4077	—	2805	—	—	296
1960 წელი — სულ	37720	820	12800	—	24100	—	5846	513
ქალაქი	29550	450	8800	—	20300	—	5846	—
სოფელი	8170	370	4000	—	3800	—	—	513
1961 წელი — სულ	42475	610	13000	—	28865	—	5300	650
ქალაქი	33000	300	8800	—	23900	—	5300	—
სოფელი	9475	310	4200	—	4965	—	—	650

ეროვნული ბიბლიოთეკა

	მოსწავლეთა კონტინგენტები საღამოს სკოლებში (ათასი კაცი)						გამოშვება	
	სულ I—X კლასებში	მ ა თ შ ო რ ი ს					X კლასი-დან	XI კლასი-დან
		I—IV	V—VII	V—VIII	VIII—XI	IX—XI		
1962 წელი — სულ . . .	44770	440	—	17550	—	26780	6900	835
ქალაქი . .	29950	200	—	11700	—	18050	6900	—
სოფელი . .	14820	240	—	5850	—	8730	—	835
1963 წელი — სულ	51330	250	—	16700	—	34380	8700	1250
ქალაქი . . .	29950	100	—	10050	—	19800	8700	—
სოფელი . .	21380	150	—	6650	—	14580	—	1250
1964 წელი — სულ	60950	50	—	16050	—	44850	9250	14 0
ქალაქი . . .	32500	—	—	8750	—	23750	9250	—
სოფელი . .	28450	50	—	7300	—	21100	—	1430
1965 წელი — სულ . . .	73350	—	—	14650	—	58700	10450	5810
ქალაქი . . .	42000	—	—	7000	—	35000	10450	—
სოფელი . .	31350	—	—	7650	—	23700	—	5810

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ᲔᲘᲠᲐᲥᲐᲫᲔ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 29 დეკემბრის № 1988
დადგენილების დანართი № 3

გ ე გ მ ა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX კლასების მოსწავლეთა ჩაბმისა საწარმოო სწავლებაში

	1959—1960 წლები	1960—1961 წლები	1961—1962 წლები	1962—1963 წლები
ქალაქი				
IX კლასების მოსწავლეთა რაოდენობა	10120	13216	17247	22257
გადაყვანილ იქნება საწარმოო სწავლებაზე	2725	8008	12715	22257
IX კლასების მოსწავლეთა საერთო რიცხვის პროცენტულად	26,9	60,6	73,7	100,0
სოფელი				
IX კლასების მოსწავლეთა რიცხვი	14918	18015	21691	26262
გადაყვანილ იქნება საწარმოო სწავლებაზე	2271	6892	15539	26262
IX კლასების მოსწავლეთა საერთო რიცხვის პროცენტულად	15,2	38,3	71,6	100,0
სულ რესპუბლიკაში				
IX კლასების მოსწავლეთა რიცხვი	25038	31231	38938	48519
გადაყვანილ იქნება საწარმოო სწავლებაზე	4996	14900	28254	48519
IX კლასების მოსწავლეთა საერთო რიცხვის პროცენტულად	20,0	47,7	72,6	100,0

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

1 ეაძ
ბ. 2/114

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

წლიური ხელმოწერის ფასი 30 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

შეკვეთა № 422